პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქაშოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შემდეგ—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული გარდა განცხადების ფასის ოდენობის 10% საპროცენტო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შემდეგ—მისი მეოთხედი შეღავათი. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეძლევა 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 19 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 138 (1883)

დღიური

- ერთა ლიგის საბჭოს სესიის დახურვა
- არგენტინაში მუშებმა გამოაცხადეს ერთი დღის გაფიცვა საკოს და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.
- ნინგოს (ჩინეთი) პროვინციაში დაიწყო ინგლისურ საქონლის ბოიკოტი
- ფინეთში დაიწყო მუშათა სპორტის დღესასწაული
- ინგლისი სპარსეთში აქტიურ პოლიტიკას აწარმოებს სპარსეთის ახალი მთავრობის წინააღმდეგ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაძლიეროთ მუშაობა თავდაცვისათვის

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი მშვიდობიანი შრომისა და სოციალისტური აღმშენებლობის ერთად-ერთი ქვეყანაა. მიუხედავათ იმისა, რომ ყალყზე შემდგარი მებრძოლი იმპერიალიზმი პროვოკაციას — პროვოკაციაზე გვიწყობს ომის ავანტიურაში ჩვენი ჩაბმის მიზნით, საბჭოთა კავშირი მაინც მტკიცეთ სდგას მშვიდობიანობის სადარაჯოზე და ყოველნაირათ ცდილობს თავიდან აცილოს მსოფლიოს მშრომელ მასებს ომის საშინელებანი.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ომის საფრთხე დაძლეულია. კაპიტალისტურ სახელმწიფოს წარმომადგენელთა ლაყბობა „სამუდამო ზავის დამკვიდრების" შესახებ, ჩემბერლენის კატეგორიული განცხადება ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე ჟენევაში, რომ ინგლისი ომის წინაალმდეგია და სხვა ამგვარი პაციფისტური ლათაიები, მხოლოდ ჩვეულებრივი ბურჟუაზიული თვალთმაქცობაა. კაპიტალისტურ სახელმწიფოების ნამდვილ სულისკვეთებაზე ყველაზე უკეთ მეტყველებენ ის ახალი დრედნოუტები, ზედრეტნოუტები, სამხედრო თვითმფრინავები და ციხე-სიმაგრეები, რომელთა რიცხვი, დღითი-დღე მატულობს. ცხადია მათ ბურჟუაზია ხელის სავარჯიშოთ ან თავის გასართობათ არ ამზადებს. ის იმდენათ პრაქტიკულია, რომ ათეულ მილიონებს არ გადაისვრის ასეთ „უმანკო" სათამაშოებისათვის.

ბურჟუაზია გააფთრებით ემზადება ომისათვის. მას სხვანაირათ არც კი შეუძლია. ომი—განუყრელი თვისებაა ანარქიულ კაპიტალისტური საზოგადოების, ომი—კაპიტალიზმის განუყრელი ნაწილია.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირი გულხელდაკრეფილი ვერ იქნება. რომ ის ასე მოიქცეს, ეს იქნებოდა უდიდესი დანაშაული პროლეტარიატის წინაშე, ეს იქნებოდა მიუტევებელი, ტოლსტოვისებური გულუბრყვილობა, რომელიც დაასამარებდა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს.

კაპიტალისტურ გარემოცვაში, სადაც სამართალი—იგივე ძლიერი მუშტია, ჩვენ იძულებული ვართ ფხიზლათ ვადევნოთ თვალი მოწინაალმდეგე ბანაკს და ვეცადოთ უკან არ ჩამოვრჩეთ მას საომარ სამზადისში. ბურჟუაზია კი, როგორც ვიცით განუწყვეტლივ აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს. ის მომავალ ომისათვის იყენებს ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებს.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიანი აღმშენებლობის გარანტიას ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით შეიარაღებული სამხედრო ძალა წარმოადგენს. დღეს უკვე იმდენათ წინ წავიდა საომარი ტეხნიკა, რომ აქ მარტო ფიზიკური ძალით, მხოლოდ რევოლიუციონური აღტკინებით, რომლითაც ასე განსხვავდება ჩვენი კავშირი კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან, მიზნის მიღწევა არ შეიძლება. საჭიროა ამ ორ თვისებასთან ერთად მესამე. ესაა საომარი ტეხნიკის შეთვისება და საბჭოთა კავშირის სამხედრო ორგანიზაციის ამ ტეხნიკის საფუძველზე მთლიანად გადაყვანა.

ამ საქმეში საზოგადოებრივ ინიციატივას დიდი ადგილი უჭირავს. მაგრამ როგორც ამას საქ. კომპ. ცკას ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული მოწოდება გვეუბნება, „თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების ორგანოების მუშაობის მდგომარეობა ადგილებზე ვერ არის დამაკმაყოფილებელი". სამხედრო სამზადისის საქმეში არაა სათანადო აქტივობით ჩაბმული მშრომელი მოსახლეობის ფართე ფენები.

მდგომარეობა ამ მხრივ რამდენადმე გაუმჯობესდა უკანასკნელ საერთაშორისო გართულებების გამო, როცა ჰაერში თოფის წამლის სუნი დატრიალდა და ომის საფრთხე რეალური შეიქნა. პარტიულ და ყველა სახის საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა თავდაცვის ეს სულისკვეთება გააღვივონ და განავითარონ. მოსახლეობის გასამხედროების საკითხი, თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოების გაძლიერების საქმე ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ერთ ნაწილს უნდა შეადგენდეს.

ამ მიზნით 10—17 ივლისამდე თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოება აწყობს კვირეულს, რომელიც მოსახლეობის გასამხედროების და წითელი არმიის საომარ ტეხნიკის გაუმჯობესებისაკენ მომავალი სისტემატიური და ენერგიული მუშაობის დასაწყისათ უნდა გადაიქცეს. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები აქედანვე უნდა შეუდგენ ამ კვირეულისათვის სამზადისს. რომ მან მიიზიდოს ფართე მშრომელი მასები და ამრიგად მკვიდრი ნიადაგი შეუქმნას ჩვენს თავდაცვის ორგანიზაციის საქმეს. ამისათვის საჭიროა შემუშავებულ იქნას ღონისძიებები კვირეულის ადგილობრივ პირობებთან შესაფარდებლათ, საჭიროა აქედანვე მოეწყოს კვირეულის ჩამტარებელი კომისიები, რომელშიაც უნდა იქნან შეყვანილნი ორგანიზატორულ გამოცდილების მქონე და ავტორიტეტიანი პირები.

საერთო პირობები თავდაცვის კვირეულის გაცხოველებით ჩატარებისათვის, უკანასკნელ საერთაშორისო ამბებთან დაკავშირებით უთუოდ ხელსაყრელია. საჭიროა მხოლოდ მათი შესაფერისად გამოყენება. ჩვენ მტკიცეთ უნდა გვახსოვდეს, რომ დავდაცვისათვის სამზადისი—საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკის მთავარ საწინდარს წარმოადგენს. ამ რწმენით გამსჭვალულმა საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებმა სრულიად დამშვიდებით, ზედმეტ პანიკის და შიშის გარეშე უნდა განაგრძონ სოციალისტური აღმშენებლობის დიდათ საპასუხისმგებლო საქმე და ამავე დროს უნდა ენერგიულათ აწარმოონ მუშაობა თავდაცვის გაძლიერებისათვის.

ინგლისის მთავრობას ანგარიში შეეშალა

ინგლისის შუბლმაგრები ორმა გარემოებამ აიძულა დაეჩქარებიათ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა: ეს არის—ინგლისის მარცხი ჩინეთში და ჩვენი სამეურნეო მიღწევები საზოგადოთ, და ინგლისში კერძოთ.

რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრის წინაშე გაემართლებია თავისი მარცხი ჩინეთში, ინგლისის მთავრობამ წამოაყენა საბჭოთა პროპაგანდა, როგორც მიზეზი ყოველგვარ ბოროტებისა ჩინეთში.

იმავე დროს კონსერვატიული მთავრობა შინაური არევ-დარევის ასახსნელად ებღაუჭებოდა იმავე საბჭოთა პროპაგანდას. ამასთანავე იგი სდუმდა იმ საბჭოთა „პროპაგანდაზე", რომელიც მას ყველაზე უფრო აშინებდა, ეს არის —„პროპაგანდა" ჩვენი საქონლისა, რომელსაც ჩვენ სულ უფრო მეტის რაოდენობით და მეტის წარმატებით ვყიდდით ინგლისში, „პროპაგანდა" ჩვენი შესყიდვისა და შეკვეთისა, რომელიც წლიდან წლამდა იზრდებოდა. მიუხედავათ გააფთრებული კამპანიისა, მიუხედავათ მოწოდებისა ბოიკოტისაკენ. ჩვენი ნავთი და ბენზინი სულ უფრო და უფრო ფართოდ და ღრმად იჭრებოდა ინგლისის სამეურნეო ცხოვრებაში. ჩვენ შევსძელით და მოვაგვარეთ ნავთისა და ბენზინის გაყიდვა უშუალოდ ინგლისელ მომხმარებელზე, ჩვენი პურის, ნავთის, ხე-ტყის მასალის, კარაქის და კვერცხის ექსპორტი დღიდან დღემდე იზრდებოდა. და როცა ინგლისელი ფართო მომხმარებელი ყიდულობდა ჩვენს იაფ ნავთს, ჩვენს იაფ პურს, ჩვენს იაფ კარაქს და კვერცხს, იგი სულ უფრო მეტად ჰკარგავდა იმ საშინელი ზღაპრების რწმენას, რომლებსაც ინგლისის კონსერვატორები პოლიტიკურ ბალღებს უამბობდენ საბჭოთა კავშირის შესახებ.

ამავე დროს სწრაფად იზრდებოდა ჩვენი შესყიდვა და შეკვეთები ინგლისში. ჩვენ უკვეთავდით და ვყიდულობდით არა ფუფუნების საგნებს, არამედ მანქანებს და ნედლეულს, რომელიც საჭირო იყო აღდგენის გზაზე შემდგარი მრეწველობისათვის.

ჩვენი ექსპორტის ზრდა, ჩვენი შესყიდვის გაფართოება ინგლისის ბაზარზე ყველაზე უფრო მეტად საშიში „პროპაგანდა" იყო, ვინაიდან ეს მოწმობდა იმას, რომ საბჭოთა კავშირი სამეურნეო მხრივ იზრდება, მტკიცდება და გადაჭრილი კურსი აქვს აღებული ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისაკენ.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ პოლიციელთა თავდასხმა ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე მოხდა მაშინ, როცა ჟენევის კონფერენციაზე დასახული იყო საბჭოთა და კაპიტალისტურ წყობილებას შორის სამეურნეო თანამშრომლობის ფორმები, როცა თვით ინგლისში, ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, ინგლისის უდიდეს ბანკებთან—მიდლენდ ბანკთან ჩვენ დავდეთ წინასწარი შეთანხმება იმის შესახებ, რომ მიგვეღო კრედიტი 10 მილ. გირვ. სტერ. რაოდენობით.

კონფერენციამ ჟენევაში და სამეურნეო შეთანხმებამ მიდლენდ ბანკთან აღნიშნეს ჩვენი დიდი სამეურნეო მიღწევები.,

ამ პირობებში კონსერვატორების შუბლმაგარმა ნაწილმა გადასწყვიტა, რომ დაყოვნება შეუძლებელია. და უფრო მეტად განმტკიცდება საბჭოთა კავშირის სამეურნეო ძლიერება და ამასთან ერთად ინგლისელ ამომრჩეველთა ჩამორჩენილ ფენებშიაც დაიკარგება იმ ზღაპრების რწმენა, რომლებსაც კონსერვატორები ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ.

კონსერვატიული მთავრობა ხელისუფლების სათავეში მოექცა „ზინოვიევის წერილის" უხეშად დამზადების საშუალებით. იგი სცდილობს განამტკიცოს თავისი მერყევი მდგომარეობა და ამისათვის მიმართავს კარების შემტვრევის, უხეშ პოლიტიკას.

გავიდა ერთი თვე და ჩვენ შეგვიძლია გამოვარკვიოთ ამ კარების შემტვრევის პოლიტიკის ზოგიერთი შედეგები.

ინგლისის მთავრობა, უეჭველია, სცდილობდა, რომ ურთიერთობის შეწყვეტით მოეხდინა ჩვენი იზოლაცია და ჩვენს წინააღმდეგ გამოეწვია მოძრაობა ინგლისის შიგნით და მის გარეშე მაგრამ თუ გვერდს აუხვევთ თეთრგვარდიელთა ტერორისტულ აქტებს, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ შუბლმაგართა კარების შემტვრევის პოლიტიკამ არ გამოიღო ის შედეგები, რომლებსაც მათგან ელოდა თვით მთავრობა. უპირველეს ყოვლისა თვით ინგლისში ჩვენ გვაქვს ამ პოლიტიკით გამოწვეული უკმაყოფილების აშკარა სიმპტომები. ამ უკმაყოფილებამ გააერთიანა სიტის გავლენიანი წრეები, რომელნიც კვლავ გაიცხადებენ სრულ კომერციულ ნდობას და ამბობენ, რომ მზად არიან მოგვცენ კრედიტი, მუშათა პარტია, რომელმაც მოგვიწყო თანაგრძნობის ბანკეტი და გაცილება, კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებმაც გამოსთქვეს სურვილი, რომ რაც შეიძლება ჩქარა აღსდგეს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა.

პოლიტიკური ფაქტები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში მოხდა თვით ინგლისში, გვიჩვენებენ, რომ თუ წინეთ შესძლეს ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი მასის მოტყუილება ყალბი „ზინოვიევის წერილით", სამაგიეროთ ეხლა ეს მასსა ისე ადვილად აღარ მოტყუვდება ამ „წერილის" ახალი გამოცემით—კარების შემტვრევის პოლიტიკით.

დამატებითი არჩევნებში, რომლის ირგვლივ სწარმოებდა გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლა ოლქში, სადაც მთავარ არჩევნებში ხმების უდიდესი უმრავლესობით გავიდა კონსერვატორი, ეხლა ხმების დიდი უმრავლესობით გადის ლიბერალი და ხმების მნიშვნელოვან რაოდენობას იღებს მუშათა პარტიის კანდიდატი. ინგლისის უკანასკნელ კოოპერატიულ კონგრესზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია მუშათა პარტიასთან შეთანხმების შესახებ, რომლის მიხედვითაც კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა არჩევნებში ხმა უნდა მისცენ მუშათა კანდიდატს.

უეჭველია, რომ ინგლისის მთავრობა ყოველგვარი ღონისძიებით შეეცდება, რათა ჩვენს წინააღმდეგ დარაზმოს მთელი საერთაშორისო რეაქცია. ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტამ უეჭველია ფრთები შეასხა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების იმედებს საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში. მაგრამ ვერც ინგლისში, ვერც მის გარეშე ხიკსებმა ვერ მიაღწიეს იმ ეფექტს, როელიც მათ მიიღეს „ზინოვიევის წერილის" დამზადებით.

საბჭოთა კავშირმა ამ ხნის განმავლობაში მეტად მტკიცე და დიდი კრედიტი მიიღო არა მარტო მიდლენდ ბანკისაგან არამედ რაც უფრო მილიონჯერ მნიშვნელოვანია,—მიიღო მუშათა და გლეხთა მასების პოლიტიკური კრედიტი.

ხიკსის კარების შემტვრევის პოლიტიკა ამ მხრივ უეჭველი პოლიტიკური შეცდომა გამოდგა.

ხინჩუკი.

„პრავდა"
მოსკოვი, 18 ივნისი.

დაიხურა ერთა ლიგის საბჭოს სესია

პრესა აღნიშნავს ჩემბერლენის გეგმების დამარცხებას ჟენევაში

გერმანიის მთავრობის ოფიც. ცნობა საბჭ. დიპლომატებთან მოლაპარაკების შესახებ

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: „ურთიერთობის ჩაშლა იყო დიდი უგუნურობა"-ო

ერთა ლიგის სესიის დახურვა

სესიის კრახი

ბერლინი, 17 ივნისი. მოლაპარაკების მოულოდნელი შეწყვეტა ჟენევაში, რაც გამოწვეული იყო ბრიანის უეცარო გამგზავრებით პარიზში, კვლავ გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების სადღეისო მწვავე საკითხს წარმოადგენს. **ყველა გაზეთები, გარდა ზოგიერთებისა,** რომლებიც ლოკარნოს პოლიტიკის მომხრე არიან, **აღიარებენ ერთა ლიგის სესიის სრულ მარცხს..** (ადს)

შეთანხმებას ვერ მიაღწიეს

ლონდონი, 17 ივნისი. „დეილი ჰერალდის" ჟენეველი კორესპონდენტი სწერს:

„სავსებით გარკვეულით შეიძლება ითქვას, რომ **ჟენევაში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეერთებული გამოსვლისა და საერთო პოლიტიკის შესახებ. ამ უკანასკნელ დროს გავრცელებული ხმები შეთანხმების შესახებ ნაყოფია მოუთმენელი იმედების და არ შეეფერება საქმის ნამდვილ მდგომარეობას**". (ადს)

ინგლისის გეგმების დამარცხება

ბერლინი, 17 ივნისი. **17 ივნისს დამთავრდა ერთა ლიგის საბჭოს სესია.** „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგი" იუწყება, რომ დღეს საღამოთი კიდევ უნდა შესდგეს შტრეზემანის შეხვედრა ჩემბერლენთან საოკუპაციო ჯარების რიცხვის შესახებ რეინის ოლქში. საუბარს აშკარად აქვს მიზანი რამდენადმე შეამსუბუქოს ერთა ლიგის საბჭოს სესიის მუშაობისაგან გამოწვეული მძიმე შთაბეჭდილება და გააადვილოს შემდგომი მოლაპარაკება.

„უნდა ვაღიაროთ, სწერს გაზეთი, რომ **ჟენევის მოლაპარაკება დამთავრდა ინგლისის მიერ მტკიცედ შემუშავებული გეგმების მარცხით. ეს მარცხი აიხსნება გერმანიის მტკიცე გადაწყვეტილებით, დაიცვას ნეიტრალიტეტი და აგრეთვე იმით, რომ საფრანგეთს არ სურს მიიღოს მონაწილეობა იმ ხარჯებში, რომელიც საჭიროა ანტისაბჭოთა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.** (ადს).

ბოდიშს იხდიან

ბერლინი, 17 ივნისი. „ფოსიშე ცეიტუნგ" სცდილობს გააქარწყლოს ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც შექმნა ერთა ლიგის საბჭოს სესიის მსვლელობამ ჟენევაში და გამოსთქვამს, აზრს, რომ პესიმისტური განწყობილების შექმნას ჟენევაში ხელი შეუწყო პოლონეთის საჩივარმა, რომ მას მონაწილეობა არ მიაღებინეს დიდ სახელმწიფოების მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის შესახებ, თუმცა ამ მოლაპარაკების საგანი იყო ისეთი საკითხი, რომელიც უშუალოდ ეხება პოლონეთს.

„გამოსთქვამდენ აგრეთვე აზრს, — სწერს გაზეთი, — რომ პოლონეთის საჩივარმა საფრანგეთზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ამ მიზეზით გადასწყვიტეს მოლაპარაკების ჩაშლა".

ბერნგარდს ეს ვერსია შემცდარად მიაჩნია.

„მოლაპარაკება ჩაიშალა იმიტომ—სწერს გაზეთი, — რომ ამჟამად არაფრის მიღწევა არ შეიძლებოდა რუსეთის საკითხის შესახებ. ყოველ შემთხვევაში გამოირკვა, რომ **აბსოლიუტურად არ არსებობს ანტი-საბჭოთა ერთიანი ფრონტის შექმნის სურვილი**" (ადს).

ინგლისის გეგმების უსუსურობა

ვენა, 17 ივნისი. ავსტრიის მსხვილი ინდუსტრიის ორგანო „ნეჰიეს ვინერ ტაგებლატ" წერილში, რომელსაც სახელად ჰქვია „ომი რუსეთის წინააღმდეგ" შემდეგ სწერს:

ეხლა რიგში სდგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყოს ინგლისმა კოალიციონური ომი რუსეთის წინააღმდეგ". შემდეგ გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, თუ რატომ ცდილობს ინგლისი საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. ცარიზმის და რომანოვების დინასტიის აღდგენას. „თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, ინგლისს **არ შესწევს ძალა, რომ რაიმე ზიანი მიაყენოს საბჭოთა კავშირს**", აცხადებს აღნიშნული გაზეთი. ბალტიის ნაპირები ადვილი დასაცავია, შავ-ზღვაში ოსმალეთი არ დაუშვებს, ხოლო შორეულ აღმოსავლეთს ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ეძლევა, ინგლისს მხოლოდ პოლონეთის, რუმინეთის და ბალტიის სანაპირო ქვეყნების საშუალებით შეუძლია საბჭოთა კავშირისათვის ზიანის მიყენება, **მაგრამ ამ სახელმწიფოებს არ სურთ თავიანთი ტერიტორიების გაფართოება რუსეთის ხარჯზე, რადგან ძალიან აშინებთ თვით [illegible] ცარიზმის აღდგენა. ამიტომ ეს ქვეყნები ვერ ბედავენ ომს,** რადგან მათი შინაური მდგომარეობა არ არის [illegible]. (ადს)

„უგნურობის" უდიდესი აქტი"

ლონდონი, 17 ივნისი. ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროების თევზის მწარმოებელთა დეპუტაციის წინაშე, აბერინში ლოიდ-ჯორჯი შემდეგი განცხადებით გამოვიდა:

„ევროპასთან თქვენი თევზის ვაჭრობის ნახევარი რუსეთის ბაზრის დახურვის გამო, არარაობად იქცა. მე ვფიქრობ, რომ **რუსეთთან კავშირის გაწყვეტა უგუნურობის უდიდესი აქტი არის**".

ბოლოს ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ის ყოველგვარ ზომებს მიიღებს რუსეთთან ვაჭრობის განსაახლებლად. (დს).

პუანკარეს ხრიკები

პარიზი, 17 ივნისი. დაპატიმრებულმა კომუნისტებმა **სემარმა, მონმუსემ, ბენარმა, კარმალმა და ბელანჟემ** საფრანგეთის კომპარტიის ორგანოში „ლიუმანიტე"-ში გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მთავრობა მზად არის განთავისუფლოს ანარქისტები (რომელთაც სიმშილობა აქვთ გამოცხადებული), რომ ამით მიეცეს საბაბი მონარქისტ დოდეს განთავისუფლებისათვის. (ადს).

კონსერვატორების დამარცხება

ლონდონი, 17 ივნისი. დამატებითი არჩევნებში, რომელიც ვესტბიურიში მოხდა ამ ოლქის კონსერვატიული დეპუტატის გარდაცვალების გამო. არჩეულ იქნა კონსერვატორი **ლონგი,** რომელმაც მიიღო 10.623 ხმა., ლიბერალების კანდიდატმა ჯონსონმა მიიღო 10.474 ხმა, მუშათა პარტის კანდიდატმა უორდმა— 5.396 ხმა..

ცნობები წარსული არჩევნების შესახებ ვესტბიურიში მოწმობენ, რომ **კონსერვატორებმა დაჰკარგეს ხმების ნაწილი.** ეს ხმები მიიღეს ლიბერალებმა და მუშათა პარტიამ. (ადს)

გერმანიის მთავრობის ცნობა

საბჭოთა დიპლომატებთან მოლაპარაკების შესახებ

ბერლინი, 17 ივნისი. გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„გერმანიის პრესის ერთი ნაწილი ათავსებს ისეთ შენიშვნებს გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისა და საბჭოთა დიპლომატების მოლაპარაკების შესახებ, რომლებიც ყალბ წარმოდგენას იძლევიან საქმის ვითარებაზე. ამის გამო ერთხელ კიდევ მტკიცეთ უნდა იქნეს განმარტებული შემდეგი: გერმანია მეგობრულად აცნობდა საბჭოთა კავშირს ჟენევაში დასმულ საკითხებს, რომლებიც მას აინტერესებდენ, და უზიარებდა იქ გერმანიის მიერ მიღებულ შთაბეჭდილებებს.

მე-3-ე ინტერნაციონალის საპროპაგანდო მუშაობა არ შეადგენდა ამ მოლაპარაკების საგანს. გერმანიის მხრივ არც ერთ საკითხში არ ყოფილა მიცემული არავითარი გაფრთხილება ან რაიმე რჩევა".

შემდეგ ნათქვამია, რომ საუბარი რომელიც ჰქონდა ამჟამად ბერლინში მყოფ გერმანიის ელჩს საბჭოთა კავშირში ბროკდორფ — რანცაუს ჩიჩერინთან, ატარებდა კერძო ხასიათს და მისი შინაარსის შესახებ აქ არაფერი იციან.

ასევე ძალიან ცოტა ცნობები მოიპოვება იმ მოლაპარაკების შინაარსის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩიჩერინსა და შტრეზემანს შორის.

ყველაფერი, რაც ამის შესახებ გამოქვეყნდა პრესაში — აშკარად მხოლოდ მოსაზრებებია.

ლენსბერის წერილი

ლონდონი, 18 ივნისი. „ლენსბერი უიკლი"-ში მოთავსებულია ლენსბერის წერილი.

ლენსბერი წერილს იწყებს განცხადებით, რომ პირადათ ის უარყოფითად უცქერის მონარქისტების დახვრეტას მოსკოვში და დაწვრილებით აშუქებს რუს ემიგრანტების შეთქმულებითი მუშაობას.

ლენსბერი აღნიშნავს, რომ ლონდონში სულ უფრო და უფრო იზრდება რუს ემიგრანტების რიცხვი და მაგალითისათვის ასახელებს საბლინს, „რომელიც იყენებს ლონდონის საზოგადოებას, როგორც ცენტრს ანტი-საბჭოთა ჯაშუშობის განვითარებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადებისათვის.

„ასეულმა ასეთმა თეთრგვარდიელებმა,—განაგრძობს ლენსბერი,—უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიიღეს ინგლისის ქვეშევრდომობა, რათა უფრო ადვილად და უშიშრად აწარმოონ მავნე პროპაგანდა".

ლენსბერი უარყოფს ხოქსონის განცხადებას, რომ უკანასკნელი არ ეწეოდა ჯაშუშობას და არა იჭერდა კავშირს თეთრებთან; ის სწერს:

„**იქნებ ჩემბერლენმა სთქვას, ინგლისის მზვერავი პოლიციის რამდენი აგენტი მუშაობს რუსეთში? მე ვიცი, რომ ეს აგენტები იყვნენ რუსეთში გასულ ზაფხულზე. მე ისინი ვნახე იქ და მათაც მნახეს მე**".

ამის გამო, ლენსბერის სიტყვით, გასაკვირი არ არის, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ ნერვიულ მდგომარეობაში იმყოფება.

ლენსბერი ქებას უძღვნის რუსეთის რევოლიუციას, აცხადებს, რომ „მეათე წელმა ამ რევოლიუციას მოუტანა კრიზისი" და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისის მუშათა პარტიას და ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს არაერთხელ აღუთქვამთ საბჭოთა კავშირისათვის მხარის დაჭერა, „ინგლისელ კომუნისტებსა და ოფიციალურ მუშათა მოძრაობას შორის სწარმოებს გამწვავებული ბრძოლა, გათხრილია უფსკრული, რომელზედაც, როგორც სჩანს, შეუძლებელი იქნება ხიდის გადება".

„ეჭვს გარეშეა — სწერს ლენსბერი, — რომ რუს ამხანაგებს შეუძლიათ ნახონ გზა ინგლისის მუშათა მოძრაობის წარმომადგენლებთან შესახვედრათ ღია კერძო კონფერენციაზე, რომელიც განიხილავს ჩვენი მტრების განუწყვეტელ თავდასხმებთან ბრძოლის საშუალებებს და გზებს".

ლენსბერი თავის წერილის დასასრულს სურვილს გამოსთქვამს, რომ ჰენდერსონი, კლაინსი და მაკდონალდი გაემგზავრონ მოსკოვში და იქ შეიმუშაონ ისეთი ორგანიზაციული და საგიტაციო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს ინგლისის მუშათა მოძრაობას ჩვენს რუს ამხანაგებთან ხელი-ხელ ჩაკიდებით იბრძოლოს მუშათა საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის (ადს).

ინგლისის კომუნისტები ლენსბერის პოზიციის შესახებ

ლონდონი, 17 ივნისი. ინგლისის კომპარტიის ორგანო „უორკერს ლაიფ" გამოდის ლენსბერის პოზიციის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მიმართ.

გაზეთს მოჰყავს გაზეთ „ლენსბერი უიკლი"-დან ადგილები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ლენსბერი არ მოუწოდებდა კონკრეტიულ გამოსვლებისაკენ ომის წინააღმდეგ და კვერს უკრავდა რეაქციონერთა ანტი-საბჭოთა კამპანიას არკოსის და სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკის დროს.

„უორკერს ლაიფ"-ს მოჰყავს ადგილი ლენსბერის საუბრიდან, რომელშიაც ის ილაშქრებს თეთრგვარდიელების დახვრეტის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში.

—ეს საუბარი — სწერს გაზეთი — მოწმობს რამდენად ღრმაა უფსკრული, რომელიც არსებობს მუშათა კლასსა და გამოთაყვანებულ პაციფისტებს შორის. **საბჭოთა მთავრობა — ნათქვამია წერილში — ყველა ქვეყნის მრავალ მილიონ მუშის სიცოცხლეს აფასებს უფრო მეტად, ვინემ კაპიტალისტურ მთავრობას. ამიტომ იმპერიალისტები იძულებული არიან გამოიყენონ რუსი თეთრგვარდიელები: თავად-აზნაურები, მუქთახორები, ბანკირები, ფაბრიკის მეპატრონეები, მოსყიდული ოფიცრები, პროსტიტუტკები, სისხლის სამართლის დამნაშავეები და დეგენერატები, — ერთი სიტყვით, რუსეთის მთელი ნაძირალები, რომლებიდანაც რუსმა მუშებმა და გლეხებმა გასწმინდეს თავისი ქვეყანა 1917 წელს.**

ჩვენ დარწმუნებული ვართ — დასძენს გაზეთი, რომ ყველა კლასობრივად შეგნებული ინგლისელი მუშები ჩვენთან ერთად იტყვიან, რომ **უცხოეთის იმპერიალიზმის დანარჩენი თეთრი აგენტები რაც უფრო მალე მიჰყვებიან დახვრეტილებს, მით უკეთესი**" (ადს).

ახალგაზრდობის ლიგის კონფერენცია

ლონდონი, 17 ივნისი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ახალგაზრდობის ლიგის კონფერენციაზე, რომელიც ამას წინად გაიმართა, ცხარე კამათი გამოიწვია საკითხმა ერთიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ, რაც უარყოფილ იქნა 29 ხმით 24-ის წინააღმდეგ. ამასთან ერთად **კონფერენციამ 26 ხმით 21-ის წინააღმდეგ მიიღო მემარცხენე ფრთის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია,** რომელიც მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა **უარი სთქვა საბჭოთა კავშირში ინგლისის მუშა ახალგაზრდობის დელეგაციის გაგზავნისათვის ხელის შეწყობაზე.**

ლიგის თავმჯდომარეთ არჩეულია **ბობ ედვარდსი,** უკანასკნელი თავმჯდომარეობდა პროლეტარულ ახალგაზრდობის დელეგაციას, რომელმაც საბჭოთა კავშირი მოიარა. **ედვარდსი ეკუთვნის მემარცხენე ფრთას და ემხრობა კომუნისტურ ახალგაზრდობასთან თანამშრომლობას.** (ადს).

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

ვაშინგტონი, 17 ივნისი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა რამდენიმე ცნობა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შორის არსებულ ვაჭრობის შესახებ. მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში შეერთებულ შტატების ექსპორტი საბჭოთა კავშირში განისაზღვრება დაახლოებით 20 მილიონი დოლარით, წინააღმდეგ 15 მილიონი დოლარისა გასული წლის ამავე ხნის განმავლობაში. შეერთებული შტატების იმპორტი საბჭოთა კავშირიდან ამავე ხნის განმავლობაში უდრის 2.700.000 დოლარს, წინააღმდეგ 5.600.000 დოლარისა, რომელიც გასულ წელში იყო. (ადს).

დაწინაურებულთა მუშაობის შესახებ

საბჭოთა აპარატის გამარტივება-გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ორი მთავარი მიმართულებით მიმდინარეობს. ერთია აპარატის წყობის განახლება-გადახალისება მისი გაჯანსაღების მიზნით და მეორე იმ ცოცხალ ადამიანურ მასალის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რომელიც წარმოადგენს აპარატის მამოძრავებელ ძალებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მუშათა დაწინაურების პრაქტიკას, რომელიც ბოლო ხანებში უფრო მტკიცეთ და მასიურათ ტარდება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

საბჭოთა აპარატის მუშაკთა უმრავლესობა ძველი მეფისა და მენშევიკების დაწესებულებისაგან მემკვიდრეობით დაგვრჩა ჩვენ. მიუხედავად ამისა ამ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა უკვე გარკვევით სდგას საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების სადარაჯოზე და სინიდისით ასრულებს თავის მოვალეობას. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არაა. ჩვენ ღარიბი ვართ ახალ ფორმაციის საბჭოთა მუშაკებით. ასეთ მუშაკების წყარო კი მუშურ-გლეხური მასებია

გამოცდილებამ უკვე დაგვანახვა, რომ მუშათა და გლეხთა დაწინაურება სავსებით გამართლა ცხოვრებამ. საჭირო იყო მხოლოდ ერთგვარი შიშის და უნდობლობის კედლის გარღვევა, რომელიც აღმართული იყო მუშებისა და გლეხების დაწინაურების საქმის წინაშე, დღეს ეს სიძნელე გადალახულია. მუშურ-გლეხურ მასების დაბლა ფენებიდან სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებულია არა ერთი ასეული მუშაკი.

თავისთავად ცხადია, რომ დაწინაურებულებს უმეტეს შემთხვევაში აკლიათ საქმის სათანადოთ ცოდნა და საჭირო გამოცდილება. მათი გზის მაჩვენებელია ამ შემთხვევაში ის კლასიური თვითმოქმედება და საწარმოო გამოცდილება, რომელიც თან მოაქვთ მუშურ-გლეხურ ფენებიდან. ამიტომ, რომ დაწინაურებულთა მუშაობა თავიდანვე ნაყოფიერათ სწარმოებდეს, საჭიროა შეიქმნას მათი მუშაობისათვის ხელის შემწყობი პირობები.

პირველ ყოვლისა დიდი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ამ შემთხვევაში იმ დაწესებულების თუ წარმოების ადმინისტრაციას და პარტორგანიზაციას, სადაც დაწინაურებული ამხანაგი იგზავნება. მათ უნდა მიიღონ ყოველივე ზომები იმისათვის, რათა დაწინაურებულს გაუადვილონ საქმეში გარკვევა გარდა ამისა, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის მაგალითები, როცა ჩვენს დაწესებულება-წარმოებებში ჯერ კიდევ თბილათ მოკალათებული ბიუროკრატები მტრული თვალით უყურებენ დაწინაურებულებს და ფარულ გზით ყოველნაირათ ცდილობენ ხელი შეუშალონ მათ წარმატებით მუშაობას.

ადმინისტრაციამ და უჯრედმა უნდა მიიღოს ზომები, რათა დაწინაურებულს დაწესებულებაში შეუქმნას ამხანაგური ატმოსფერა და ამრიგათ ხელი მოუმართოს მას დაკისრებულ საპასუხისმგებლო მოვალეობის დამშვიდებული და საფუძვლიანი შესწავლა-შესრულების საქმეში.

გარდა ამისა შემჩნეულია, რომ დაწინაურებული მუშები ან გლეხები იმ მოსაზრებით, რათა კავშირი არ გასწყვიტონ მათ წამოყენებულ დაწესებულება-ორგანიზაციასთან, მექანიკურათ განაგრძობენ იმ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებას, რომელიც მათ ჰქონდათ დაწინაურებამდე. ან ხდება სხვანაირათ: დაწინაურებული მუშა თუ გლეხი თავის პირდაპირ თანამდებობრივ მოვალეობის გარდა კისრულობს მრავალ საზოგადოებრივ მოვალეობას. ცხადია, ჩვენ ვერ წავალთ იმის წინააღმდეგ, რომ დაწინაურებული ადმინისტრატიულ თანამდებობის შესრულებასთან ერთად საზოგადოებრივ მუშაობაშიაც ღებულობდეს მონაწილეობას. მაგრამ ერთი რამ უნდა თავიდანვე იქნას გარკვეული. ეს ის, რომ დაწინაურებულნი არ უნდა იტვირთებოდენ ზედმეტი საზოგადოებრივი და სხვა სახის სამუშაოებით, რომელსაც არა აქვს პირდაპირი კავშირი მათ თანამდებობრივ ფუნქციებთან. განსაკუთრებით უნდა იქნას დაცული ეს პირობა დაწინაურებულის მიერ მუშაობის პირველ ხანებში, საერთოდ კი მას უნდა მიეცეს ისეთი ხასიათის საზოგადო სამუშაო, რომელიც ბევრ დროს და ენერგიას არ მოითხოვს.

ამასთან ერთად დაწინაურებული სისტემატიურათ უნდა აკეთებდეს უჯრედის და უპარტიო მუშების საზოგადო კრებებზე მოხსენებას თავის მუშაობის შესახებ. უჯრედი უნდა აძლევდეს მას მითითებებს ამა თუ იმ საკითხებზე და უნდა უწევდეს მას ამხანაგურ დახმარებას დაკისრებულ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებაში. ამავე დროს დაწინაურებული საჭიროა ცდილობდეს საკუთარ საწარმოო ცოდნის პოლიტიკურ მომზადების გაძლიერებაზე. ამისათვის აუცილებელია დაწინაურებულთა წრეების მოწყობა, რომელთაც უხელმძღვანელებენ ავტორიტეტული პარტიული ამხანაგები.

გარდა ამისა დაწინაურებულთათვის მუშაობის გასაადვილებლათ დროგამოშვებით უნდა ეწყობოდეს მათი თათბირი, სადაც გარჩეული იქნება ის საჭირბოროტო საკითხები, რომელნიც წამოიჭრებიან დაწინაურებულთა ყოველდღიურ მუშაობაში. ამასთან ერთად დაწინაურებულთა მუშაობა რეგულიარულათ უნდა შუქდებოდეს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და განსაკუთრებით სამეურნეო ხასიათის გამოცემებში.

პარტიამ და პროფკავშირებმა წარმატებით ჩაატარეს დაწინაურების საქმე. საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენებულია მუშებისა და გლეხების საუკეთესო ნაწილი. მშრომელი მასა იმდენათ გაიზარდა რევოლიუციის წლების განმავლობაში, რომ ჩვენი აპარატის გასაჯანსაღებლათ მის ფენებში კიდევ საკმაოთ დიდი ძალა მოიპოვება. საჭიროა მხოლოდ მათი მოხერხებული შერჩევა და თვითეულ წამოყენებულის შესაფერის ადგილას დაყენება. მომავალში ერთი მხრით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა დაწინაურებულთა შორის და მეორე მხრით განვაგრძოთ ახალი ძალების გამოძებნა საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელ კვანძებზე დასაყენებლათ.

ბ. რ ლი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო ომი ჩინეთში

იაპონიის ჯარები

შანხაი, 17 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, **ჩან-ძუნ-ჩანმა** იაპონიის ხელისუფლებას **განუცხადა, რომ იგი არ კისრულობს პასუხიმგებლობას იაპონელი მოქალაქეების დაცვისათვის შანდუნის პროვინციაში.**

ამის გამო ძინანფუნში გაიგზავნა იაპონიის ჯარები 1.500 კაცის შემადგენლობით ცინდაოში ელიან იაპონიის ჯარების ახალი ნაწილების ჩასვლას. (ადს).

სტუდენტების დაპატიმრება

შანხაი, 17 ივნისი. ჩინური გაზეთების ცნობით, **სიკაივეში** (შანხაის ერთ-ერთი რაიონი) **დაპატიმრებულია 6 სტუდენტი, რომელნიც ვითომც ავრცელებენ კომპარტიის არალეგალურ ორგანოს,** რომელშიაც მკაცრი წერილები იყო მოთავსებული ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. (ადს).

ხანჩუანის ევაკუაცია

შანხაი, 17 ივნისი. იაპონიის სააგენტო ტოხოს ცნობით, **შანდუნელების ჯარებმა დასცალეს ხანჩუანი, ჩან-სოს პროვინციის საზღვარზე.** შანდუნის არმია იხევს იენჯაუფუს მიმართულებით, 130 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით ხანჩუანიდან. (ადს).

იაპონიის პოზიცია

შანხაი, 17 ივნისი. ინგლისური გაზეთის „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს"-ის ცნობით იაპონური წყაროებიდან. „**არის ნიშნები იმისა, რომ პრემიერმა ტანაკამ გადასწყვიტა ბოლო მოუღოს შემარიგებელ პოლიტიკას** და იმუშავებს ახალ პოლიტიკას, რომელიც შეეფერება იაპონიის საკუთარი ღირსების ცნობას". (ადს).

ნანკინის მთავრობის რწმუნებული

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსი"-ს კორესპონდენტის ცნობით, ნანკინის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ვაშინგტონში იგზავნება სპეციალური რწმუნებული იმ მიზნით, რომ მიაღწიოს ნანკინის მთავრობის ცნობას ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ. (ადს).

ჩან-კაი-ში უარჰყოფს

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსი"-ს ნანკინელი კორესპონდენტის ცნობით, ჩან-კაი-შიმ უარჰყო ხმები ჩან-ძო-ლინთან კავშირის შეკვრის შესახებ. (ადს).

უხანის გამარჯვება

ხანკოუ, 17 ივნისი. **ხუბეის პროვინციაში უხანის მთავრობის ჯარებმა დაიკავეს შაიანშუხი.** იან-სენის ჯარები უკან იხევენ. **უხანის ჯარების სარდლობა ემზადება იან-სენის ჯარების საბოლოო ლიკვიდაციისათვის.** (ადს)

გენერალი სიმუსი"

პეკინი, 17 ივნისი. ჩან - ძო - ლინმა გამოაქვეყნა დეპეშა, რომელშიაც იუწყება, რომ შეუდგა გენერალისიმუსის მოვალეობის ასრულებას. (ადს)

იან-სენი ხუბეის პროვინციაში

შანხაი, 17 ივნისი. შანხაის ინგლისური გაზეთების ცნობით, იჩანი (ხუბეის პროვინცია) სავსეა იან-სენის (უ-პეი-ფუს მომხრეა) ჯარებით, რომლებმაც დაიჭირეს უცხოელთა ყველა შენობები.

იან-სენი მოსახლეობისაგან მოითხოვს 400.000 დოლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის განადგურებით იმუქრება (ადს).

ანტიინგლისური ბლოკი

შანხაი, 17 ივნისი. ინგლისური გაზეთების ცნობით, **ნინბოში** (ჯე-ძიანის პროვინცია) **ტარდება ანტიინგლისური ბლოკი. ბოიკოტის გამტარებელმა კომიტეტმა ჩინელ ვაჭრებს აუკრძალა ინგლისური საქონლით ვაჭრობა. ჩინელებს მიეცა წინადადება არ ისარგებლონ ინგლისის გემებით.** (ადს).

ჩან-ძო-ლინის „ახალი პოსტი"

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. სააგენტო „ასოშიეტედ პრეს"-ის კორესპონდენტის ცნობით, ანგოჟოუნის მთავრობის შტაბმა გამოაქვეყნა განცხადება, რომ **ჩან-ძო-ლინმა ყველა ჩრდილოელ მილიტარისტების თანხმობით დაიკავა „ჩრდილოეთ ჩინეთის პოლიტიკურ და სამხედრო დიქტატორის პოსტი".**

კორესპონდენტი ფიქრობს, რომ **მოლაპარაკება ჩან-ძო-ლინს, ჩან-კაი-შისა და ენ-სი-შანს შორის უნაყოფოდ დამთავრდა** (ადს).

მემარცხენეთა დევნა

შანხაი, 17 ივნისი. გაზეთების ცნობით, **მემარჯვენე გომინდანის აღმასკომის საგარეო განყოფილებამ ნანკინში დაადგინა დაპატიმრებულ იქნენ გომინდანის არალოიალური წევრები, რომლებიც საზიანო მუშაობას ეწევიან საზღვარგარეთ.** იმ პირებს, რომელთა დაპატიმრების შესახებ მიღებულია დადგენილება, გაზეთები არ ასახელებენ (ადს).

ეგვიპტე და ინგლისი

ლონდნი, 17 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, ქაირიდან, რომ ეგვიპტეს პრემიერი **სარვატ-ფაშა** გამოვიდა პარლამენტში განცხადებით ინგლისთან კონფლიქტის შესახებ.

„ეგვიპტეს მთავრობა, — სთქვა სარვატ - ფაშამ, — დასთანხმდა ინგილისის მთავრობის იმ მოთხოვნილებებზე, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ინგლისის ინტერესებს და შესაძლოა მათი მიღება, რათა ბოლო მოეღოს უთანხმოებას".

ამ განცხადებას ნაციონალისტებმა უპასუხეს მქუხარე პროტესტით. ერთ-ერთი დეპუტატი ბრალს სდებდა მთავრობას იმაში, რომ ის ჰყიდის ქვეყნის უფლებებს. ზოგიერთი ნაციონალისტი შეეცადა ელაპარაკა, მაგრამ თავმჯდომარემ — ზაგლულ-ფაშამ შესწყვიტა კამათი. (ადს)

რუმინეთი არჩევნების წინ

ვენა, 17 ივნისი. არჩევნების მოახლოების გამო, **რუმინეთში იზრდება უთანხმოება ლიბერალებსა და გლეხთა ნაციონალურ პარტიას შორის. გლეხთა ნაციონალურმა პარტიამ მთავრობას მიმართა პროტესტით იმ საარჩევნო ტერორის წინააღმდეგ,** რომელსაც ადმინისტრაცია ატარებს ბუქარესტის ოლქში; ბრატიანუ ცდილობს შეუთანხმდეს გლეხთა ნაციონალურ პარტიის ბელადს მანიუს. ხმების თანახმად, თუ მანიუმ უარი სთქვა შეთანხმებაზე, ბრატიანუ შეეცდება გადააყენოს სტირბეის კაბინეტი ჯერ კიდევ არჩევნებამდე და თვით ჩაუდგეს მთავრობას სათავეში.

ბურჟუაზიული პრესის ცნობით, **რუმინეთის სოციალ - დემოკრატებმა უარყვეს მუშრ - გლეხური ბლოკის წინადადება ერთიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ არჩევნებზე.** (ადს)

ინგლისის ლაქიები

ოსლო, 17 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ უპასუხა რა შეკითხვაზე ოსლოში საბჭოთა საელჩოში გამართულ სამგლოვიარო კრების შესახებ, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ნორვეგიის მუშათა პარტიის წევრების მიერ რუსეთის საელჩოში წარმოთქმულ სიტყვების წინააღმდეგ. მაგრამ საჭიროა გადავათვალიეროთ სისხლის სამართლის კოდექსი იმ მიზნით, რომ ასეთ ინცინდენტებს მომავალში აღარ ექნეს ადგილი.

პარლამენტის თავმჯდომარემ კომუნისტური ფრაქციის ბელადს შენიშვნა მისცა იმისთვის, რომ უკანასკნელის სიტყვაში იყო მეგობრულ სახელმწიფოს (ინგლისის) შეურაცმყოფელი ადგილები.

პარლამენტმა 106 ხმით 29-ს წინააღმდეგ მიიღო აგრარულ პარტიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ბელადის **მადსენის** მიერ სამგლოვიარო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვას (ადს).

მენშევიკების სალაყბო

ბერლინი, 17 ივნისი. ამსტერდამის ინტერნაციონალის ოფიციალურ ბიულეტენის ცნობის თანახმად, სექტემბერში ბრიუსელში შესდგება ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმი. (ადს)

საკო და ვანცეტი

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. **15 ივნისს, ბუენოს - აირესში ჩატარებულ იქნა ერთი დღის საპროტესტო გაფიცვა საკო და ვანცეტისათვის გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ.** ქალაქის წარმოებათა უმრავლესობამ მუშაობა შესწყვიტა. (ადს)

დორიოს დევნა

პარიზი, 17 ივნისი. ბარტუმ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტრომ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ **პროკურატურამ გადასწყვიტა დააპატიმროს დორიო, როგორც კი იგი გამოჩნდება საფრანგეთის ტერიტორიაზე.** გადაწყვეტილების მოტივი ასეთია განაჩენი მოქმედების კომიტეტის საქმეზე, რომლის მიხედვითაც დორიოს მიუსაჯეს 13 თვით დაპატიმრება, საბოლოოდ შევიდა ძალაში. კომუნისტ-დეპუტატებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ **დორიოს ფაქტიურად წაართვეს დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლება, მაშინ როდესაც პალატის კომისიამ ამის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოიტანა.** პუანკარემ განაცხადა, რომ დორის არ იქნება დაპატიმრებული. სანამ პალატა არ გამოიტანს გადაწყვეტილებას კომუნისტური ფრაქციის შეკითხვის გამო. (ადს)

ინგლისელები სპარსეთში

ბერლინი, 17 ივნისი. „ბერლინერ ლოკალ ანცეიგერ" სწერს, რომ ქაბულიდან მიღებულ ცნობის თანახმად **ინგლისის ელჩი თეირანში კლაივი უაღრესად აქტიურ პოლიტიკას აწარმოებს სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ** იმ მიზნით, რომ მიაღწიოს ინგლისის მთელ რიგ მოთხოვნილებათა განხორციელებას. ჯერ კიდევ 9 აპრილს კლაივმა ინახულა შაჰი და წინადადება მისცა მას შეეცვალა ინგლისისათვის მიუღებელი მუსტოფის კაბინეტი. (ადს

მუშათა პროტესტი

ჰელსინგფორსი, 17 ივნისი. **16 ივნისს ფინეთში დაიწყო მუშათა სპორტის დღესასწაული,** რომელიც გაგრძელდება 3 დღეს. მონაწილეობას იღებენ მრავალი ქვეყნების მუშათა სასპორტო ორგანიზაციები. **საბჭოთა კავშირიდან გაგზავნილია 100-მდე სპორტსმენი.,** (ადს)

კაპიტალის მონა

პარიზი, 17 ივნისი. რენოდელი, ასაბუთებს რა თავის გადაწყვეტილებას საფრანგეთის სოციალისტური პარ. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ, აცხადებს, რომ პარტიის ეხლანდელ პოლიტიკას იგი სცნობს დამღუპველად. „**ვინაიდან ბლოკი კომუნისტებთან პარტიას ართმევს საშუალებას, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დასდოს შეთანხმება რადიკალებთან**".. (ადს)

ლოს-ანჟელოს-ტოკიო

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. ლინდბერგის და ჩემბერლინის ატლანტიურ ოკეანეზე გადაფრენასთან დაკავშირებით, ამერიკაში დანიშნულია ჯილდო: 30.000 დოლარი ლოს-ანჟელოსიდან ტოკიოში შეუჩერებლივ გადაფრენისათვის (მანძილი 5.000 მილი) და 25.000 დოლარი ამერიკის წყნარ ოკეანეს ნაპირიდან ჰავაის კუნძულებამდე შეუჩერებლივ გადაფრენისათვის (ადს).

უკანასკნელი ცნობები

დორიოს საქმე

პარიზი, 18 ივნისი. შეკითხვის საპასუხოდ დორიოს დაპატიმრების განზრახვის შესახებ ბარტუმ განაცხადა, რომ დორიო არ იქნება დაპატიმრებული, ვინაიდან მან უკანასკნელ მომენტში შემოიტანა საკასაციო საჩივარი.

„თუ შემდეგში, — განაცხადა ბარტუმ,— გადაწყდა მისი დაპატიმრება, წინასწარ შევეკითხებით დასტურისათვის პალატას". პალატამ 400 ხმით 150-ის წინააღმდეგ დაადგინა გადაიდოს შეკითხვა სემარის დაპატიმრების შესახებ. (ადს).

ინდოელ რევოლიუციონერის დასჯა სიკვდილით

შანხაი, 18 ივნისი. სისრულეში მოიყვანეს სიკვდილის განაჩენი, რომელიც ინგლისის სასამართლომ გამოუტანა ინდოელ რევოლიუციონერს სინგს ინგლის-ინდოეთის პოლიციის უფროსის მოკვლისათვის შანხაიში (ადს).

ომის საწინააღმდეგო მიტინგები პარიზში

პარიზი, 18 ივნისი. გუშინ 15,000 მუშა შეიკრიბა საპროტესტო მიტინგზე ომის წინააღმდეგ. მიტინგი მქუხარე ტაშით შეხვდა სემარის და მონმუსოს წერილებს, რომლებიც მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის და ჩინეთის რევოლიუციის დაცვისა და ახალი ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

კაშენს, რომელიც თავის სიტყვაში ამხელდა იმპერიალისტების ინტრიგებს ჩინეთში და პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, სიტყვა შეაწყვეტინეს ხმებით: „გაუმარჯოს ჩინეთს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას".

დორიოს გამოჩენას დარბაზი მქუხარე ოვაციებით და „ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვდენ.

„მე ვნახე ფრანგი მეზღვაურები, — განაცხადა დორიომ, — რომლებიც ჩინეთში ვაგზავნეს და დავრწმუნდი, რომ თუ თქვენ განაგრძობთ კამპანიას მათ უკანვე დასაბრუნებლად, ისინი სიხარულით შეხვდებიან ამას. ჩინეთში შეიძლება განმეორდეს შავი ზღვის ლაშქრობის ისტორია".

შეჩერდა რა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო კამპანიაზე, დორიომ განაცხადა: „იბრძოლეთ ლომებივით რუსეთის რევოლიუციისათვის, იბრძოლეთ ლომებივით ჩინეთის რევოლიუციისათვის — იმპერიალისტების წინააღმდეგ". (ადს).

გერმანიის პრესა ერთა ლიგის სესიის შესახებ

ბერლინი, 18 ივნისი. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ ერთა ლიგის საბჭოს სესიის დახურვა მოკლებული იყო ყოველგვარ საზეიმო ხასიათს. პრესის აზრით, სესია ამ უკანასკნელ დროს გამართულ ყველა სესიებზე უნაყოფო აღმოჩნდა.

ცენტრის პარტიის ორგანო „გერმანია" ფიქრობს, რომ ჟენევის მოლაპარაკებით ყველაზე მეტი მოიგო იმ ქვეყანამ, რომელიც მას არ დასწრებია, სახელდობრ, საბჭოთა კავშირმა. „თუ რუსებს — სწერს გაზეთი — ეშინოდათ, რომ მათ წინააღმდეგ შეიქნებოდა ერთიანი ფრონტი, ჟენევის სესიის შემდეგ მათ არავითარი საბუთი არ აქვთ ამის შიში იქონიონ" (ადს).

ჩან-კაი-შის ჯარების წინსვლა

შანხაი, 18 ივნისი. ჩინურ გაზეთების ცნობით, ჩან-კაი-შის ჯარებმა დაიკავეს მინ-ინი, 35 კილომეტრის მანძილზე იან-ჩჟოუს აღმოსავლეთით (ადს).

ზენა ბეგ გაემგზავრა ბელგრადიდან

ვენა, 17 ივნისი. ალბანეთის ელჩი ბელგრადში ზენა-ბეგ გაემგზავრა ტირანში (ადს).

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 18 ივნისი. გაიხსნა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მორიგი პლენუმი.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შაცკინმა.

დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. მანუილსკის მოხსენება კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელი პლენუმის შესახებ (ადს).

საერთაშორისო ელექტრო-ტეხნიკური კონგრესი

ლენინგრადი, 18 ივნისი. პარიზში ლენინგრადიდან საერთაშორისო ელექტრო-ტეხნიკურ კონგრესზე დასასწრებად გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია (ადს).

მეორე საავიაციო ლატარია

მოსკოვი, 18 ივნისი. 18 ივნისს სახელმწიფო ბანკის ყველა ფილიალებში და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში დაიწყო მეორე საავიაციო ლატარიის ბილეთების გაყიდვა. უკვე მიღებულია დაკვეთა 600.000 ბილეთზე. ივლისის ბოლოს დაიწყება პირველ ლოტარიის მიხედვით მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო და ევროპაში (ადს).

უცხოეთში

შეერთებული შტატების იმპერიალიზმისა და ერთა ლიგის წინააღმდეგ

მოძრაობა შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია „პან-ამერიკანიზმის" სახელწოდებით, უფრო და უფრო ვრცელდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებში. ამ რამდენიმე ხნის წინათ შესდგა გონდურასის, გვატემალას, პერუს, ურაგვაისა და არგენტინის წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც დაარსებულ იქნა „კონტინენტალური კავშირი". კავშირი მიზნად ისახავს ამერიკის ერთა ლიგის დაარსებას წინააღმდეგ ჟენევის ერთა ლიგისა და შეერთებული შტატების იმპერიალიზმთან საბრძოლველად.

კავშირის მთავარი მიზანია „ბრძოლა ამერიკის იმ რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობისათვის, რომლებიც ამჟამად შეერთებული შტატების ფაქტიური პროტექტორატის ქვეშ იმყოფებიან, რისთვისაც ლათინური ამერიკის ამ რესპუბლიკებმა უნდა დაარსონ ლიგა.

ლიგას სათავეში უდგანან **მანუელ უგარტე** და **ორსაბალ კვინტანა.**

უგარტე—ლათინური ამერიკის ყველაზე უფრო გამოჩენილი მწერალი და პოეტია. მას რამდენიმე წიგნი აქვს დაწერილი შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. იგი მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ანტი-იმპერიალისტურ კონგრესზე, რომელიც ბრიუსელში შესდგა.

კვინტანა მსახურებდა არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1919 წ. ის იძულებული შეიქნა გადამდგარიყო იმის გამო, რომ საჯარო კრებებს აწყობდა საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა არგენტინაში „საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების" დაარსებაში. გაზეთ „რენოვასიონ" („აღორძინება"), რომელსაც კვინტანა რედაქტორობს, მკაცრ კამპანიას აწარმოებს შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მექსიკა პრეზიდენტის არჩევნების მოლოდინში

1928 წლის ივლისისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით მექსიკოში შესდგა მექსიკის ახლანდელი საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დაარსებულ „ნაციონალურ-რევოლიუციონური პარტიის" ყრილობა. ყრილობამ პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა კანდიდატურა გენ. **სერრანოსი,** რომელიც სამხედრო მინისტრათ იყო ობრეგონის მთავრობაში (1920-24 წ.) და მონაწილეობას იღებდა გენ. ადოლფო ხუერტას რეაქციონური აჯანყების ჩაქრობაში (1923 წ.). აჯანყების ჩაქრობის შემდეგ პრეზიდენტმა კაიესმა გენ. სერრანო გაგზავნა ევროპაში სამხედრო საქმის შესასწავლათ და სამხედრო მასალების შესაძენათ. მექსიკაში დაბრუნების შემდეგ სერრანო დანიშნულ იქნა ე. წ. ფედერალური ოლქის გუბერნატორათ. სერრანო ცნობილია, როგორც მომხრე გენ. ობრეგონის, რომელიც მას დაუჭერს მხარს, თუ საკუთარი მისი კანდიდატურა დამარცხდა. უკანასკნელ დრომდე რეფორმისტები უარყოფითად უყურებდნენ სერრანოს კანდიდატურას. მაგრამ ამჟამად „მუშათა" პარტიის 30 დეპუტატი შეუერთდა ნაციონალურ-რევოლიუციონურ პარტიას და მდგომარეობა შეიცვალა. სერრანოს აქვს რეპუტაცია ფარული სარისკიპო სახლების შემნახველის, რაც მას დიდ შემოსავალს აძლევს.

სოციალ-ბანდიტის—რამიშვილის წერილიდან





უცხოელი და საბჭოთა მწერლები ომის საფრთხის წინააღმდეგ

მოსკოვი, 18 ივნისი. 20 ივნისს გამოდის საბჭოთა მწერლების ფედერაციის ერთ დღიური გაზეთი სახელწოდებით „ომის საფრთხის წინააღმდეგ".

მთელი წმინდა შემოსავალი მოხმარდება ფურმანოვის სახელობის თვითმფრინავის აგებას ესკადრილიისათვის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს".

გაზეთში მოთავსებულია უცხოელ მწერლებისაგან მიღებული დეპეშები ომის საფრთხის წინააღმდეგ.

მოგვყავს რამდენიმე დეპეშის შინაარსი:

მაქსიმ გორკისაგან

„სორენტო, 13 ივნისი. სავსებით უერთდები პროტესტს ომის პროვოკაციის წინააღმდეგ; ყოველგვარი ომი მიმაჩნია ომად მუშა ხალხის წინააღმდეგ. გორკი".

ჟორჟ დიუამელისაგან

„ვალმენდუა, 18 ივნისი. რუსეთს უნდა მიეცეს აღორძინებისა და მშვიდობიანი შრომის საშუალება. დიუამელი".

ანრი ბარბიუსისაგან

„პარიზი, 12 ივნისი. სულით და გულით თქვენთან ვარ. ანრი ბარბიუსი".

პიერ ამპისგან

„უერთდები საბჭოთა მწერლების ფედერაციის პროტესტს. პიერ ამპი".

პანაიტ ისტრატი

„ტრიელი. თქვენთან ერთად ხმას ვიმაღლებ იმპერიალისტურ თავდასხმების წინააღმდეგ. მთელი ძალ-ღონით ვიბრძოლებ მუშურ რესპუბლიკის — საბჭოთა კავშირის დასაცავად: პანაიტ ისტრატი".

დიუკ დიურსტენი

„პარიზი, 18 ივნისი. შევებრძოლები ყოველგვარ ომს, მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილის გარიყვის უგუნურ ცდას, და დავიცავ ცივილიზაციას. დიუკ დიურენი".

პროფ. დოლგოვის წერილი

პროფესორი დოლგოვი ამ გაზეთში სწერს: „აზრი რევოლიუციის წინანდელ ურთიერთობის აღდგენის შესახებ თავისთავად აბსურდულია. მის განსახორციელებლად ფორმის მოფიქრებაც კი შეუძლებელია".

მწერალი ბაბელი

მწერალი ბაბელი გადაჭრით აცხადებს: „მე ძლიერ მინდა დავამთავრო ჩემს მიერ დაწყებული რომანი, მაგრამ თუ თავზე მოგვახვიეს ომი, წავალ წითელარმიელად და ვიბრძოლებ ჩემი უფლებისათვის, ჩემი რომანის დამთავრების უფლებისათვის".

რომენ როლანის წერილი

საფრანგეთის პარლამენტის მიერ მიღებული სამხედრო კანონპროექტის შესახებ გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა **რომენ როლანმა** გაზეთ „ეტენსელში" („ნაპერწკალი") რედაქტორისადმი მიწერილ წერილში თავისი შეხედულება გამოსთქვა.

ძვირფასო მეტნუარ დე ტერი!

სავსებით უერთდები თქვენს პროტესტს საშინელი სამხ. კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც თაღლითობით იქნა მიღებული პარლამენტის მიერ. ეს კანონ-პროექტი, რომლის შეტანაში და მიღებაში ზოგიერთმა სოციალისტმა გამოიჩინა თავხედობა, რომელიც დანაშაულობამდე აღწევს, ანხორციელებს იმას, რის განხორციელება დღემდე ევროპაში ვერ გაბედა ვერავითარმა ფაშისტურმა და იმპერიალისტურმა დიქტატურამ. მთელი ხალხის დამონებას აკვნიდან საფლავამდე.

ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმის თქმას, რომ რამდენადაც მე შემეხება, წინდაწინვე ვფიცავ, რომ არასოდეს არ დავემორჩილო ამ ტირანიულ კანონს. მე გამოვედი მთელი ერის და თითქმის ცხოვრების საზღვრებიდან: მე დასასრულს ვუახლოვდები. ეს კანონი მე ველარ შემბოჭავს. მაგრამ ვეჭვობ, რომ საფრანგეთის ხალხმა (რომელსაც ბოროტმოქმედმა პრესამ ყოველივე დაუმალა) აიტანოს ეს დამონება. და ჩვენ მას გავახსენებთ, რომ „ხელუხლებელ და განუკერძებელ" კანონებს შორის რომელიც ყოველ ადამიანს „უფლებათა დეკლარაციამ" მიანიჭა 1789 წლის 11 ივლისს, სამი დღით ადრე ბასტილიის აღებამდე, ჩაწერილია „წინააღმდეგობა ძალმომრეობისადმი".

მეგობრული სალამით

რომენ როლან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

აკადემიკოს კონის ავადმყოფობა

ლენინგრადი, 18 ივნისი. მდგომარეობა აკადემიკოს კონის, რომელიც ფილტვების ანთებით არის ავად, უარესდება. ექიმების სიტყვით, კონის სიცოცხლე საფრთხეშია (ადს).

ბაიკალის იქითა მხარის რკ. გზ. სამმართველოს ყოფ. მუშაკების საქმე

მოსკოვი, 18 ივნისი. დამთავრდა ბაიკალის იქითა მხარის რკ. გზის სამმართველოს ყოფ. პასუხისმგებელ მუშაკთა პროცესი. სამმართველოს თავმჯდომარე და გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებული ტურენკოვი და სხ. ჩინეთში გამგზავრების დროს მართავდენ ორგიებს რესტორანებში და შანტანებში, რითაც ისინი სახელს იტეხდენ, როგორც საბჭოთა მუშაკები. ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი კომაროვის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება გაფლანგვისა და სიყალბის შესახებ, დამტკიცდა, მას მიუსაჯეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანარჩენ დამნაშავეთა საქმე გადაწყდება დისციპლინარული წესით (ადს).

ინგლისის დაკვეთები

ლენინგრადი, 18 ივნისი. მიუხედავად განხეთქილებისა ინგლისთან, ინგლისის ფირმებს მაინც აინტერესებს ჩვენი საქონელი. ასანთის ტრესტმა ინგლისიდან მიიღო დაკვეთა 800.000 მან. ასანთის მიწოდების შესახებ (ადს).

ამხ. სემაშკოს გამგზავრება

მოსკოვი, 18 ივნისი. ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. სემაშკო გაემგზავრა გერმანიაში მეცნიერთა კვირაში მონაწილეობის მისაღებათ. ამხ. სემაშკოსთან ერთად გაემგზავრა საბჭოთა სამეცნიერო მუშაკების დელეგაციაც. (ადს).

აკადემიკოს კონის ავადმყოფობა

„დნეპროსტროი"

მოსკოვი, 16 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა „დნეპროსტროის" გამგეობას 1931 წლის დეკემბრისათვის დაამთავროს ჰიდროსადგურის აგება ისე, რომ სამი აგრეგატის საშუალებით გაშვებულ იქნეს 150.000 ცხენის ძალოვანი ენერგია. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა „დნეპროსტროის" გამგეობის მიერ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის მიხედვით დნეპროსტროის ღირებულება ყველა მოწყობილობით გარდა რკინის გზის ხიდებისა 150.000 ცხენის ძალოვანი ენერგიით უდრის 120 მილ. მანეთს, ხოლო 350.000 ცხენის ძალოვანი ენერგიით—130 მილ. მანეთს. (ადს).

ფეიქართა შორის

მოსკოვი, 16 ივნისი. ახალ სამეურნეო ღონისძიებათა გამო, როგორც აღნიშნა ამხ. **მელნიჩანსკიმ** ფეიქართა კავშირის ცეკას პლენუმზე, უმუშევრობა საფეიქრო მრეწველობაში შეიძლება გაიზარდოს.

უმუშევარ ფეიქართათვის დახმარების აღმოსაჩენად მიმდინარე სამეურნეო წელში გადადებულია 600.000 მან. მეტი.

კავშირის ცეკას განზრახული აქვს, რომ მიმდინარე წელშივე შექმნას უმუშევარ ფეიქართათვის დახმარების ფონდი 3 მილიონი მან. რაოდენობით. (ადს).

ლენინაკანის აღდგენა

ერევანი, 17 ივნისი. ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში, ლენინაკანის აღმდგენელ კომიტეტის სამუშაოთა უფროსმა **ჩისლიანმა** შემდეგი განაცხადა:

ლენინაკანის და მისი რაიონების აღდგენისათვის დაწყებული მუშაობა, წარმატებით მიმდინარეობს. გარდა იმისა, რომ კერძო სახლების პატრონებიც დიდ მუშაობას ეწევიან, კომიტეტმა სავსებით შეაკეთა 22 დიდი შენობა, საავადმყოფო და მთავრობის დაწესებულებანი. სკოლის შენობათა შეკეთება დასრულდება სამოსწავლო წლის დასაწყისში. დაწყებულია აგრეთვე მუშაობა მუსაელიანის სახელობის ბაღის გასაფართოებლად და მის ირგვლივ ქუჩების გასაყვანად, სადაც აშენებული იქნება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები 8 ან 12 ბინით. ლენინის მოედანზე დაწყებულია 3 სართულიანი სასტუმროს შენება და სადირკველი ეყრება აგრეთვე მუშათა სასახლეს, რომელშიაც თავისუფლად მოთავსდება ყველა კავშირება და თეატრალური დარბაზი. სრულდება ვიწროლიანდაგის გაყვანა ქვიან და სილიან ადგილებში თორმეტი ვერსის მანძილზე. ახლო ხანში სავსებით დასრულებული იქნება ცემენტის ქარხნის აგება. უკვე მზათ არის ხე-ტყის დასამუშავებელი სახელოსნო. დაწყებულია საჩვენებელი სახლის აშენება—პემზის თიხისაგან, რომელიც უხვად მოიპოვება ლენინაკანის მიდამოებში. პემზის თიხა საყურადღებოა მით, რომ ის გაცილებით გამძლეა, ვინემ აგური და სითბოს ნაკლებად ატარებს. შეიძლება მისი ადვილად გახეხვა, ხეზე დაწებება და დაჭედვა ლურსმნით. ასეთი ღირსება მას საუკეთესო საამშენებლო მასალად ხდის მას.

შენებლო მასალად ხდის. ამიტომ ეს თიხა გამოყენებული იქნება ლენინაკანის და მისი რაიონების აღსადგენად.

მიხ. კახიანი

კიდევ ქართული ემიგრაციის შესახებ

I

ჟორდანია-რამიშვილის მებრძოლი მენშევიზმის პოზიცია

ერთი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ უბრუნდებით საკითხს ქართული მენშევიკური ემიგრაციის შესახებ. ეს აუცილებელი ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ხელთ არის ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელნიც ახასიათებენ მებრძოლი მენშევიზმის ახალ ტაქტიკას. ჩვენ ჯერ კიდევ ერთი წლის წინად, ჟორდანიას ძირითად თეზისების გარჩევის დროს, ვსთხოვდით მენშევიკებს, რომ მათ მომავალშიაც ხშირად ეგზავნათ ჩვენთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები, თეზისები და მასალები, ხოლო ჩვენი მხრივ ვპირდებოდით, რომ კეთილსინდისიერათ გავაცნობდით ასეთ მასალას ჩვენს მკითხველებს—საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, და აი, მენშევიკებმა ჩვენ ეხლა მართლაც მოგვცეს საშუალება შევასრულოთ ჩვენი დაპირება, რისთვისაც ისინი მადლობის ღირსნი არიან. საქმე იმაშია, რომ რამოდენიმე კვირის წინად, ოსმალეთიდან ჩვენს საზღვარზე გადმოსვლის დროს, დაპატიმრებულ იქნა ვინმე ივანე ქარცივაძე, რომელიც აღმოჩნდა მენშევიკური ცეკას საზღვარგარეთელი ბიუროს ემისარი. მას აღმოაჩნდა საქართველოს მენშევიკების არალეგალურ ცეკას სახელზე გამოგზავნილი წერილების მთელი სერია. მაგრამ მისამართები აქ როგორღაც „შეეშალათ" და მთელმა ამ მიწერ-მოწერამ, საქართველოს მენშევიკების ცეკას მაგიერ, თავი ამოჰყო საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. ივანე ქარცივაძე საქართველოში ჩამოვიდა, რასაკვირველია, არა სასეირნოთ ან საავარაკოთ. მართალია, ის ეხლა შეეცდება „მამა აბრამის" ბატკნათ მოგვაჩვენოს თავი, თითქოს მან არაფერი იცის, თითქოს შემთხვევით მოხდა მის ხელში დოკუმენტები შემთხვევითვე მოხდა ის საზღვარზე, ასევე შემთხვევით ამოჰყო მან თავი სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში და სხვ. მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ივანე ქარცივაძე ნოე რამიშვილის მიერ არის გამოგზავნილი ისეთსავე „სამუშაოზე", როგორსაც ასრულებდენ ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვები, რომლებიც ჩამოვიდნენ აჯანყების ჯოჯოხეთის მანქანის მოსაწყობად. ივანე ქარცივაძე საზღვარ-გარეთის კონტრ-რევოლიუციის ჯაშუშია, რომელიც გამოგზავნილია საბჭოთა ტერიტორიაზე საზიზღარი ამაფეთქებელი მუშაობის საწარმოებლათ საქართველოს მუშების და გლეხების წინააღმდეგ—იმპერიალისტური მტაცებლების და მათი მენშევიკური ლაქიების დავალებით.

აქედან აშკარად ჩანს, რომ კვლავ ამზადებენ შეთქმულებას საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, აშკარაა, რომ ჯაშუშების გზავნა გრძელდება. და მთელი ამ საქმის სათავე არის პარიზში, მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ შტაბში, რომელსაც ეწოდება საზღვარგარეთის ბიურო, რომ ის გამომდინარეობს ამ შტაბის ხელმძღვანელების—ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილისაგან.

რომ არ დავკმაყოფილდეთ ცარიელი სიტყვებით, ჩვენ ცოტა უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის წერილებზე, ვინაიდან ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი და ყველაზედ უფრო მთავარი იმ მიწერ-მოწერაში, რომელიც აღმოაჩნდა ივანე ქარცივაძეს,—არის სწორედ ორნოეს ახალი სადირექტივო წერილები, რომლებიც დაწერილია მიმდინარე წლის აპრილში.

პირველი, ნოე რამიშვილის, ასე ვსთქვათ, შესავალი წერილი, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ერთგვარ მანდატს, გამოგზავნილია „საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცეკას" სახელზე და იწყება დეკლარაციით, რომ ბოლშევიკებს აუცილებლათ დაღუპვა მოელით (ასე იწყება ამჟამად მენშევიკური მღვდლების, ეფისკოპოსების და არქი-ეფისკოპოსების, როგორიცაა ნოე რამიშვილი, ყოველი ლოცვა!..). აი, ყური დავუგდოთ წერილის დასაწყისს: „დღის წესრიგში დასმულია საკითხი ბოლშევიზმის დამხობის და საბჭოთა კავშირის დანაწილების შესახებ". ერთფეროვანი და მოსაწყენია თქვენი დღის წესრიგი, მოწყალეო ხელმწიფენო, რადგან იქ მუდამ მოსჩანს ერთი და იგივე საკითხი ბოლშევიკების დაცემის შესახებ, ხოლო ბოლშევიკები არ აპირებენ დაცემას. წერილის ბოლო კიდევ უფრო საინტერესოა: „სდგება ფრიად საინტერესო მომენტი, რომელსაც ჩვენ კვალდაკვალ მივყვებით. ჩვენ არც ერთი ხელსაყრელი მომენტი არ უნდა გაუშვათ ისე, რომ არ ვისარგებლოთ მით ჩვენი დამოუკიდებლობის აღსადგენად. ჩვენი მოვალეობაა სულიერი სიმტკიცე და ორგანიზაციის გამაგრება, რათა საჭირო მომენტში ხელისუფლებას დავეპატრონოთ", (ვაი თუ ეს ძვალივით გაგეჩხიროთ ყელში, ბ-ნო რამიშვილო).

ეს დაწერილია ნოე რამიშვილის მიერ 23 აპრილს კონსტანტინოპოლში, სადაც ის ხშირად იმყოფება, მაგრამ იქედან ჩვენ საზღვრებთან მოახლოებას ეს ვაჟბატონი ვერ ბედავს: ასე სჯობს, შორიდან უფრო ადვილია ბრძანებების გაცემა ბოლშევიკების დამხობის შესახებ! მაგრამ ამ წინასიტყვაობიდან დროა გადავიდეთ თვის „ბელადის"—ნოე ჟორდანიას სადირექტივო წერილზე. რას გვაუწყებს ამ შემთხვევაში პარიზიდან ბრძენი მოხუცი? ნოე ჟორდანია სწერს აბესალომ პრაგელის სახელზე. ეს აბესალომი ოპერა „აბესალომ და ეთერიდან" არ გეგონოთ, ის არის მენშევიკების უბრალო ემისარი ივანე ქარცივაძე, და აი, სწორედ ამ აბესალომს, ე. ი. ივანე ქარცივაძეს „ბელადი" „სამუშაოზე" გაგზავნის წინ აძლევს ტეხნიკურ და პოლიტიკურ დავალებებს—სულ მხოლოდ სამ დავალებას. პირველი დავალება მდგომარეობს იმაში, რომ პარიზთან არსებობდეს მუდმივი მიწერ-მოწერა და რაც შეიძლება ხშირად იგზავნებოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში, განსაკუთრებით „ტერორის", „საშინელებათა" და სხვათა შესახებ, რაც მოსწონს საზღვარგარეთის საზოგადოებას. რისთვის არის საჭირო ეს „საშინელი" ცნობები? ჟორდანია სწერს: „ეს ცნობები უნდა გადავსცეთ იმ საანკეტო კომისიას, რომელსაც აარსებს ინტერნაციონალი და რომლის პრეზიდიუმი უკვე დანიშნულია (დებრუკერ და კრისპინ)". აი, თურმე რისთვის არის საჭირო სრული „ინფორმაცია"! ჯაშუშს ავალებენ არალეგალურად გაემგზავროს საქართველოში, ჩაჯდეს იქ „საიმედო ადგილას" (ისევ არალეგალურად!), შეაგროვოს ყოველგვარი ტენდენციური და აშკარად ყალბი ცნობები და ჰკვებოს ამ ცნობებით მეორე ინტერნაციონალის საანკეტო კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს საკითხი „დაჩაგრულ" საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს იქნება საკითხის ბრწყინვალეთ „შესწავლა"! ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ მადლობა უთხრათ მეორე ინტერნაციონალის პარტიებს საკითხის ასეთ „სოციალისტურ", აშკარა „მიუდგომელ" „შესწავლისათვის". ჯაშუშების საშუალებით.

მეორე—ნოე ჟორდანიას „პარტიულ-პოლიტიკური" დავალება მდგომარეობს იმაში, რომ გააცნონ საქართველოს მენშევიკური ორგანიზაციის ეხლანდელი ხასიათის, განუმარტონ ყველას, თუ რას წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტია, აქ მეტად საინტერესო თვით პარტიის ბელადის ახალი აზრი პარტიის ხასიათის შესახებ. აი, ეს ახალი სიტყვაც: „ის (ე. ი. პარტია) გადაიქცა ჩვენი ერის მთავარ საბრძოლველ საშუალებათ... ს.-დ. პარტია არის პროლეტარული და ნაციონალური ორგანიზაცია. ჩვენი მიზანია შევინახოთ ის და ამ საქმეში მოვიხმაროთ ყველა ანტი-ბოლშევიკური ელემენტებიც კი".

მაშასადამე, საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტია ჰკარგავს თავის კლასობრივ, პროლეტარულ ხასიათს, რომელიც მას თითქოს ოდესღაც ჰქონდა (სინამდვილეში კი ეს არ ყოფილა არც წინად) და იქცევა ფართე ნაციონალურ ორგანიზაციათ, ყველა იმ ელემენტების შესაკრებ პუნქტად, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ბოლშევიკებით და მუშების და გლეხების ხელისუფლებით. ასეთ დუქანში თავისუფლათ შევლენ ვაჭრებიც, თავად-აზნაურებიც, კულაკებიც, მღვდლებიც და ყველა ისინი, რომლებიც სდგანან ნოე ჟორდანიას „საერთო ნაციონალურ გაერთიანების" ახალ პლატფორმაზე. მენშევიზმის დალაილამამ, ნოე ჟორდანიამ, დაბოლოს თავისი პირით აღიარა ის, რასაც ჩვენ ვამბობდით მენშევიკების შესახებ. მენშევიკური პარტია ასცდა კლასიურ პოზიციებს, ეს პარტია საბოლოოდ გამოეთხოვა კლასობრივი ბრძოლის პრინციპებს. ტყუილად კი არ გამოდის გადაჭრით, მაგრამ უშედეგოთ, ამ ახალი პოზიციის წინააღმდეგ „რევიზიონისტი" ირ. წერეთელი, რის შესახებაც ჩვენ ლაპარაკი გვექნება შემდეგ წერილში. ტყუილად კი არ იძლევა ჟურნალი „ბრძოლა" (№ 22) „პატარა განმარტებას", რომელიც ყირამალა აყენებს ყველაფერ იმას, რასაც იგივე ნოე ჟორდანია სწერდა წინად, როცა ებრძოდა ფედერალისტებს და ნაც. დემოკრატებს საკითხში მთლიანი ფრონტის, „საერთო ნიადაგის" შესახებ. „ბრძოლა" ბრძნულად განმარტავს, რომ წინად, კლასობრივ ბრძოლის ეპოქაში, საქართველოს სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ სხვაგვარი მეთოდი, სხვაგვარი ტაქტიკა ნაციონალ-დემოკრატებთან მთლიანი ფრონტის წინააღმდეგ, „საერთო ნიადაგის" წინააღმდეგ (ამ ტერმინს სასტიკათ დასცინოდა თვით ნოე ჟორდანია ქართველ ნაციონალისტებთან კამათის დროს). ეხლა კი დრო შეიცვალა, კლასობრივი ბრძოლა ან სრულებით არ არსებობს, ან ის შესუსტდა (აი ეს მართლაც რომ აღმოჩენაა!) და ამიტომ საჭიროა ტაქტიკის შეცვლა, საჭიროა მთლიანი ნაციონალური ფრონტის დაცვა, აი, ასეთ „იდეოლოგიას" სავსებით ეთანხმება შეხედულება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე, როგორც ნაციონალური პარტიაზე. ჩვენ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ ნოე ჟორდანიას, რომ მან გაავრცელოს მუშურ-გლეხურ მასებში ეს „ახალი" შეხედულება მენშევიკური პარტიის შესახებ.

ნოე ჟორდანიას მესამე—„ტაქტიკურ პოლიტიკური" დავალება მდგომარეობს მითითებაში იმაზე, თუ როგორ „მწყობრად" უნდა შეხვდნენ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში შესაძლო გარდატეხას, და როგორ უნდა მოამზადონ ამისათვის არა მარტო პარტია, არამედ „მთელი ქართველი ხალხი". ეს „გარდატეხა", ისევე როგორც საკითხი ბოლშევიკების „დაცემის" შესახებ, მუდამ და უცვლელად სდგას მენშევიკების „დღის წესრიგში" საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. არ იცვლება ეს გრამაფონის ფირფიტა: „გარდატეხა", რას წარმოადგენს ეს ახალი „გარდატეხა" და რაში გამოიხატება ის ეხლა, კონკრეტიულად, ნოე ჟორდანიას აზრით?

ნოე ჟორდანია თავის წერილში აღნიშნავს სამ მთავარ ხაზს, რომელთა მიმართულებით უნდა მოხდეს გარდატეხა—ან თვითეულზე ცალკე, ან სამთავეზე ერთად. ეს ხაზებია: პირველი—შინა-პოლიტიკური, მეორე—შინა-ეროვნული და მესამე—გარეშე-სამხედრო.

ჟორდანიას პირველი ხაზი გულისხმობს საბჭოთა ქვეყნის შინაგან ძირითად ძალების — კომუნისტური პარტიისა და წითელი არმიის დაშლას. აქ უმუშევარ პრემიერის ნოეს მოცლილ ფანტაზიას ეხატება მენშევიკების მუდმივი ოცნების შესრულების პერსპექტივა—ბოლშევიკური პარტიის განხეთქილება, რაც გავლენას მოახდენს წითელ არმიაზე, რომელიც, მისი აზრით, დაეპატრონება ხელისუფლებას და დაიწყება სამოქალაქო ომი. ასეთ პირობებში მენშევიკები მზად უნდა იყვნენ ხელისუფლების ასაღებად და საქართველოს და მთელი კავკასიის რუსეთისაგან გამოსაყოფად. აი, აქ ჟორდანია ცინიკური გულახდილობით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მენშევიკები უნდა მოიქცენ ისე, როგორც ისინი „მოიქცენ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ", ე. ი. მუხანათურად ჩასცენ მახვილი ზურგში რუს მუშებსა და გლეხებს, ამ გმირ-მებრძოლთ სოციალიზმის მშენებლობისათვის., ოღონდაც, ოღონდაც! მენშევიკების მოღალატურ ბუნებას ჩვენ კარგად ვიცნობთ და თქვენი „რჩევა" სწორია, მაგრამ ამ საძაგელი საქმის განხორციელების საშუალებას თქვენ არ მოგცემსთ ახალ, საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები, პარიზში კი თქვენ შეგიძლიათ „აკეთოთ" რაც გსურთ და შედეგებზე გვაცნობოთ „საიდუმლოდ".

ჟორდანიას მეორე ხაზია ერებისა და სახელმწიფოების დაშლა საბჭოთა კავშირის შიგნით, ესაა ხაზი მის დაქუცმაცებაზე. ჟორდანია ფიქრობს, რომ „საბჭოთა კავშირის ნაციონალურ ერთეულებათ დანაწილება ყველაზე უფრო მწყობრად შეიძლება ჩატარდეს თუ ამას უკრაინა იტვირთებს"-ო. მაგრამ რატომ უკრაინამ უნდა აიღოს მოსკოვის წინააღმდეგ გამოსვლის ინიციატივა? იმიტომ ხომ არა, რომ როგორც ჟორდანია აღიარებს „ბოლშევიკურ წყობილებამ... არაისტორიული ერები ნაციონალურად წინ წასწია და აღორძინების გზაზე დააყენა. მაგ. უკრაინა შეიქმნა ჩვენს თვალს წინ". აქ პირდაპირი წინააღმდეგობაა. თუ უკრაინა ჩვენ თვალწინ შეიქმნა და გამაგრდა,—და ეს ასეც არის—თუ უკრაინის ხალხი დაადგა აყვავებისა და აღორძინების გზას,—და ეს ხომ მართალია—მაშინ რა ლოღიკით, თუ არა მენშევიკურ-ჟორდანიას ლოღიკით, უნდა გამოვიდეს უკრაინა მოსკოვის წინააღმდეგ, ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ, რომელმაც ყველა ერები გაანთავისუფლა საუკუნო ბორკილებიდან და მისცა მათ ნამდვილი თავისუფლება? რაღაც არ გამოდის ეს აზრი რიგზე და დალაგებულად. მაგრამ ეს ორი ხაზი თვით ჟორდანიასაც ნაკლებად სწამს. მაშასადამე რჩება მესამე, ძირითადი, ასე ვთქვათ ნოე ჟორდანიას გენერალური ხაზი და ამაში მდგომარეობს, ჩვენი აზრით, სადირექტივო წერილის მთელი სიმძიმის ცენტრი.

ჟორდანიას ეს „გენერალური" ხაზი არის ხაზი სამხედრო გართულებაზე, ომზე და აჯანყებაზე, თუმცა უკანასკნელი ძალიან მოხერხებულად, მენშევიკურად, არის დაფარული. ჟორდანია წერს:

„რუსეთ-ინგლისის ანტაგონიზმი დღეს იმ ხაზშია მისული, რომ ის ვერ გადაწყდება მოლაპარაკებით და მშვიდობიანად... ამჟამად ინგლისი ახდენს ანტისაბჭოთა ძალების თავისმოყრას. ევროპის პოლიტიკის მთავარი ღერძი აქ მარხია". ეს მეტად დამახასიათებელია ყოფილ სოციალისტისა და ყოფილ ადამიან ნოე ჟორდანიასათვის, რომელსაც ახარებს რუსეთთან საგარეო გართულებების პერსპექტივა, ე. ი. ომი,, რაზედაც ის წინადაც ამყარებდა იმედებს თავის წერილებში „ჩვენი ტაქტიკა"-ს შესახებ. რას გვირჩევს ეს, უკაცრავად პასუხია, სოციალისტი, იმ შემთხვევაში თუ ბურჟუაზიული, იმპერიალისტური ინგლისი მაინც მოახდევს ომს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, თუ შუბლმაგარი ლორდები დაიწყებენ მუშებისა და გლეხების გასრესას მუშებისა და გლეხების მხარეზე იქნება ამ გადამწყვეტ, ისტორიულ მომენტში, ოდესღაც მარქსისტი ნოე ჟორდანია? რა თქმა უნდა, რომ არავისაც სურს დარწმუნდეს თუ რამდენად დაეცა რენეგატი ჟორდანია, დეე მოისმინოს მისი ამიერიდან ისტორიული სიტყვები: **ამ მოსალოდნელ იმპერიალისტურ შეჯახებაში საქართველოს პოზიცია** (ნუ ლაპარაკობთ: საქართველოს პოზიცია, არამედ სთქვით: „რამიშვილის ემიგრაციის პოზიცია, ვინაიდან არავის არ მოუცია და არ მოგცემსთ თქვენ უფლებას, საზიზღარო რენეგატო და საქართველოდან გადავარდნილო, ნოე ჟორდანიავ, ილაპარაკოთ მონოპოლიურად ეხლანდელ, ცოცხალ საქართველოს სახელით. საზღვარი აქვს ყოველგვარ თავხედობას და სისაძაგლეს პარიზში მოხეტიალე მინისტრო! მ. კ.) **ნათელია. ის** (ე. ი. მენშევიკური პარტია), **ისე როგორც რუსეთის ყველა ხალხები** (ეს აშკარა სისულელეა, რომელსაც არ სჭირდება განათილება! მ. კ.), **მოსურნეა მოსკოვის დამარცხების**", ნოე ჟორდანიამ ბოლომდე სთქვა ის, რისი თქმაც მას უნდოდა და ძალიან კარგადაც მოიქცა. ვინაიდან ის ამ განცხადებით გაშიშვლდა, ჩვენს წინაშე წარსდგა იმ სახით, როგორც დედა მისმა შობა ის. ნოე ჟორდანიას, რომელიც იმპერიალისტური ომის დროს 1914 წ. იყო სოციალ-პატრიოტი და შოვინისტი, პირწავარდნილი ობორონეცი, და მოუწოდებდა ნიკოლოზ რომანოვის და მისი ყაჩაღების ბრბოს სამშობლოს დაცვისაკენ, მორჩილებით ლოკავდა მეფის ჩექმებს, აი ამ ტიპს არამც თუ მიაჩნია შესაძლებლად მუშებისა და გლეხების სამშობლოს დაცვა, არამედ მოუწოდებს მისი **დამარცხებისაკენ.** ამიტომ საჭიროა ყველამ დაიმახსოვროს ის, რომ **კლასების გადამწყვეტ ბრძოლაში ნოე ჟორდანია არის ლორდებისა და ბურჟუაზიის მხარეზე და ამ სისხლისმსმელ ძაღლებთან ერთად სურს ყელში სწვდეს მუშებსა და გლეხებს,** მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ნოე ჟორდანია დამარცხების გარდა ჩვენ გვეტყვის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ომის დროს. აი როგორ: **„სახეში უნდა გვქონდეს ჩეხელთა ტაქტიკა ომის დროს, შინ აჯანყებას არ ახდენდნენ. ყოველ შემთხვევაში თუ ომის მსვლელობაში საჭიროება მოითხოვს ჩვენს აჯანყებას, ამის მოწოდება და ნებართვა უნდა გამოვიდეს მთავრობისაგან მისი თავმჯდომარის ფორმალური ხელის მოწერით. არასოდეს არ უნდა განმეორდეს ის, რაც ერთხელ მოხდა—თავმჯდომარე იძლევა ერთ დირექტივას, პარტია კი საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს (აგვისტოს").** პოლიტიკაში გამოუცდელი კაცი იფიქრებს, რომ ჟორდანია თვითონ წინააღმდეგია აჯანყების და გმობს აგვისტოს ავანტიურას. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით. ვინც ყურადღებით წაიკითხავს ამ ადგილს, ის დარწმუნდება იმაში, რომ ჟორდანიას აქ, როგორც გამოცდილ, გამომწვარ გაიძვერას, სურს ჩვენი სიფხიზლის შესუსტება, თვალის ახვევა, რათა კვლავ შესძლოს მუშებისა და გლეხების მოტყუილება.

ვინაიდან ყველამ კარგათ იცის, ჯერ ერთი, რომ სწორედ ნოე ჟორდანია წარმოადგენს აგვისტოს ავანტიურის სულიერ მამას, წამქეზებელს, იდეურ სულის ჩამდგმელს, მეორე, რომ უკვე აგვისტოს შემდეგ სწორედ ნოე ჟორდანია სწერდა, რომ „თვით ეს წაგებული ბრძოლაც კი დიდი პლიუსია ჩვენთვის" და რომ „აჯანყება გამართლებულია როგორც პოლიტიკურად, ისე ისტორიულად და მის დადებით შედეგებს ჩვენ აქ ვხედავთ ყოველ დღე-ო. ამის შემდეგ ვინღა დაუჯერებს ნოე ჟორდანიას, როცა ის ლაპარაკობს—თითქოს აგვისტოს შეცდომის შესახებ. ეს ხომ აშკარა თვალთმაქცობა და მორიგი სიცრუეა. **ჩვენ კი კატეგორიულად ვამტკიცებთ, რომ ჟორდანიას ახალ სადირექტივო წერილში არის მითითება აჯანყების მომზადების აუცილებლობაზე.** რაც შეეხება ფორმალურ ხელისმოწერას და თვით ნოე ჟორდანიას ნებართვას აჯანყების მოწყობაზე, ეს აშკარა კომიკურ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვინაიდან მაგიერი ხელმოწერითაც და ასეთი ხელისმოწერის გარეშეც უმოწყალოთ დამარცხდებიან ყველა ისინი, ვინც ცდილობს გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ეს ეხლა საბჭოთა საქართველოს პირობებში, ნაკლებ შესაძლოა და თითქმის შეუძლებელიცაა.

აი ის სამი ხაზი, რომელთაც სახავს ნოე ჟორდანია. ამასთან მესამე გენერალური ხაზი—ეს არის ხაზი მიმართული ომისა და აჯანყებისაკენ. მაგრამ წერილის ბოლოში ჟორდანია იძლევა ამ სამ შესაძლო კომბინაციების მართლაც რომ სასაცილო განმარტებას. ის სიტყვა სიტყვით სწერს შემდეგს: „აი ის სამი მოხაზულობა, რომელშიც შეიძლება განვითარდეს ახლო მომავალი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება სხვა კომბინაცია. შეიძლება **ეს სამივე კომბინაცია ერთად მოხდეს,** შეიძლება რაიმე **მეოთხე** მოხდეს, ამიტომ ჩემი დირექტივა არ არის რაღაც უცვლელი, ერთხელ და სამუდამოთ ბოძებული". ეს გვაგონებს ერთ ანეკდოტს: ორში ერთი მოხდება, ან ერთი, ან მეორე, თუ პირველი მოხდა —ეს უკვე კარგია, ხოლო თუ მეორე— მაშინ ორში ერთი და ასე დაუსრულებლად. იგივე სამში ერთი, ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ რაღაცას მეოთხეს მოელის მენშევიზმის ბრძენი მოხუცი ნოე ჟორდანია.

აქედან გამოდის ის დასკვნა, რომ მებრძოლი მენშევიზმი, მიუხედავათ აზრთა არევ-დარევისა და იდეურ გაკოტრებისა, ემზადება ახალ ავანტიურებისათვის საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ ნოე ჟორდანია თავის წერილში ანვითარებს „თეორიას", მეორე ნოე—ბანდიტურ-ფაშისტური საქმეების ოსტატი—ნოე რამიშვილი „აფართოებს" და „აღრმავებს" ჟორდანიას საქმეს და ამუშავებს მოქმედების პრაქტიკულ პროგრამას ბოლშევიკების დაცემის „მეორე დღისათვის".

ჩვენი ამოცანაა ფხიზლად ვადევნოთ თვალ-ყური მტერს და ყოველ ნაბიჯზე გამოვამჟღავნოთ მისი შავი საქმეები, ჩავუშალოთ მისი იერიშები. ამ წერილში ჩვენ განვმარტეთ ნოე ჟორდანიას „თეორია". შემდეგ წერილში შევეცდებით შევჩერდეთ ნოე რამიშვილის პრაქტიკულ წინადადებებზე და ამით ამოვწუროთ მებრძოლი მენშევიზმის პოზიციის გაშუქება, რათა შემდეგ შესაძლებლობა გვქონდეს გადავიდეთ მენშევიზმის „რევიზიონისტების"—ირ. წერეთლის და გრ. ლორთქიფანიძის შეხედულებებზე.

პარტიული ცხოვრება

ამიერ. და სამხ. უჯრედების ურთიერთობის შესახებ

სამოქალაქო და სამხედრო პარტუჯრედების კავშირი პარტმუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. მიუხედავათ ამისა ბევრ შემთხვევაში უჯრედებს არა აქვთ კავშირი სამხედრო პარტორგანიზაციებთან და თუ აქვთ ასეთი, ზოგჯერ ის უფრო ფორმალური ხასიათისაა. დღეს, როცა მოსახლეობის გასამხედროების საკითხი პარტიისა და ხელისუფლების დიდ ყურადღებას იპყრობს სამხედრო და სამოქალაქო უჯრედების ურთიერთობის განმტკიცება-გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

რა არის საჭირო, რომ ეს ურთიერთობა ნორმალურ სიმაღლეზე იდგეს? პარტუჯრედებმა, როგორც სამოქალაქომ, ისე სამხედრომ, უნდა შეადგინონ კალენდარული ნუსხა ურთიერთშორის მუშაობის გასაცხოველებლათ და უკლებლივ უნდა გაატარონ ის ცხოვრებაში. გარდა ამისა დროგამოშვებით საჭიროა ეწყობოდეს სამხედრო და სამოქალაქო უჯრედების ბიუროების და საზოგადო კრებების გაერთიანებული სხდომა. ამ კრებაზე უნდა დაისვას საინფორმაციო მოხსენება ორივე უჯრედების მხრივ მათი მუშაობის შესახებ.

ამასთან ერთად სამხედრო და სამოქალაქო უჯრედების დაახლოებამ უნდა შექმნას ნიადაგი პარტიის წევრთა, უპარტიო მუშა-მოსამსახურეების და ღარიბ გლეხობის გასამხედროებისათვის. ამ მიზნით საჭიროა რეგულიარულად ეწყობოდეს ექსკურსიები სამხედრო ნაწილებში, ეწყობოდეს სამხედრო წრეები, გაცხოველებული იქნას მუშათა კლუბების სამხედრო კუთხეების მუშაობა და სხვა. ცხადია, რომ ამ მუშაობაში აქტიურათ უნდა იქნან ჩაბმულნი პარტიის წევრი სამხედრო პირები.

ამას გარდა საჭიროა სამხედრო და სამოქალაქო უჯრედებმა გადასინჯონ თავიანთ წარმომადგენლების შემადგენლობა და შესცვალონ ისინი, თუ მათი მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

ასეთია მოკლეთ ის პრაქტიკული ღონისძიებები, რომელნიც უნდა დაედვას საფუძვლად სამხედრო და სამოქალაქო ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციების დაახლოებას.

ვ. გ. ი.

ემზადეთ კოოპერაციის დღისათვის

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის, ყველა ოლქკომებს, მაზრკომებს და რაიკომებს

2 ივლისი—კოოპერაციის მორიგი საერთაშორისო დღეა. ამ დღის ძირითადი ლოზუნგები შემდეგია!

1. ბრძოლა იმპერიალისტების მიერ ომის მზადების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერება და სოლიდარობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის მშრომელებთან მათ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. (პროტესტი საბჭოთა კავშირთან ომის მზადების წინააღმდეგ, ჩინეთის მშრომელთათვის მხარის დაჭერა, დასავლეთის მშრომელთა მოწოდება გამოიყენონ კოოპერაცია, როგორც იარაღი მათი განთავისუფლებისა და სხ.).
2. მასების ჩაბმა კოოპერატიულ მშენებლობაში (პროფკავშირების წევრების, გლეხების, ქალების, ახალგაზრდობის და სხ.).
3. კოოპერაციის პრაქტიკულ მოღვაწეობაში მასების აქტიური მონაწილეობის გაძლიერება (მასების მონაწილეობა ფასების დაკლებისათვის, კოოპერაციის საკუთარი საშუალებათა დაგროვებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის ბრძოლაში და კოოპერაციის პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებისთვის, ბოროტმოქმედებებთან, გაფლანგველებთან, მასების ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის ბრძოლაში და სხ.).

კოოპერაციის დღის წინ უნდა გაიმართოს საზეიმო სხდომა (სასურველია საკონცერტო განყოფილ.), თვით კოოპერაციის დღეს მასიური მიტინგები მოხსენებებით, მასიური გასართობით (კინო, კონცერტები, ფიზკულტურული შეჯიბრი, წარმოდგენები. ყეენობა, მასიური სეირნობა ბავშვებისთვის და სხ.).

გაზეთები (ცენტრალური, ადგილობრივი და აგრეთვე კედლის) უძღვნიან მთელ რიგ წერილებს კოოპერაციას.

კოოპერაციის დღეს უკავშირდება გახსნა (ან გამოშვება) კოოპერატიული წრეების, კუთხეების, წიგნის თაროების, სასადილოების და სხ.

ეწყობა აგრეთვე ექსკურსიები საჩვენებელ, სამაგალითო კოოპერატიულ დაწესებულებებში.

ამ დღეს კოოპერატიულ ორგანიზაციებს შეაქვთ შესაფერისი წვლილი და ანარიცხები საბჭოთა კავშირის თავდაცვის გასაძლიერებლად (ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს").

კამპანიის სახელმძღვანელოდ თბილისში, საოლქო-სამაზრო ცენტრებში, რაიონებში და თემებში ეწყობა კომისიები კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით და პარტიულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობით.

კოოპერაციის დღე ქალაქებში ტარდება 2 ივლისს (სოფლებში 3 ივლ.—კვირას), ხოლო თურქულ რაიონებში 1 ივლისს (პარასკევს).

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი ლ. ლოლოგერიძე.

ც. კ. აგიტპროპის გამგე ა. თათარიშვილი.

ა.-კ. ქალთა შორის მომუშავეთა თათბირი

მეორე სხდომა

გუშინ, დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. შავერდოვას მოხსენების გარშემო. კამათში ცხოველი მონაწილეობა მიიღო 20-მდე ქალმა.

მოკამათენი უმთავრესად აღნიშნავდენ, რომ მიზანშეუწონელია პუნქტების რიცხვობრივი გაზრდა, რადგან ადგილებზე ხელმძღვანელთა სიმცირის გამო მუშაობა შესუსტდება. აღნიშნავდენ, აგრეთვე რომ დელეგატები ვერ ერკვევიან თავიანთ ამოცანებში. საჭიროა დელეგატთა კრებების პერიოდის გაგრძელება სადელეგატო კრებებთან ქალიშვილთა ცალკე წრეების შექმნა და სხვა.

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. შავერდოვა. ორატორი დაწვრილებით შეჩერდა კამათში მონაწილე ორატორების დებულებებზე და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქალიშვილთა ცალკე წრეების შექმნა მიზანშეუწონელია.

დილის სხდომაზევე მოსმენილი იქნა ამხ. გუსეინოვის მოხსენება—მშრომელ ქალთა მონაწილეობის შესახებ საბჭოების მუშაობაში.

ა.-კ. პირობებში — ამბობს მომხსენებელი— როდესაც მშრომელი ქალი იმყოფება განსაკუთრებულ ჩამორჩენილ პირობებში, სადაც დღემდე კიდევ დარჩენილია ძველი შეხედულება ქალებზე. ქალთა მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად იჭრება ახალი ყოფა - ცხოვრება ქალთა ფართო ფენებში.

1927 წელში ჩატარებულ არჩევნებში ქალთა ფართო მასამ მიიღო მონაწილეობა; ქალთა დასწრება საარჩევნო კრებებზე აზერბეიჯანში უდრიდა 60 პროცენტს, საქართველოში 52 პროც., ხოლო სომხეთში 46 პროცენტს.

ქალთა აქტივობა საერთოდ გაიზარდა, მშრომელი ქალები ებმებიან საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობაში, და თავიანთი კანდიდატურის გაყვანას მოითხოვენ არა როგორც ქალთა წარმომადგენლისას, არამედ როგორც საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაკისა.

ამხ. გაუსენოვის მოხსენებით დაიხურა დილის სხდომა.

მესამე სხდომა

საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. გუსეინოვის მოხსენების გარშემო. ორატორები აღნიშნავდენ საბჭოების გადარჩევებზე დამსწრე ქალთა აქტივობის ზრდას წარსულ წლებთან შედარებით, და მიუთითებდენ აღრიცხვის საქმის მოგვარების საჭიროებაზე, რადგან ხშირად ადგილებს არჩევნების დროს უხდებოდათ ასარჩევ კანდიდატის გამოძებნა და სხვა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ გამოყოფილ იქნა კომისია რეზოლიუციის პროექტის შესამუშავებლად.

დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. ალანიას მოხსენება — 1926—27 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

ვ. დ.

გავაძლიეროთ პარტმუშაობა

ახალგაზრდობაში პარტიული გავლენის გაძლიერების, კომკავშირზე კომუნისტური ხელმძღვანელობის საკითხი არა ერთხელ დასმულა კომკავშირის და კომპარტიის ყრილობებსა და კონფერენციებზე. მიუხედავად ყრილობების კონკრეტიული მითითებისა—პარტხელმძღვანელობის საკითხი ჯერ კიდევ არაა სათანადოდ მოგვარებული. განსაკუთრებით მწვავედ სდგას ეს საკითხი—სოფლად.

კომკავშირზე პარტხელმძღვანელობის არანორმალურ მოვლენებზედ—მის შედეგებზე თავისი ყურადღება შეაჩერა მე-14 პარტყრილობამ.

აღნიშნულ ყრილობის რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია:

„ყრილობა ადასტურებს, რომ ადგ. პარტორგანიზაციები ხშირად არა საკმაო სერიოზულად ეპყრობოდენ კომკავშირზე ხელმძღვანელობის პრობლემას, რაც გამოიხატა თითქმის ყველგან შემჩნეულ მოვლენაში: ცუდი ხარისხობრივი შემადგენლობა პარტმიმაგრებულების, კომკავშირში მომუშავე ამხანაგების. კომკავშირის ორგანიზაციის, მისი ყოველდღიური მუშაობის ცოდნა, კომკავშირთან ამხანაგური დამოკიდებულების შექმნა — წარმოადგენს სწორი ხელმძღვანელობის აუცილებელ პირობას, ამიტომ ყრილობა ავალებს პარტორგანიზაციებს ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ".

ხშირათ კომკავშირში სამუშაოთ სუსტ ამხანაგებს გზავნიან პარტუჯრედები. აგრეთვე ზოგჯერ უბრალო წარმომადგენლობითი სისტემაც არაა დაცული; არ იწვევენ პარტკომკავშირის გაერთიანებულ კრებებს, არ ირჩევა საკითხები, ზოგჯერ ერთი და იმავე სოფლის პარტკომკავშირის წევრები ერთი მეორეს არც კი იცნობენ. კომკავშირის უჯრედები მოწყვეტილი არიან პარტცხოვრებას.

ასეთ პირობებში კომკავშირში ადგილი აქვს გაურკვევლობას, ის არ იცნობს პარტიის ხაზს და ხანდისხან ძალაუნებურად გამოდის პარტიის დადგენ. წინააღმდეგ.

პარტუჯრედებმა კომკავშირში მომუშავედ უნდა გამოყონ საუკეთესოდ მომზადებული ამხანაგები. კომკავშირის აქტიური მომუშავენი უფრო მეტად უნდა იქნან ჩაბმული პარტიულ ცხოვრებაში. ეს შესაძლებელია კრებების, თათბირების და ამხანაგური საუბრების საშუალებით.

მ. ბარამია.

მაზრის პარტმუშაკების კურსები

(მანგლისი)

5 მაისიდან დაიწყო მეცადინეობა მაზრის პარტმუშაკების მოსამზადებელ კურსებში—მანგლისში.

როგორც ვიცით, კურსები მოწყობილია ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიერ და კურსების მსმენელთა შემადგენლობაც ა.-კ. რესპუბლიკებიდან არის. აქ თავმოყრილია 110-მდე პარტმუშაკი.

პარტმუშაკებს, რომელთაც უხდებოდათ მაზრაში მუშაობა. თუ შეიძლება ასე ითქვას, შეუმსუბუქდათ თეორეტიული ბაგაჟი. საჭიროა მათი მომზადება, წინ წამოწევა. მაზრის პარტმუშაკისათვის პოლიტცოდნის აუცილებელ მინიმუმის მიცემა, მისი კვალიფიკაციის ამაღლება, აი კურსების მიზანი და დანიშნულება.

არ იქნება ინტერეს მოკლებული, თუ გაკვრით გავიხსენებთ, რა საგნები უნდა იქნეს შესწავლილი კურსებზე და როგორი მეთოდით; დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორია, ეკონომიური გეოგრაფია, პოლიტ-ეკონომია, პარტისტორია, ისტორიული მატერიალიზმი, პარტმუშაობა და სხვა, აი საგნები, რომელნიც უნდა დამუშავდენ და შესწავლილ იქნენ კურსებზე.

ლექციებისთვის კურსები დაყოფილია 2 ჯგუფათ, ხოლო ლექციების დასამუშავებლათ კი კურსები იყოფა 4 ჯგუფათ.

ვფიქრობთ ასეთი კურსების მოწყობა ყოველწლიურად ხელს შეუწყობს მაზრის პარტმუშაკების კადრის გაუმჯობესების საქმეს.

ვ. ხატიაშვილი.

არსრაიონის მუშათა კონფერენცია

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელის ამხ. აკირტავას მოხსენება ფასების დაკლების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფასების დაკლების მიზანია მუშების რეალური ხელფასის გადიდება, სამრეწველო საქონლის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების დაახლოვება და ჩვენი საქონლის ფასების დაახლოვება იმ ფასებთან, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე არსებობს.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივის თანახმად, ამბობს მომხსენებელი, პირველ ივნისისათვის საცალო ფასები საშუალოდ დაკლებული უნდა ყოფილიყო ათი პროცენტით, პირველ ივლისისათვის კი ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები შემცირებული იქნეს 15 პროცენტით.

დირექტივა ითვალისწინებდა, რომ ათი პროცენტის დაკლება უშუალოდ მისულიყო მომხმარებლამდე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ფასების დაკლების შემოწმება პირველ მაისისათვის. გამოკვლევის პროცესში გამოირკვა, რომ დაკლების მეტი პროცენტი მოდის არაპირველი მოთხოვნილების საქონელზე.

დირექტივის თანახმად, ხუთი პროცენტი უნდა დაეკლო მრეწველობას, დანარჩენი ხუთი პროცენტი კი — კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას თავის ხარჯზე. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ზოგიერთ ადგილებში კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ არ გაატარა ეს სისწორათ ცხოვრებაში.

პირველ მაისისათვის თბილისში ფასები დაკლებული იყო საშუალოდ რვა პროცენტით. ფასების დაკლების შემოწმებას აწარმოებდა აგრეთვე მუშათა კომისია. ამ კომისიის ცნობებით, პირველ ივნისისათვის ფასები მუშკოოპში დაკლებული იყო: ბამბეულ მანუფაქტურაზე—10,5 პროცენტით, მატყლის ქსოვილებზე—24,1 პრო., სელის ქსოვილებზე — 4,8 პროც. საშუალოდ მანუფაქტურაზე ფასები დაკლებულია: მუშკოოპში—12,5 პროცენტით, ზაკტპოში — 11,1 პროცენტით და „მეომარში" — 11,5 პროცენტით.

სურსათ - სანოვაგეზე ფასები დაკლებულია: მუშკოოპში — 12,8 პროცენტით, „ზაკტპოში" 11,1 პროცენტით და „მეომარში" — 6,6 პროცენტით.

ჩვენ ვხედავთ, რომ საშუალოდ თბილისში ფასების დაკლება სამრეწველო საქონელზე გატარებულია ყველა ათი პროცენტით. მაგრამ აქ აღსანიშნავია ის, რომ ფასების დაკლება უმთავრესად მოხდა კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მოგების ხარჯზე, და არა აპარატის რაციონალიზაციის ხარჯზე.

ფასების დაკლება თუმცა ვატარდა ათი პროცენტით, მაგრამ ამას მაინც ვერ გრძნობს რეალურად მუშა. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას ჯერ კიდევ არა აქვს დაპყრობილი მთლიანად სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზარი. ამ პროდუქტების 70 პროცენტი ჯერ კიდევ კერძო ვაჭრების ხელშია. სოფლის მეურნეობის პროდუქტებს კი დიდი ადგილი უჭირავს საბიუჯეტო შენაწყობში. შემჩნეულია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები იზრდება. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. მოგვარებული უნდა იქნეს აგრეთვე წვრილი ნისიის საკითხი.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ადგილობრივ მრეწველობას და ამბობს, რომ მან ვერ შეასრულა სავსებით შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივა.

ამხ. აკირტავას შემდეგ კონფერენციამ მოისმინა მუშათა კომისიის წარმომადგენლის ამხ. ავეტისოვის თანამოხსენება ფასების დაკლების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუშათა კომისია ფასების დაკლების დაწვრილებით გამოკვლევის შემდეგ დარწმუნდა, რომ ფასების ზრდას სამრეწველო საქონელზე არ ჰქონია ადგილი.

ფასების დაკლება კი თუმცა გატარებულია, მაგრამ უმთავრესად არაპირველი მოთხოვნილების საქონელზე.

მუშათა კომისიამ აღნიშნა აგრეთვე, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ პროდუქტების ფასები კოოპერაციაში გაიზარდა.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგაც მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ფასების დაკლება გრძელდება

ფასების დაკლება და მაღაზიების ქსელი

ამჟამად თბილისში მანუფაქტურით ვაჭრობს ოცზე მეტი კოოპერატიული მაღაზია. ამის გარდა, მანუფაქტურით ვაჭრობენ საქ. სახ. ვაჭრობის სამმართველო, „თბილისის ვაჭრობა" და აგრეთვე კერძო ვაჭრები, სავაჭროების ეს სიმრავლე იწვევს ზედმეტ ზედნართ ხარჯებს, საშუალებათა და საქონლის დაქსაქსვას.

უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭროები ქალაქში ძალზე უთანასწოროდ არიან განაწილებულნი. მუშკოოპის გამგეობის წევრს ამხ. მელჩარსკის, რომელთანაც ამის შესახებ საუბარი ქონდა ჩვენს თანამშრომელს, ქაღალდის ფურცელზე გაყავს ტალღისებური ხაზი (ეს არის მტკვარი)—ჰკვეთს მას სწორი ხაზით (ყორესის ქუჩა) და მიუთითებს: „შეხედეთ, აი, იქ, მდინ. იქითა ნაპირზე, სადაც რუსთაველის პროსპექტია, მარტო მუშკოოპს აქვს ათი მაღაზია, სადაც ფართლეულობით ვაჭრობენ, აქ კი, იმ ნაპირზე, რომელსაც ეკვრის პლეხანოვის პროსპექტი, ასეთი მაღაზია მხოლოდ ოთხია. უზარმაზარ რაიონს, ყორესის ქუჩიდან დაწყებული ვერამდე არა აქვს არც ერთი მაღაზია, მუშკოოპის ცენტრალურ მაღაზიის რაიონში, დიდუბემდე, არსებობს მუშკოოპის მხოლოდ ეს ერთი მაღაზია. ცენტრალურ მაღაზიიდან დაწყებული ნავთლუღამდე გვხდება მხოლოდ ორი დუქანი, სადაც ვაჭრობა მცირეა.

ყველაფერი ეს გვაიძულებს ჩაუფიქრდეთ ჩვენ მაღაზიების ქსელს, გამოვარკვიოთ — მიზანშეწონილადაა იგი განაწილებული ქალაქში თუ არა.

რასაკვირველია, მუშკოოპს შეეძლო დაეყო ქალაქი სწორ კვადრატებად და თვითეულ რაიონში მოეწყო თითო მაღაზია. მაგრამ აქ იძულებული ვხდებით ანგარიში გაუწიოთ მომხმარებლის მოთხოვნილებებს.

თბილისში უძველესი დროიდან არსებობს ჩვეულება განსაზღვრული ჯგუფის საქონელი (მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, გალანტერეა) შეიძინონ უმთავრესად თავისუფლების მოედნის რაიონში და ჩვენ უნებურად უნდა გაგვეწია ამისთვის ანგარიში.

ჩვენ მოვახდინეთ ცდა, გავხსენით ფეხსაცმელების დიდი განყოფილება ჩვენს სანიმუშო უნივერსალურ მაღაზიაში, ავლაბარში, და რა მივიღეთ შედეგი? საქონლის მოთხოვნილება ამ განყოფილებაში ისე უმნიშვნელო იყო, რომ იძულებული გავხდით იგი დაგვეხურა. მანუფაქტურის შესაძენადაც რატომღაც მიღებულია გამგზავრება პლეხანოვის პროსპ. რაიონიდან რუსთაველის პროსპექტისაკენ. ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების ასეთი თავისებურობის პირობებში ძალიან ძნელია რამდენადმე გეგმაშეწონილი სავაჭრო ქსელის მოწყობა თბილისში.

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს,—ამბობს ამხ. მელჩარსკი,—მუშკოოპმა გადასწყვიტა სცადოს შეიტანოს სავაჭრო ქსელში ერთნაირი გეგმა და წესრიგი. ჩვენ გამოვიანგარიშეთ, რომ მთელი თბილისის დასაკმაყოფილებლად მანუფაქტურით საკმაოა არა უმეტეს 12 მაღაზიისა: დანარჩენები ზედმეტია და მათი შენახვის სიმძიმე პირველ რიგში აწვება მომხმარებელს.

ჩვენ გვინდა შევუთანხმდეთ მანუფაქტურით მოვაჭრე მაღაზიების ქსელის ამნაირ სიდიდის შესახებ სხვა კოოპერატივებს—„მეომარს" და „ზაკტპოს". ამით მოვიგებთ არა მარტო ჩვენ, კოოპერატორები, არამედ მომხმარებელნიც: კონცენტრაციის დროს შევძლებთ მაღაზიების უკეთესად მომარაგებას და საქონელზე ფასების დაკლებას მომჭირნეობის ხარჯზე.

განზრახული გვაქვს მოვახდინოთ კიდევ ერთი ცდა. გერმანელთა ახალშენის იქით, თბილისის ახლო, შენდება მაუდის ფაბრიკა, იქვე იქნება ავეჯეულობის ფაბრიკა, განზრახულია იქვე გადაიტანონ ლითონის ქარხნები. ერთი სიტყვით, ეს ადგილი გადაიქცევა საქარხნო ქალაქად, პროლეტარულ თბილისის გულად. განზრახულია იქვე გადაიტანონ რკინის გზის სახელოსნოების ნაწილი. ჩვენ ამ ქარხნებისა და მათთან მუშათა ბინების აგებასთან ერთად განზრახული გვაქვს თავიდანვე ავაშენოთ იქ „მუშკოოპის რიგები", სადაც იქნება მოთავსებული ყველაფერი, დიდი უნივერსალური მაღაზიაც, საყასბოც და მწვანილით სავაჭროც. ამ რაიონის მუშათა მოსახლეობას უნდა დახვდეს მუშკოოპის ფართე სავაჭრო აპარატი, რომელიც შესძლებს დააკმაყოფილოს მისი საჭიროებანი. ამ აპარატმა უნდა გადააჩვიოს მუშები შუა ბაზარში გამგზავრებას.

„მუშკოოპის რიგებს", როგორც მე ვფიქრობ, შეუძლია გადაიქცეს მომავალ კონცენტრაციაქმნილ და გეგმიან კოოპერატიულ ვაჭრობის ცენტრად.

ფასების დაკლება და პროფკავშირები

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს გააძლიერონ პროფორგანიზაციების მონაწილეობა ფასების შემდგომ დაკლებაში როგორც ადგილობრივ მრეწველობის ნაწარმოებზე, ისე სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის საქონელზე.

ამავე დროს რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს წინადადება მიეცა აქტიური მონაწილეობა მიიღონ პირველი ივნისისათვის ფასების 10 პროც. დაკლების კამპანიის გატარების საბოლოო შედეგების შემოწმებაში.

ამასთანავე რესპუბლიკანურმა პროფსაბჭოებმა უნდა დაამუშავონ საკითხი ფასების დაკლების გატარებაში პროფორგანიზაციების შემდგომი მონაწილეობის საორგანიზაციო ფორმების შესახებ.

ფასების დაკლების შემოწმება რესპუბლიკებში დამთავრებული უნდა იქნეს მიმდინარე თვის განმავლობაში და 8 ივლისისათვის ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს უნდა წარედგინოს მოხსენება ფასების დაკლების კამპანიის შედეგების შესახებ.

მედიკამენტების გაიაფება

გამომუშავებულია ახალი სააფთიაქო ნიხრი.—ყველა წამლები გაიაფებულია 10,3 პროცენტით.—მუდმივი სანიხრო კომისიის დაარსება.—ფასების დაკლება წამლებზე გატარდება 1-ლ ივლისიდან

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ამას წინეთ გამოყო სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდენ სახმედვაჭრობის, მედსანშრომის მუშაკთა კავშირის, სააფთიაქო სამმართველოს და თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენლები. კომისიას დავალებული ჰქონდა განეხილა და შეემუშავებია მედიკამენტებისა და წამლეულობის ახალი დაკლებული ნიხრი.

კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა და გამოიმუშავა ახალი ნიხრი, რომელიც ძალაში შევა 1-ლ ივლისიდან. ახალი ნიხრით წამლების ღირებულება შემცირებულია 10,3 პროცენტით ძველ ნიხრთან შედარებით. ფასების დაკლება უმთავრესად მოხდა საბჭოთა კავშირში და კერძოთ სახმედვაჭრობის მიერ დამზადებულ მედიკამენტებზე. ზოგიერთი პირველმოხმარების წამლები როგორც მაგ., იოდი, საფალარათო ზეთი, ასპირინი და სხვა გაიაფებულია მნიშვნელოვნად. იოდზე ფასები დაკლებულია 95 პროცენტით, გალენის პრეპარატებზე 20 პროცენტით და სხ.

გარდა ამისა ჯანსახკომის ფარმაცევტიული განყოფილებასთან გამოყოფილია მუდმივი სანიხრო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ყოველ სამ თვეში ერთხელ განიხილოს და გადაამუშაოს მედიკამენტების ნიხრი.

ახალი ნიხრის გამომუშავებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული კომისია განიხილავს აგრეთვე დაზღვეულთათვის ახალი ნიხრის კვალობაზე შეღავათების მიცემის საკითხს.

ახალი ნიხრი გავრცელდება მედიკამენტებითა და წამლეულობით მოვაჭრე ყველა ორგანიზაციებზე.

სანიხრო კომისიამ განიხილა აგრეთვე ქინაქინისა და ზოგიერთ სხვა საიმპორტო მედიკამენტების გაიაფების საკითხი.

ზაჰესის გახსნისთვის

ზაჰესის საზეიმო გახსნისათვის

ზაჰესის საზეიმო გახსნის ხელმძღვანელი კომისიის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა სადგურის საზეიმო გახსნის ჩატარების გეგმა.

ზაჰესის გახსნის დღეს, 26 ივნისს, ზეიმი დაიწყება დღის 12 საათიდან და სადგურის ფაქტიური გახსნაც ამ დროს მოხდება. სადგურის გახსნამდე კი ლენინის ძეგლთან გაიხსნება მიტინგი და მოხდება ლენინის ძეგლის გახსნა.

ზაჰესის საზეიმო გახსნას დაესწრებიან: თბილისის აღმასკომის პლენუმი, პროფაქტივი, წითელი არმიის აქტივი, ფაბქარხკომების წარმომადგენლები, მუშათა მასიური ექსკურსიები და მაზრებიდან ჩამოსული გლეხთა დელეგაციები. ზეიმზე დასასწრებათ თვითეული მაზრიდან ჩამოვა ათ-ათი გლეხი. მოპატიჟებული არიან აგრეთვე ამიერ-კავკასიის ქალაქების მუშების წარმომადგენლები :ბაქოდან—10, ერევნიდან—10 და სხ. ზეიმს დაესწრებიან პროფესიონალური, პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენლები და თბილისის გარნიზონის მიერ გამოყოფილი 50 წითელ არმიელი.

ზაჰესის გახსნის წინა დღ[illegible] კინო-თეატრებში [illegible] ჰესი". გახსნის ზეიმი გადა[illegible] დიოთი. ზეიმის ჩამტარებე[illegible] დადება მისცა მუშკოოპს [illegible] მთელ ტერიტორიაზე მოაწყ[illegible] ცივი წყლების გასაყიდი კ[illegible]

ზეიმის სამხატვრო ნაწილ[illegible] დავალებული აქვს ა. ახმე[illegible] სამხატვრო წრეებმა, რომე[illegible] აქვთ ზეიმზე გამოსვლა, [illegible] მიმართონ მას.

ვინაიდან 26 ი[illegible] მონაწილეობას მიიღებენ ზ[illegible] ნის გამო გამართულ დღე[illegible] ტომ კომისიამ დაადგინა [illegible] მის კომისარიატის წინაშე, [illegible] შაბათა) გამოცხადებული [illegible] დღეთ.

პროფკავშირების მონაწილეობა

ზაჰესის ოფიციალური გახსნის დღეს, 26 ივნისს, ზაჰესში ეწყობა დიდი სახალხო დღესასწაული.

ამ დღეს საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება აწყობს პროფკავშირების მასიურ ექსკურსიას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 6.000 კაცი.

ექსკურსანტებს ა.-კ. რკინისგზების გამგეობამ დაუთმო 4 სპეციალური მატარებელი. მატარებლების გასვლა ზაჰესში დაიწყება დილიდან. პირველი მატარებლით გაემგზავრებიან ფიზკულტურელები, რომლებისთვისაც ზაჰესის ტბაზე მოეწყობა მასიური ცურვა. უკანასკნელი მატარებელი გავა თბილისიდან ნაშუადღევის 4 საათსა და 20 წუთზე.

ექსკურსანტებს თან წაჰყვებიან სიმებიანი და სასულე ორკესტრები, სხვადასხვა წრეები, ფიზკულტურელები და სხვა.

ზაჰესის გახსნის ოფიციალური ნაწილის შემდეგ დაიწყება დიდი სახალხო სეირნობა—დღესასწაული, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალური არტისტები, პროფ[illegible] კავშირების[illegible]ია. [illegible] დროს გაიმართება [illegible] სიმღერა და[illegible].

ყველა ექსკურსან[illegible] რი საექსკურსიო ბარა[illegible] წილეობის მიღება [illegible] როს თავის ადგილკო[illegible] ღირება 50 კაპ.

თბილისის გარდა ექსკ[illegible] მიიღებენ მაზრებიც. [illegible] მიდან გამოვა სპეციალ[illegible] ლიც ექსკურსანტებს წ[illegible] ქართველოდან.

ამას გარდა ზაჰესის [illegible] წილეობას მიიღებენ ს[illegible] ნის მუშა-მოსამსახურე[illegible]

ექსკურსანტებისათვი[illegible] იქნება ბუფეტი.

საერთო ზეიმი გაგრ[illegible] თამდე.

ექსკურსიის პასუხისმგებელ[illegible] დანიშნულია ამხ. ქუთ[illegible]

საგზაო კომიტეტის პლე

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. **დიკის** მოხსენების გარშემო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლებმა ადგილებიდან. უკანასკნელებმა აღნიშნეს საკურორტო დახმარების დეცენტრალიზაციის საჭიროება.

ამხ. **დიკის** საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მოისმინა რესპუბლიკანურ განათლების სახალხო კომისარიატთა სოც-აღზრდელობის განყოფილებების მოხსენებები. მოხსენება გააკეთეს: ამხ. ამხ. **ახმედოვმა** (აზერბეიჯანი), **ემჯიკიანმა** (სომხეთი) და **მელიქიძემ** (საქართველო). მომხსენებლებმა აღნიშნეს სოცაღზრდელობის საქმის სწრაფი ზრდა ა.-კ. რესპუბლიკებში. კერძოთ საქართველოში ამჟამად ირიცხება 27 საბავშო სახლი (რკინის გზებზედ) 30 საბავშო ბაღი, 15-მდე ინტერნანტი და სხვ.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რომელშიაც გამოირკვა სოცაღზრდის წესიერი დაყენება ა.-კ. რკინის გზებზე, ხოლო იმავე დროს მისი გაღრმავების და გაძლიერების საჭიროება.

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვების შემდეგ დაიხურა დილის სხდომა.

მეხუთე სხდომა

მეხუთე სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების გამგეობის წევრის ამხ. **მინასაროვის** მოხსენება „ზაკტპოს" მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ზაკტპო"-ს მდგომარეობა ამჟამად კარგია, მისი სავაჭრო ქსელი საგრძნობლად ფართოვდება. მთელი ყურადღება მიქცეულია სავაჭრო წერტების მოწყობისაკენ. ხაზზე ეწყობა სავაჭრო ფარდულები. ამის გარდა ხაზის მუშათა მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ [illegible]-დუქნები, რომელთა რაოდენობა ამჟამად თანდათან იზრდება. მომხსენებელი შეეხო „ზაკტპო"-ს საორგანიზაციო მუშაობას და საკუთარ წარმოებათა მდგომარეობას, საიდანაც [illegible] რებულია კავშირი ადგილე[illegible] დროს იზრდება საკუთარ[illegible] ბა პურის ცხობის, ძეხვ[illegible] ზადების საქმეში.

დასასრულ მომხსენებე[illegible] დაკლების საქმეს და აღნ[illegible] წევები ამ დარგში.

ფასების დაკლების ირგ[illegible] გამოვიდა საგზაო კომიტეტ[illegible] **პრუსეცკი**; უკანასკნელმა ა[illegible] მიღწევები და ნაკლულოვა[illegible]

მოხსენებების გარშემო გ[illegible] ამხანაგებმა აღნიშნეს „ზაკ[illegible] მოკიდებულება ადგილებთ[illegible] აღჭურვა სათანადო საქონ[illegible] მოებს. წვრილმანი ნისიი[illegible] ლია, სანოვაგე არ იგზავნებ[illegible] ზე და სხვა.

ამხ. **მინასაროვის** საბოლ[illegible] პლენუმმა გამოჰყო კომის[illegible] წინადადების დასამუშავებლა[illegible] მო.

მეექვსე სხ

მეექვსე სხდომაზე პლ[illegible] რკ. გზის მუშათა და გლ[illegible] სენება თავის მუშაობის [illegible] გამოვიდა ამხ. **ავაქიანი**, რ[illegible] ჰექციის დანიშნულება რ[illegible]

ამხ. **ავაქიანის** მოხსენე[illegible] მონაწილეობა მიიღეს ამ[illegible] ძემ, გოგოლაშვილმა და [illegible]

ამხ. **ავაქიანმა** საბოლო[illegible] რომ ყველა შემჩნეულ [illegible] რელათ მიღებულ იქნება [illegible]

მეშვიდე და უკანასკნელ[illegible] მიიღო რეზოლიუციები მოხს[illegible] რის შემდეგ ამხ. **საბაშვილმა** [illegible] პლენუმის მუშაობას.

პლენუმი დაიხურა საღამოს [illegible]

რა ხდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში

(რუდოლფ ჰილფერდინგის მოხსენების გამო სოციალ-დემოკრატების ყრილობაზე ქ. კილში

ბატონმა რუდოლფ ჰილფერდინგმა მსოფლიო გააბედნიერა ოპორტუნიზმის ახალი ბრწყინვალე ნიმუშით, რომელმაც თავისი გამოხატულობა ჰპოვა მის მოხსენებაში სოც.-დემ. პარტ. ყრილობაზე ქ. კილში. ეს მოხსენება შეტანილი იყო ყრილობის დღის წესრიგში და შეეხებოდა საკითხს „სოც.-დემოკრატიის ამოცანების შესახებ რესპუბლიკაში". ამ მოხსენების ანგარიში მოთავსებულია „ფორვერტს"-ში (27 მაისი, № 247).

როგორც სოც.-დემოკ. თეორიის ჯადოქარს შეეფერება, ჰილფერდინგმა უმთავრესად ზოგად, უფრო „საპროგრამო" საკითხებზე ილაპარაკა, ვინემ ტაქტიკურზე. მან დაიწყო „კატასტროფის თეორიის" („ცუზამმენბრუხსტეორი") გამართლებით, რომელსაც „ბოლშევიკები იცავენ", შემდეგ „უარყო" ბოლშევიკური ცნებები: „ბურჟუაზიული დემოკრატია" და „ფორმალური დემოკრატია"; მაგრად მილანძღა კომუნისტები, რომელნიც ფაშისტებს შეადარა; მადლობა გადაუხადა ბატ. ოტტო ბაუერს და სევერინგს, ამ უკანასკნელს კომუნისტებთან ბრწყინვალეთ და წარმატებით ანგარიშების გასწორებისათვის პრუსიაში; კომუნისტური პოლიტიკა მან დასახა, როგორც „უაზრო ავანტიურა", რომელიც ვითომ „რეაქციას აძლიერებს". ბოლოს მან სრულიად მოულოდნელად განაცხადა: „მუშათა მოძრაობისათვის კომუნისტურ პარტიას მნიშვნელობა არ აქვს ის დაკარგულია"-ო.

ეს რიხიანად არის ნათქვამი, მაგრამ სრულებით ულოგიკოთ. თუ კომუნისტური პარტია მართალია „დაკარგულია", რაღა საჭიროა მათთან კამათი პრესაში და კრებებზე, რა საჭირო იყო თვით ჰილფერდინგის მოხსენებაც, რომელიც უმნიშვნელოვანეს თავის ნაწილში შეიცავდა კომპარტიის კრიტიკას და.. გინებას.

მაშ ვნახოთ რა თეორეტიულ „საბუთებს" იყენებს ჰილფერდინგი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ და ვის სწვდებიან ეს „საბუთები" სინამდვილეში.

⁂

დავიწყოთ „კატასტროფის თეორიის" საკითხიდან. ჰილფერდინგი აღნიშნავს კაპიტალიზმის „კონიუნქტურის" საერთო გაუმჯობესებას" და ამბობს:

„მე ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ყოველივე „კატასტროფის თეორიას" ჩემის აზრით მარქსმა დაამტკიცა მისი სიყალბე. *) ომის შემდეგ ამ თეორიას უმთავრესად ბოლშევიკები იცავდენ. ისინი ფიქრობდენ, რომ ჩვენ უშუალოდ კაპიტალისტური სისტემის კატასტროფის წინაშე ვდგევართო. ეს კატასტროფა არ მოხდა. **და ჩვენ არაფერი საბუთი არა გვაქვს მწუხარებას მივეცეთ ამ გარემოების გამო.**

ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ კაპიტალისტური სისტემის დანგრევას არ უნდა ველოდეთ ფატალისტურად, რომ ეს არც ამ სისტემის შინაგანი კანონების ძალით მოხდება, არამედ ის უნდა იყოს მუშათა კლასის ნებისყოფის შეგნებული მოქმედების შედეგი".

ამრიგად რას ვხედავთ? ჰილფერდინგს აშკარად უხარია ის ფაქტი, რომ კაპიტალიზმი წარსულ წლებში არ დაინგრა. („ჩვენ არაფერი საბუთი არა გვაქვს მწუხარებას მივეცეთ ამ გარემოების გამო"-ო, ამბობს ის). ჰილდფერდინგს უხარია ის გარემობა, რომ კაპიტალიზმი გადარჩა „კატასტროფას"და ესალმება მისი „კონიუნქტურის გაუმჯობესებას". ამრიგად ჩვენს წინაშე სდგას ნამდვილი სოციალ - დემოკრატი ხუცესი, რომელიც კაპიტალიზმის კატასტროფისაგან გადარჩენის გამო ღმერთს მადლობას სწირავს და კაპიტალიზმს „საუკუნო ნეტარებას უწინასწამეტყველებს.

მართლაც „კაპიტალისტური სისტემის დანგრევა" ჯერ კიდევ არ მოხდა, ზოგი ამის გამო სწუხს, ზოგი არა. მაგრამ მოხდება თუ არა ეს დანგრევა, შეგვიძლია თუ არა ამის მეცნიერულად წინასწარ დანახვა, და თუ შეგვიძლია — როგორ, რა საფუძველით?

თუ ჰილფერდინგის თვალსაზრისზე დავდექით, ყოვლად შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ „კაპიტალისტური სისტემის დანგრევის" აუცილებლობა. მიტომ რომ, ჰილფერდინგის აზრით, კაპიტალიზმის დანგრევა არ შეიძლება იყოს შედეგი მისი შინაგანი კანონებისა.

ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, როგორც ჰილფერდინგი გვარწმუნებს, კაპიტალიზმი მუდმივ იარსებებდა.. მართლაც რომელი კანონები მიმართავენ ადამიანთა საზოგადოებას, თუ არა „შინაგანი კანონები"? თუ არ ვცდებით, ეს კანონები არ უნდა იყოს რაღაც „ღვთაებრივი", სადღაც „საიქიოს" მოთავსებული ძალა, რაღაც „მსოფლიო სული".

თანამედროვე საზოგადოება კაპიტალისტური საზოგადოებაა. თუ მისი შინაგანი კანონები კაპიტალიზმს დაშლას არ უქადიან, რისთვისღა უნდა დაინგრეს კაპიტალიზმი? რატომ არ უნდა იარსებოს მუდმივ?

ჰიფლერდინგი სპეკულიაციას ეწევა ამ მუხლში. ის ლაპარაკობს „მუშათა კლასის ნებისყოფაზე", რომლის „შეგნებული მოქმედება" კაპიტალიზმის დამხობას გამოიწვევს. თავის თავად იგულისხმება, რომ მხოლოდ მუშების შეგნებულ კლასობრივ ბრძოლას შეუძლია კაპიტალიზმის მოსპობა. მაგრამ ერთიც ვიკითხოთ: სად პოულობს მუშათა კლასი ნებისყოფას კაპიტალიზმის დასამხობათ თუ არა კაპიტალიზმის იმ განვითარების კანონების შეგნებაში, საიდანაც გამომდინარეობს ამ დამხობის აუცილებლობა. ან იქნებ ჰგონია ჰილფერდინგს, რომ „მუშათა კლასის ნებისყოფა" „ზემოდან" გამომდინარეობს. გამომდინარეობს ან „ბუნებიდან", ან ყოვლის შემძლე „ღმერთისაგან". როგორც ეს იმ ქრისტიან „სოციალისტებს" სწამთ, რომელნიც ჰილფერდინგმა, სხვათა შორის, თავის მოხსენებაში „უშუალო სოციალისტური ამოცანების" ნამდვილ მებრძოლებად გამოაცხადა? განა მუშების შეგნება და იმ გადაწყვეტილების თავისუფლება, რომ სოციალიზმისთვის იბრძოლონ — იმაში არ მდგომარეობს, რომ მუშები ამ გადაწყვეტილების მიღების დროს ისტორიული აუცილებლობის ბრძანებას ემორჩილებიან, კაპიტალიზმის იმ კანონების შეგნებასა ეყრდნობიან, რომელთაც მისი დამხობისაკენ მივყევართ?

ეს დაპირისპირება კაპიტალიზმის შინაგანი კანონებისა მუშათა კლასის ნებისყოფისადმი გვიმტკიცებს, რომ ჰილფერდინგი მარქსისტი კი არა არამედ ის ბურჟუაზიული რეფორმისტია. ეს დაპირისპირება ნიშნავს მარქსისტული მსოფლმხედველობის საფუძვლის დანგრევას. მარქსიზმის ანბანის უარყოფას, ისტორიული მატერიალიზმის თეორიის გადასინჯვას, რევიზიას.

ჰილფერდინგს რომ გავყოლოდით, უნდა გამოგვეცხადებინა, რომ მარქსის „კაპიტალში", რომელშიც კაპიტალიზმის განვითარების შინაგანი კანონებია გარკვეული, არ ყოფილა დასაბუთებული კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის გამარჯვების ისტორიული აუცილებლობა. ამ გზით თუ წავიდოდით, ჩვენ უნდა ამოგვეშალა „კაპიტალი" იმ წყაროების სიიდან, საიდანაც მუშები იძენენ გამარჯვების რწმენას და გამარჯვების ნებისყოფას. ამ შემთხვევაში სხვა აღარა დაგვრჩებოდა რა, თუ არა ის, რომ „კაპიტალი" გამოგვეყენებია, როგორც სახელმძღვანელო კაპიტალისტური წარმოების გასაძღოლად (სხვათა შორის აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალისტური წარმოების „მეცნიერული" და „გეგმიანი" ხელმძღვანელობა, ჰილფერდინგის რეფორმისტ. სიხედვით, კერძო საქმიდან, „საზოგადოებრივ საქმეთ" გადაიქცა). ხოლო მუშათა კლასისათვის უნდა გვეჩვია, რომ თავისი ნებისყოფა, მიმართული კაპიტალიზმის დამხობისაკენ ამოძრავებია თანახმად სოც.-დემოკრატების ქადაგებისა, სადაც ნათქვამია, რომ, თუ კაპიტალიზმი თავისი შინაგანი კანონებით სასიკვდილოდ განწირული არ არის, აუცილებლად საჭიროა მისი შეგნებულად დამხობა ამ კანონების მიუხედავად..

ადვილი დასანახავია ის წინააღმდეგობანი, რომელშიც ჰილფერდინგი ვარდება თავისი არგუმენტებით „საერთო კატასტროფის თეორიის" წინააღმდეგ.

მან ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან კაპიტალიზმი თავისი შინაგანი კანონებით სასიკვდილოდ განწირული არ არის: და ამ შემთხვევაში კაპიტალიზმის დამხობისათვის კი არა მისი „გაუმჯობესებისა", რეფორმისთვის უნდა ვიზრუნოთ; ან კაპიტალიზმი უნდა დაინგრეს ამ კანონების ძალით — ამ შემთხვევაში ეს დანგრევა უნდა მოვამზადოთ და სხვათა შორის „სამწუხაროდაც" უნდა მივიჩნიოთ რომ ეს დღემდე არ მოხდა. (და არ მოხდა, სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობის წყალობითაც).

ჰილფერდინგი პირველ მეთოდს ირჩევს და ამით აღწევს თავს ამ წინააღმდეგობას. სიტყვიერად ის თავს არ სცნობს რეფორმისტად, ლაყბობს „კაპიტალიზმის დამხობაზე", „სოციალიზმის განხორციელებასა" და სხვა ასეთებზე. ხოლო „ფორვერტსი" კი საქვეყნოთ ბეჭდავს ამ უშინაარსო ლაზღანდარობას, რომელიც მუშების თავბრუდასახვევად არის განზრახული და უკეთებს ჰილფერდინგის მოხსენების ანგარიშს ასეთ წარწერას: „ჩვენ გვინდა გავიმარჯვოთ".

ჰილფერდინგის რენეგატულ აზრებს უფრო შემდეგი სათაური [illegible]: „მშვიდობით მარქსიზმ[illegible] იყოს ერთმანეთისაგან ჩვენი დაშორება".

⁂

განვაგრძობთ ქვევით.

ჰილფერდინგის აზრით კაპიტალიზმის „შინაგან კანონებს" არა თუ არ მივყევართ მისი „კატასტროფისაკენ", პირიქით ეს კანონები მას უფრო მაღალ საფეხურზე სწევენ, „ორგანიზაციულად მოწყობილ კაპიტალიზმათ" აქცევენ. ჰილფერდინგი ისეთი ალტაცებით უგალობს ამ „ორგანიზაციულად მოწყობილ კაპიტალიზმს, რომ ის მას თვალში უკვე... სოციალიზმათ იქცევა ჰილფერდინგი ამბობს:

მრავალ ფაქტებს შორის ამას ადასტურებს ტრედიუნიონების გენსაბჭოს პოზიცია ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მოწვევის საკითხში. სხვა დროს როდის, თუ არა ეხლა უნდა ამოიღოს ხმა ამ კომიტეტმა და მიიღოს ყოველი ზომა მასების დასარაზმავად, საერთაშორისო პროლეტარიატის, პირველ ყოვლისა ინგლის-საბჭოთა მუშების მთლიანი რევოლუციონური ფრონტის შესაქმნელად —ომის მოახლოებულ საფრთხისა და თავაშვებულ კაპიტალის წინააღმდეგ. მაგრამ ასე არ ფიქრობენ ინგლისელი შემთანხმებლები.

გაეცანით საკავშირო პროფსაბჭოს გუშინ გამოქვეყნებულ ცნობას. საბჭოთა პროფკავშირები გადაჭრით მოითხოვენ გენსაბჭოსაგან, რათა დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული ინგლის-საბჭოთა კომიტეტი შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის გამო ზომების გამოსამუშავებლად. მაგრამ გენსაბჭო არ ჩქარობს. მისი მდივანი [illegible]ტრინი, ამხ. ტომსკის 14 მაისის შეკითხვაზე 18 მაისის თარიღით იუწყება, რომ თქვენი წინადადების შესახებ „მომავალ კვირას“ მოვახსენებ განსაბჭოს. 25 მაისს პროფსაბჭო კვლავ უგზავნის დეპეშას გენსაბჭოს, რათა გასცეს შესაფერი პასუხი—თანახმაა თუ არა ის ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მოწვევაზე. სიტრინი უპასუხებს: „ამჟამად არ შეგვიძლია მოვაწყო ინგლის-საბჭოთა კომიტეტის სხდომა, მაგრამ პირველ შემლებისთანავე მოვახსენებ გენსაბჭოს.“ საკავშირო პროფსაბჭო მაინც არ ისვენებს და დაჟინებით სდგას თავის წინადადებაზე. სიტრინი აცნობებს მას, რომ შეიძლება 17 ან 18 ივნისს ტომსკი და დოგადოვი ბერლინში შეხვდენ ხიკსს და სიტრინს იმ საკითხების წინასწარ განსახილველად, რომელთა წარდგენასაც საკავშირო პროფსაბჭო ფიქრობს ინგლის-საბჭოთა კომიტეტში. მაშასადამე, გენსაბჭო ისევე აჭიანურებს კომიტეტის მოწვევას. ჩვენი პროფსაბჭო მაინც „ჯიუტობს“ და კატეგორიულად მოითხოვს ინგლის-საბჭოთა პლენუმის მოწვევას. მაგრამ აქედან არაფერი გამოდის. ბოლოს სწყდება, რომ ბერლინში 17 ივნისს შესდგება მხოლოდ ამხ. ტომსკი-დოგადოვის და ხიკს-სიტრინის შეხვედრა.

მთელი ეს გრძელი ინფორმაცია ჩვენ მოვიყვანეთ იმიტომ, რომ ცხადი გახდეს, თუ როგორ „ემსახურება“ გენსაბჭო მუშათა კლასის საქმეს. ის ყოველნაირად გაურბის ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მოწვევას, ვინაიდან არ სურს პირდაპირ დასვას საკითხი ბრძოლის წარმოების შესახებ ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. გენსაბჭო ჩემბერლენის მოკავშირედ გამოდის. ამიტომ ვამბობთ, რომ მხოლოდ მოღალატე ბელადების გარიყვით შესძლებს ინგლისის პროლეტარიატი თავისი განთავისუფლებისათვის და ომის საფრთხის წინააღმდეგ ნამდვილ ბრძოლის წარმოებას.

* *

ამხ. ვოიკოვის მკვლელის საქმეზე გამოტანილი განაჩენი ღრმა აღშფოთებას იწვევს საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებში. კავერდას მიუსაჯეს სამუდამო დაპატიმრება, ამასთან სასამართლომ აღძრა შუამდგომლობა პრეზიდენტის წინაშე ამ განაჩენის 15 წლით დაპატიმრებით შეცვლის შესახებ. ასეთი ლმობიერება უმძიმეს დანაშაულის მიმართ, რომელსაც კინაღამ შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა ორ ქვეყანას შორის, მაშინ, როცა ჩვეულებრივ ტერორისტულ აქტისათვის თუ რევოლიუციონურ მუშაობისათვის სიკვდილით დასჯა ხშირი მოვლენაა, პოლონეთის სასამართლოს პრაქტიკაში! ეს აქტი ჩვენ არ შეგვიძლია არ განვიხილოთ, როგორც დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამის მაჩვენებელია გასამართლების მთელი პროცესი. დამახასიათებელია, სხვათა [illegible]ის, სახ. ბრალმდებლის გამოსვლა; მან სთქვა: „კავერდას გრძნობებში პირველი ადგილი ეკავა სიყვარულს სამშობლოსადმი, მისი კულტურისა და ჩვეულებებისადმი“, შემდეგ მან აღნიშნა ბრალდებულის „ბავშური ჰასაკი“ და სთქვა, რომ „ლაპარაკიც ზედმეტია შეთქმულებაზე და რომ მკვლელობა წარმოადგენს ინდივიდუალურ აქტს“. ბოლოს, ის მიმართავს „მსაჯულთა სინიდისს“ და აცხადებს: „თქვენ, რომლებიც ამ მომენტში გამოხატავთ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, გამოიტანთ ისეთ განაჩენს, როგორსაც თქვენი სინიდისი გიკარნახებთ და როგორიც შეეფერება სამართლიანობას, სახელმწიფო ინტერესებს და კაცთმოყვარეობას“. თქვენ იტყვით, რომ ეს ბრალმდებლის სიტყვა არ იქნება, არამედ ბურჟუაზიული ვექილის, რომელიც თავის დანიშნულებას ხედავს ყოველგვარ ბოროტმოქმედების გამართლებაში. მაგრამ შეცდებით. ამას ამბობს სწორედ ბრალმდებელი. ის თითქმის გმირის შარავანდედით მოსავს მკვლელს, და აქედან პროცესის შედეგიც ისეთია, როგორიც ვიცით.

ასეთ პირობებში რა საჭირო იყო საქმის გადაცემა საგანგებო სასამართლოსათვის? ეხლა ცხადია, თუ რატომ. ეს ნიშნავს დამნაშავის გასამართლებას, „გამარტივებული“ წესით. ასეთი „წესი“ ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა იმისათვის, რომ არაფერი არ გამორკვეულიყო, რომ დაემალათ მკვლელობის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები. „ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტაგ“ სწორად სწერს: მკვლელს იმისათვის არ გადაუწყვიტეს უმაღლესი სასჯელი, რომ მის ზურგს უკან დგანან წამქეზებელნი, რომლებზეც ხელის დადება შეუძლებელი შეიქნა. ყველაფერი აშკარაა: მკვლელობაში ამა თუ იმ სახით ურევია ინგლისის ხელი, ის მოწყობილია პოლონეთში მოკალათებულ თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების მიერ. პოლონეთის მთავრობა ყველაფერ ამას ხელს აფარებს. ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობს პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის გაუმჯობესებას. პილსუდსკის მთავრობამ ვერ დაამტკიცა, რომ ის პოლიტიკურად იმიჯნება მკვლელობისაგან. ის, ცხადია, თავს ვერ გაიმართლებს იმაზე მითითებით, რომ სასამართლო პოლონეთში ვითომდა დამოუკიდებელი იყოს. ჩვენ კარგად ვიცით ამ „დამოუკიდებლობის“ ფასი.

პოლონეთის მთავრობამ ამხ. ვოიკოვის მკვლელის ასეთი გასამართლებით ახალი დანაშაული ჩაიდინა საბჭოთა კავშირის წინაშე. ამას ჩვენი მშრომელები არ დაივიწყებენ და აქედან სათანადო დასკვნას გამოიყვანენ.

* *

ჩინეთში ამ უკანასკნელ დღეებში საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო შექმნილი. ხუნანის პროვინციის დედა-ქალაქში, ჩან-შაში კონტრ-რევოლიუციონურად განწყობილმა ოფიცრობამ გადატრიალება მოახდინა. ამასთან მან დევნა დაუწყო მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს. ხუნანი უხანის რევოლიუციონურ მთავრობის ზურგში იმყოფება და მეტად მნიშვნელოვანია სტრატეგიული თვალსაზრისით. აქ კონტრ-რევოლიუციის დამკვიდრება და გავრცელება დიდ საფრთხეს შექმნიდა რევოლიუციის საქმისათვის. ამჟამად ეს აჯანყება უკვე ჩაქრობილია და ჩან-შაში აღდგენილია რევოლიუციონური წესრიგი.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ უხანის ჯარების შეტევა მუკდენელების წინააღმდეგ ბოლო დროს შეწყდა. ხმები დადიოდა, რომ ფინ-იუი-სიანი თითქო რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებს ჩან-კაი-შისთან და გამოდის შუამავლის როლში ნანკინსა და უხანს შორის. ამასთან ადგილი ჰქონდა ერთგვარ უთანხმოებას უხანის მთავრობასა და ჯარების სარდლობის ნაწილ შორის. ჩენ-ჯოუში შემდგარმა პოლიტიკურ-სამხედრო კონფერენციამ ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოუღო. ფინმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომ იზიარებს გომინდანის პროგრამას და გადაჭრით იბრძოლებს როგორც მუკდენის, ისე ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. მან თავისი ჯარი გომინდანის არმიად გამოაცხადა და ის მთლიანად დაუმორჩილა გომინდანის ხელმძღვანელობას.

რევოლიუციის მთლიანი ფრონტი კვლავ აღდგენილია. შეტევა ჩრდილოეთის წინააღმდეგ ისევ განახლდა. მაგრამ რაც მოხდა, ერთი ზედმეტი გაკვეთილია. როგორც სჩანს, გომინდანის მარცხენა ფრთაში, მით უმეტეს რევოლიუციონურ ჯარების ოფიცრობაში მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომელთაც რევოლიუციის გარღმავება მაინც და მაინც არაფრად ეჭაშნიკებათ. დაუნდობარი ბრძოლა ამ ჯგუფების გასაძევებლად და გასანაპირებლად, მუშათა და გლეხთა შემდგომი დარაზმვა და მათი უფრო აქტიური ჩაბმა რევოლიუციაში,—აი რას მოითხოვს ჩინეთის განთავისუფლების ინტერესები. თავის თავად ცხადია, ეს მოვალეობა პირველ ყოვლისა ეკისრება ჩინეთის კომპარტიას, რომელმაც ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა გადადგას გადაჭრილი ნაბიჯები, გომინდანის რევოლიუციონურ ფრთასთან შეთანხმებით. ჩინეთის კომპარტიის ამას წინად გამოქვეყნებულ მოთხოვნებიდან სჩანს, რომ ის თავის დანიშნულების სიმაღლეზე დგა[illegible]

რევოლიუციონურ რიგების შემჭიდროება და გადაჭრილი მოქმედება მით უფრო აუცილებელია, რომ ჩან-კაი-შის ნაბიჯებს სდგამს ჩან-ძო-ლინთან და [illegible]პერიალისტებთან კავშირის შესაკრავად. კონტრ-რევოლიუციის და იმპერიალიზმის გაერთიანებულ ფრონტს უნდა დაუპირდაპირდეს კლდესავით მტკიცე მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი.

გ. კ—ლი.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 10 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მუშკომპიდან—ბაქრაძეს, შიხინოვს, ოზოლაძეს, ანინს, დავიდოვს და შ. ქეიშვილს, წარკომპიდან—იახნინს, აბრამიძეს, შახმაროვას, კალანდაძეს, სააკიანს, აბრამიანცს და ფერიაშვილს.

ვანო ბოლქვაძე.

ამხ. ლავრენტი ქართველიშვილის გამოწვევით შემაქვს თვით-მფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდში 10 მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აკ. ჭყონიას, გ. კვარაცხელიას, ან. დოლიძეს, ლ. ალნიაშვილს, პ. დადვაძეს, გ. ქიქოძეს, ა. სირაძეს, ზ. ბაევას, ვ. ავაკოვს, კ. ჩხენკელს, გ. მგალობლიშვილს, სტ. კაიტანჯიანცს, ბიქტორ თევზაიას, მ. ფილიას.

ნიკო კიკნაძე.

ამხ. ლავრენტი ქართველიშვილის გამოვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. დავით ლისის პროლეტარიატი"-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ს. დავით კლდიაშვილს, 2. ვასილ ბარნოვს, 3. კოტე მარჯანიშვილს, 4. ვახტანგ კოტეტიშვილს, 5. არისტო ჭუმბაძეს, 6. მიხეილ ჩოჩიას, 7. პეტრე ქავთარაძეს, 8. ქრისტეფორე რაჭველიშვილს და 9. ნიკო შიუკაშვილს.

ალ. აბაშელი.

ამხ.. ლევან კლენჯერიძის („რაბოჩაია პრავდა") გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი ჰაეროპლან „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაგებათ და ვიწვევ: ხოზიკას (ერთი ფელეტონით), გრიგოლ ნუცუბიძეს (ბათომი), სერგო ყუფარაძეს (ბათომი), მოსე თალაკვაძეს (ოზურგეთის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება), ექიმ ვლადიმერ თოხაძეს (თბილისი), ონიფანტე რამიშვილს (ბათომი).

ბ. ფულაძე.

— თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაგებათ შემომაქვს 10 მ. და ვიწვევ თითო თუმნით შემდეგ ამხ ამხ. შ. ადიკაშვილს (ალმასკ.) პლატონ კორძახიას, შ. წითლიძეს, მ. გავაშელს, გვალიას, ვ. სიხარულიძეს, თენიეშვილს (ლომბარდი), ბრეგვაძე (თბ. ვაჭრობა), ხოჯაევი (ქ. წყალსად.), ცანავა (ე. მ. ს.) ბოკერია (სასაკლაო), იუსუფოვი (ქ. აბანოები), ალი-ტაგი-ზადე, ჯაფარლი, შ. კილურაძეს (მილიცია), ხარამიძეს (მილიცია), მ. წერეთელს (მილიცია), შონია (ზაჰესი), გურგენიძე (ტექ. სინდიკატი), ს. ცქიტიშვილი (ქ. ალმასკომი), გავა (ალმასკომის ტრანსპორტი), გრიგოლ მიროტაძე (ალმასკომი), ვ. ლეჟავა (ალმასკომი).

ა.. ჯაფარიძე.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდში შემომაქვს სამი (3) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს. 1-ლი არტ-ლეგიონიდან: მგალობლიშვილს, დემეტრაშვილს, სულიკაშვილს, ფერაძეს. წერეთელს, ხუჭუას, ნოზაძეს, კილაძეს, მესხს, იორდანიშვილს, ჰინჩარაძეს, ჩერქეზიას, თავართქილაძეს, გ. ლეჟავას, ბარათაშვილს, ჩხიკვაძეს, დაჩიძეს, ქვათაძეს, გიორგაძეს, და გვაზავას. 1-ლი ქვეითი ლეგიონიდან: ამხ. კვირაიას, და ცინცაძეს, მე-2-რე ქართ. ლეგ. ამხ. ბახიას და ბურდილაძეს, მესამედან ამხ. ირემაძეს და ზნამენსკის, მეოთხედან ამხ. ტუღუშს და რაჟდენ ცაგარეიშვილს, მეექვსედან ამხ. დოლიძეს. 1-ლი დივიზიის პოლიტ-განიდან ამხ. ხომერიკს და ვეგიას.

1-ლი არტ-ლეგიონის პოლიტხელმძღვანელი: **ბ. ცაგარეიშვილი.**

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოდ შემომაქვს 1 მანეთი და თითო მანეთზე ვიწვევ ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთ: ვარია კალანდაძეს, ელენე ოგანეზოვას, ელენე გოგიმერელს, იულია ჯაფარიძეს, თამარა კანდელაკს, ელენე კანდელაკს. 3 მანეთზე ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სანდრო ფარნიევს, პლატონ ჯაფარიძეს, შალვა ბილუხოძეს, მოსე ორმოცაძეს, თეოფილე ჭეფხოძეს, შართავა ვანიჩქას, კოწია ჩხარტიშვილს, დათიკო მარგიშვილს, ნინო გუჩმაზაშვილს, ოთაროვაა ხკრიპკინას, ინჟ. ლულუნიშვილს, ინჟ. მირიელოვს, ინჟ. ხაჩატუროვს, ზურაბ მეტრეველს, ლადო ფარჯანაძეს, მიშა ბეჟანიშვილს, არუთინ საიათნოვს, სუსანა საიათნოვას, მიშა კანდელაკს, ინჟ. აბაჯიევს, ალექსანდრე წერეთლიშვილს, სოსო ნატროშვილს, დათიკო მახარაძეს, კომუნალურ კავშირიდან: ლექსო თავდგირიძეს, ბეჟანიშვილს, და ფოჩხაძეს.

მარო დვალი.

თავდაცვის კვირეული

კვირეულის ჩასატარებლათ

თავდაცვის კვირეულის ჩატარება საქართველოს ფარგლებში დანიშნულია 10 ივლისიდან 17 ივლისამდე.

კვირეულის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიას ხელმძღვანელობს საქარ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

ჰაეროპლანების მოდელების შეჯიბრი

დღეს, დილის 10 საათზე დოლის მოედანთან შესდგება ჰაეროპლანების გაუმჯობესებული ტიპების მოდელების შეჯიბრი.

შეჯიბრს ექნება სადღეო-საჩვენებელი ხასიათი; დასწრება შეუძლია ყველას.

საავიაციო კურსები

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ დაიწყო სამზადისი საავიაციო კურსებზე შემსვლელთა მსურველების შესაკრებათ. საავიაციო კურსები გაიხსნება საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქებში; მსმენელებათ მიიღებენ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების, პროფკავშირების, პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებების მიერ მივლინებულ ახალგაზდრებს.

მისაღები პირობების დაწვრილებით გასაცნობათ მსურველებმა უნდა მიმართონ საქ. თავდაცვა ავია-ქიმის საზოგადოებას.

სამხედრო-საფოსტო მტრედების შეჯიბრი

თავდაცვა-ავიაქიმის ა.-კ. საზოგადოების ინიციატივით, აგვისტოს პირველ რიცხვებში თბილისში გაიხსნება სამხედრო-საფოსტო მტრედების გამოფენა და მათი შეჯიბრი პრაქტიკაში. მტრედების გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ჯიშები; მათი შეჯიბრი მოხდება ცნობიერობის გამორკვევის მიზნით.

გამოფენაზე გამართება აგრეთვე მოძრავი სადგურები, საიდანაც მტრედებს ჯააფრენენ რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე საფოსტო დავალებით.

მტრედების გამოფენაზე მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ აგრეთვე კერძო მოყვარულებსაც, რომლებმაც სათანადო განმარტებისათვის უნდა მიმართონ ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას.

გამოფენა გაიმართება წითელი არმიისა და ფლოტის სახლის საზაფხულო ბინაზე (პლეხ. პროსპ.).

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

თათბირი საქ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში

გუშინ, სამთო მრეწველობის ტრესტში გაიხსნა ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონის შემსწავლელი კომისიის გაფართოებული თათბირი, რომელსაც დაესწრენ რუსეთიდან მოწვეული სპეციალისტები და დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირი მოკლე საინფორმაციო სიტყვით გახსნა ამხ. შ. ავაქოვმა, რომელმაც დაახასიათა ტყვარჩელის კომისიის მიერ ჩატარებული საქმიანობა და აღნიშნა, რომ ტყვარჩელის ზოგიერთ უბნებში უკვე დასრულებულია გამოკვლევითი სამუშაოები.

ამხ. ავაქოვის სიტყვის შემდეგ თათბირი შეუდგა ტყვარჩელის ქვანახშირის საკითხების განხილვას. მოხსენებით ამ საკითხის შესახებ გამოვიდნენ ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს წარმომადგენელი ინჟ. სპრინკელი და შავი ზღვის რკ. გზის სამმართველოს წარმომადგენელი ინჟ. ანდრონიკაშვილი.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა დაადგინა გაყვანილ იქნეს ფართო ლიანდაგიანი რკ. გზა ოჩემჩირედან ტყვარჩელამდე. გარდა ამისა ოჩემჩირეში უნდა იქნას აგებული ქვანახშირის დასატვირთი ნავთსადგური, რომელიც ყოველდღიურათ მიიღებს 400.000 ფუთ ქვანახშირს, ხოლო ყოველწლიურათ კი 120 მილიონ ფუთს.

ნავთსადგურის ასაგებათ საჭირო წინასწარი გამოკვლევითი სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაწყებული. თათბირმა საჭიროდ და აუცილებლათ სცნო აგრეთვე გაგრძელებულ იქნას შავი ზღვის რკ. გზა ოჩემჩირემდე.

გეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგების შესახებ მოხსენება გაკეთა გეოლოგმა მოკრინსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ გეოლოგიური გამოკვლევები დასრულებულია მარტო ორ უბანში. აღნიშნულ უბნებში ქვანახშირის მარაგი უდრის 4 ნახევარ მილიარდ ფუთს. თავის ღირსებით ეს ქვანახშირი უნდა ჩაითვალოს მაღალ ხარისხოვან სათბობ მასალათ. საექსპლოატაციო სამუშაოების დასაწყებათ ხელსაყრელი პირობებია განსაკუთრებით მე-2 უბანში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც მიზანშეწონილადაა ცნობილი, რომ მე-2 უბანში დაწყებულ იქნეს ქვანახშირის ამოღება მომავალი წლიდან.

მოსკოველი სპეციალისტები

ტყვარჩელის ქვა-ნახშირის პერსპექტივების შესახებ

რუსეთიდან ჩამოვიდენ სპეციალისტები, რომლებიც დაესწრენ თათბირს, მოწვეულს ტყვარჩელის მადნების ექსპლოატაციის საკითხების განსახილველად. ჩამოსულთა შორის არიან საკავშირო საგეგმო კომისიის წარმომადგენელი ინჟ. ფედოროვიჩი „იუგოსტალის" წარმომადგენელი ინჟ. ტანჩიარი და გეოლოგი მოკრინსკი.

ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების პერსპექტივების შესახებ ინჟ. ფედოროვიჩმა განაცხადა:

— ტყვარჩელის საკითხი დიდ ინტერესს იწვევს უმაღლეს საკავშირო ორგანოებში. ამ ქვანახშირს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება სამხრეთ-რუსეთში ახალი წარმოებების მოწყობისათვის. ამ ჟამად ქერჩში შზადაა ასამუშავებლად უძლიერესი და უდიდესი ლითონის ქარხანა, სადაც ყოველწლიურად უნდა დამზადდეს 40 მილიონი ფუთი თუჯი. ქერჩის ქარხანას დაჭირდება 60 მილიონი ფუთი ქვანახშირი, თუ ვვარაუდებთ, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ ქარხანა გააფართოვებს თავის წარმოებას და დაიწყებს რკინისა და ფოლადის გამოშვებასაც. მაშინ აშკარა გახდება, რომ საჭირო მასალის მიწოდება დონის ან სხვა რაიონიდან გაძნელდება. სწორედ ამ დროისთვის ტყვარჩელის მნიშვნელობა ერთი-ორად დიდი იქნება, ვინაიდან ტყვარჩელში ჯერ ერთი ნახშირის დიდი მარაგია და მეორეც იგი გეოგრაფიულად ახლოსაა ქერჩის სამრეწველო რაიონთან, რაც აადვილებს ნახშირის მიწოდებას.

პირველ ხანებში განზრახულია ამოღებულ იქნეს ტყვარჩელში 10.000 ფუთი ნახშირი, რომელიც გაიგზავნება დონის ქარხნებში კოკსის გასაკეთებლათ.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ტყვარჩელის მაღაროებში მუშაობის დაწყებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება თვით აფხაზეთისათვისაც, ვინაიდან ქვანახშირის მარაგის სიდიდის გამო იქ შეიძლება სხვადასხვა წარმოებების მოწყობა.

თბილისის ალმასკომის ბიუჯეტი

1927—28 წლის გასავლის ხარჯთაღრიცხვა

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა საფინანსო განყოფილების მიერ წარმოდგენილი 1927—28 წლის გასავლის საკონტროლო ციფრების პროექტი, რომლის მიხედვით განყოფილებებს შორის განაწილებული იქნება შემდეგი თანხა: საერთო ადმინისტრატიულ დაწესებულებებს შესანახათ (ქალაქის და მაზრის ბიუჯეტი)—483,000 მანეთი; სტატისტიკურ განყოფილებას შესანახათ—18.000 მანეთი; საფინანსო განყოფილების განკარგულებაში გადადებული იქნება—156.000 მანეთი; საფინანსო კონტროლისათვის—25.000 მან.; გაუთვალისწინებელ ხარჯების დასაფარავად—300.000 მანეთი; საზოგადო წესიერების დაცვის საქმეზე დაიხარჯება—703.000 მანეთი; იუსტიციის ორგანოების შესანახათ—230 000 მანეთი; სახალხო განათლების საქმეზე—3.447.000 მანეთი; გაზეთებისათვის დოტაციის მისაცემად—138.000 მანეთი; სახალხო ჯანმრთელობის საქმეზე თბილისსა და მის მაზრაში—1.860.000 მანეთი; მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევაზე—25.000 მანეთი; სოციალურ უზრუნველყოფის ხარჯების დასაფარავად გადებული იქნება (მარტო თბილისისათვის)—80.000 მანეთი; უმწეო ქალთა თავშესაფარისათვის — 5.000მანეთი; უმუშევრობასთან საბრძოლველად—50.000 მანეთი; ბავშთა მათხოვრობასთან საბრძოლველად—15.000 მანეთი; წყალსადენის საჭიროებისათვის — 10.850.000 მანეთი; კანალიზაციის მოსაწყობად—150.000 მანეთი; ტრამვაის შესანახად—3.960.000 მანეთი; ელექტრონულ ქსელისათვის—1.430.000 მანეთი; სასაკლაოსათვის—450.000 მანეთი; აბანოებისათვის—346.000 მანეთი; სასტუმროებისათვის—200.000 მანეთი; სხვა დასხვა წარმოებებისათვის—102.000 მანეთი; ახალ კომუნალურ აღმშენებლობის საქმეზე მარტო ქალაქში დაიხარჯება—1.711.000 მანეთი; საბინაო აღმშენებლობაზე—1.500.000 მან; სახლების და დარაბების შესაკეთებლად—400.000 მანეთი; თემებში წვრილი მეურნეობის საწარმოებლად—12.000 მან.; მაზრაში გზების შესაკეთებლად და ახალის გასაყვანად—150.000 მან.; სასოფლო-მეურნეობის გასაფართოებლად—300.000 მან.; ადგილობრივი მრეწველობის საჭიროებისათვის—71.000 მან.; საბინაო კოოპერატიული ფონდში გადაირიცხება—190.000 მანეთი; ხოლო სამრეწველო ფონდში—2.186.000 მანეთი; სხვადასხვა ხარჯების დასაფარავად გადადებული იქნება—2.808.000 მანეთი. ამრიგად 1927—28 წლის გასავლის საკონტროლო ციფრები დამტკიცებული იქნა სულ 25.744.000 მანეთის რაოდენობით. განყოფილებებს წინადადება მიეცათ აღნიშნულ თანხების ფარგლებში წარმოადგინონ თავიანთი ხარჯთაღრიცხვები აგვისტომდე.

აჭარის-წყალის

ჰიდრო-სადგური

ელექტრომოწყობილობის შეძენა

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სამუშაოების უფროსმა ინჟ. მაშევსკიმ ხელშეკრულება დასდო ელექტრო-ტრესტთან სადგურისათვის საჭირო ყოველგვარ ელექტრომოწყობილობის მიწოდებაზე.

ხელშეკრულების ძალით ელექტრო-ტრესტმა 1928 წლის აპრილის და მაისის განმავლობაში უნდა ჩააბაროს სადგურის საამშენებლო კომიტეტს ორი ტურბინა 3.750 ცხ. ძალის სიძლიერის თვითეული და ოთხი მთავარი ტრანსფორმატორი.

3.000 კილოუატის სიძლიერის გენერატორები ჩაბარებული უნდა იქნეს 1928 წლის ივნის-ივლისის განმავლობაში.

მთელი შეკვეთის ღირებულება უდრის 762.000 მანეთს.

დაიწყო 14 მეტრიან ანძების მოწყობა გადაცემის ხაზისათვის. ანძები დამზადებული იქნება წყალსადენის მილებისაგან.

„ზაკავტოპრომტორგი"

ამ დღეებში შესდგა ამიერ-კავკასიის საავტომობილო-სამრეწველო საზოგადოების „ზაკავტოპრომტორგის" პლენუმი, რომელზედაც განხილული იყო მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

პლენუმმა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეთ აირჩია ი. ხოლოდოვი და დაამტკიცა 1926 წლის ბალანსი 3.059.444 მანეთის რაოდენობით. პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გასული წლის განმავლობაში საზოგადოების შემოსავალი უდრიდა 35.446 მანეთს.

დასასრულ პლენუმმა დაადგინა მიიღოს მთელი რიგი ზომები ამიერ-კავკასიის გზებზე საავტომობილო მიმოსვლის გასაუმჯობესებლათ და დაამტკიცა ხელშეკრულება გროზნოს ნავთის სამრეწველოები სამმართველოსთან გროზნოს ნავთის სამრეწველოს შორის საავტომობილო კავშირის დასამყარებლათ.

გროზნოში პირველ ხანებში გაგზავნიან ექვს სამგზავრო ავტომობილს.

სურებ-ჩოხატაურის გზა

თანახმად ამხ. ზ. ბიბინეიშვილის გამოწვევისა შემომაქვს 10 მანეთი სურებ-ჩოხატაურის გზის გამყვან ფონდის გასაძლიერებლად და ჩემის მხრით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ოლღა ნესტორის ასულს ხვედელიძეს, ტარასს, იოსებ, დიომიდე და ტიტე ბერიშვილებს, ტარასი და ნიკოლოზ კობიძეებს, ვალოდია ხუნდაძეს, კაკისო უჯმაჯურიძეს, გრიგოლ ცინცაძეს, ლევანტი ცეცხლაძეს. გიორგი და ერეკლე კიკვაძეებს, აკაკი სანიკიძეს (ბათომიდან), რაჟდენ (ხიდისთავის მილიციიდან) და აკაკი ონის. ტრაპაიძეს. ბესარიონ მოსესძე რამიშვილს, ილია ბარამიძეს, კაპიტონ კოტრიკაძეს.

ანდრია ტრაპაიძე.

სურებ-ჩოხატაურის გზის გაყვანის დასახმარებლად ამხ. ბარონ ბიბინეიშვილის გამოწვევით შემაქვს გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორაში 10 მანეთი და ვიწვევ: ინჟ. გ. უ. მგელაძეს, ექიმ დ. დ. მგელაძეს, ნ. დ. მგელაძეს, ვასო გ. მგალობლიშვილს, გიორგი ე. ცინცაძეს, პავლუშა ე. ცინცაძეს, თეოფილე ოსიამ. რამიშვილს, ალფესი ლავრ. რამიშვილს, ისაკი კონსტანტინესძე რამიშვილს, ელისაბედ ოსიამეს ასულს რამიშვილი-კუტალაძეს, სარდიონ ტარიელისძე სანიკიძეს, შალვა სერაპიონისძე რამიშვილს და პანტელეიმონ დავ. სანიკიძეს..

ზინოვი ჟაფოძე.

ა.-კ. ვაჭრ. კომისარიატში

ხელშეკრულება „საქარ. აზრეშუმთან"

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ნება დართო ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ხელშეკრულება დასდოს „საქართველოს აზრეშუმთან" 4.500 ფუთ ხმელი პარკის მიწოდების შესახებ.

აპარატის რეორგანიზაცია

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ აუცილებლად სცნო ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სპარსეთ-ოსმალეთის კანტორის გაუქმება და მის მაგივრად აღმოსავლეთთან ვაჭრობის დირექტორატის დაარსება.

ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი „ზაკტილსირიე"-ს აპარატის გადასინჯვა მისი შეკვეცის მიზნით.

წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია

შესაძლებლად იქნა ცნობილი შაქრის ტრესტის საგენტოების გაუქმება ლენინაკანში, ერევანში და ქუთაისში. რაც შეეხება საფეიქრო სინდიკატის, ქაღალდის ცენტრალურ ტრესტის, მარილის სინდიკატის და შაქრის ტრესტის განყოფილებებს, მათი ლიკვიდაცია ნაადრევად იქნა ცნობილი, რადგან ადგილობრივ ორგანიზაციებს ჯერ არ შეუძლიათ ბაზრის სავსებით დაპყრობა.

მეტრიული სისტემა

მეტრიული სისტემის გატარება ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში დაევალა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო მეტრიულ კომისიას.

ექსკურსიები

დღეს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვალიერებლად მიემგზავრებიან ბაქოს სამთამადნო მუშათა ექსკურსია 15 კაცისაგან და სიღნაღიდან ჩამოსული 40 მუშა-მოსამსახურე.

ზაჰესის გარდა, დღეს ექსკურსია იმართება უფლისციხეში ძველი გამოქვაბულების დასათვალიერებლად. მიემგზავრებიან გემო-კვების მუშაკთა კავშირის წევრები.

გუშინ სალამოს, ბათომში გაემგზავრა მედსანშრომის კავშირის წევრების ექსკურსია 35 კაცის შემადგენლობით.

1 ივლისს მედსანშრომის კავშირი აწყობს თავის წევრების მასიურ ექსკურსიას კავკავში.

გამოფენა

დღეს იხსნება გამოფენა თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში.

გამოფენაზე ამუშავებული და ნაჩვენები იქნება ძრავები, მანქანები და ჩარხები სადურგლოში, მექანიკურ სახელოსნოებში, ორთქლის სამანქანო განყოფილებაში, ელექტროტეხნიკურ და მანქანათა საცდელ ლაბორატორიაში, ელსადგურზე, გალვანოპლასტიკურ და სპილენძ-სასხმელ განყოფილებებში და სხვ. გამოფენილი იქნება მოსწავლეთა ნამუშევარი სახელოსნოებში: იარაღები და ხელსაწყოები,—სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, ელექტრომატორები, ავეჯეულობა, სხვადასხვა ხის ნაკეთობანი და მოდელები, ელექტრო-ტეხნიკური ხელსაწყოები და აგრეთვე ნამუშევარი ხატვა-ხაზვა, გეგმარები და სხვ.

რკინის გზებზე

ნავთის გადაზიდვის გადიდება

ნავთის სინდიკატმა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს წინაშე, რომ სინდიკატს დამატებით მიეცეს 20 ცისტერნა ყოველდღიურად.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

ა.-კ. რკ. გზ. უბედურ შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა 24 საქმე უბედურ შემთხვევების შესახებ. საერთო ზარალი ამ შემთხვევებიდან უდრის 48.788 მანეთს.

მატარებლის დამტვრევა

კატასტროფის დროს დაიღუპა 6 კაცი. მძიმედ დაშავდა 3 კაცი, მსუბუქად—ოთხი.—დაიმტვრა რამდენიმე ვაგონი

გუშინ ღამით სად. სუმგაიტის მახლობლად მოხდა საბარგო მატარებლების დაჯახება.

ღამის 2 საათზე სად. სუმგაიტში მოსული მატარებელი № 450 აწარმოებდა სამანევრო მიმოსვლას. ამ დროს სად. გიუძეკიდან გამოვიდა შერეული მატარებელი № 21, რომელსაც თან ახლდა საორთქლმავლო ბრიგადის მოსასვენებელი საკლასო ვაგონი. მატარებელმა № 21-მა საოცარი სიჩქარით გადაირბინა გიუძეკ-სუმგაიტის გადასარბენი. მისი სიჩქარე აღწევდა 60 კილომეტრს საათში. მიუხედავათ იმისა, რომ სად. სუმგაიტის სემაფორი დახურული იყო, მატარებელი შეიჭრა სადგურის რაიონში.

მატარებელი № 450-ის მემანქანემ შენიშნა მოსალოდნელი საფრთხე და მიიღო ზომები მატარებლის გასაყვანად სად. ნასოსნოისაკენ. მატარებელი № 21 არ შეჩერდა სადგურთან და განაგრძო იმავე სისწრაფით მსვლელობა. გასასვლელ სემაფორთან იგი დაეჯახა საბარგო მატარებელს № 450. დაჯახება იმდენათ ძლიერი აღმოჩნდა, რომ ორთქლმავალი გადავარდა ლიანდაგიდან, სავსებით დაიმსხვრა საკლასო ვაგონი და დაზიანდა 8 საბარგო ვაგონი. გაფუჭდა აგრეთვე ლიანდაგიც. დაჯახების დროს მოკვდა 6 კაცი, მძიმედ დაიჭრა 3, ხოლო მსუბუქად დაჭრილია 4 კაცი. გუშინ დაღუპულთა ვინაობა არ იყო გამორკვეული.

კატასტროფის ადგილას გაიგზავნა დამხმარე მატარებელი სანიტარული და საექიმო დახმარებით. ლიანდაგი დაზიანებულია 300 მეტრის მანძილზე.

მოსავლელი ლიანდაგი

გუშინ დილით ბაქოდან გაიგზავნა მასალები კატასტროფის ადგილზე მოსავლელ ლიანდაგის მოსაწყობათ, რათა შესაძლებელი გახდეს მატარებლების მოძრაობის აღდგენა. მატარებლების მოძრაობა ჯერ-ჯეროზით შეჩერებულია.

კატასტროფის ადგილზე

გუშინ დილით, სად. სუმგაიტში სპეციალური მატარებლით გაემგზავრა გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამხ. ხაჩიევი.

კატასტროფის მიზეზების გამოკვლევა სწარმოებს.

დაწვრილებითი ცნობები

გუშინ საღამოს მიღებულ ცნობებიდან ირკვევა, რომ კატასტროფის ადგილზე ლიანდაგი საგრძნობლად დაზიანებულია. სრულებით დამსხვრეულია ერთი საკლასო ვაგონი და 4 საყინულე ვაგონი. ამას გარდა დაზიანებულია 3 ამერიკული დატვირთული ვაგონი და 8 ვაგონი დატვირთული ღვინით. მატარებელ № 450-დან დამსხვრეულია 5 ვაგონი.

მატარებელ № 21 ორთქლმავალს ლიანდაგიდან ჩავარდნის შემდეგ გაურბენია შპალებზე 100 მეტრი მანძილი.

გუშინ მიღებულ დამატებითი ცნობებით, ნაშუადღევის 5 საათზე მოძრაობა აღდგენილა მოსავლელი გზით.

მსხვერპლთა ვინაობა

გუშინ, საღამოს მიღებული ცნობებიდან ირკვევა, რომ კატასტროფის დროს დაღუპულან შემდეგი პირები; გამგეთავი—**ვარენნიკოვი**, სად. ხაჩმასის ქალაქის სადგურის მწონავი—**იაცკოვსკი**, როსტოვის სადგურის დამრიგებელი—პეტრე **ანდრიენკო** და სამი მგზავრი: **დიაჩკოვა, ლიდია სემიონოვა** და **ნადეჟდა ოვსიანიკოვა.**

მძიმედ დაჭრილნი არიან: ბაქოს სამარქაფო გამცილებელი—**დაინ-კული-ბაბიბი**, როსტოვის სამარქაფო მებარგე დამრიგებლები **მიხეილ ვასილიევი** და **კუმენკო**. მძიმედ დაშავებულია აგრეთვე სად. იამშას უფროსის თანაშემწე—მოქ. **დიაჩკოვი.**

მსუბუქად დაიჭრნენ: მგზავრები **ნადეჟდა კუზნოვა, ბალა-კაში-ოხრან ოღლი** და **ალი-ახმედ-ოღლი** და საკავშირო დარგის მე-5 უბნის მუშა **ილიასოვი.**

პატარა ფელეტონი

ა გ რ [illegible]

„ჩემბერლენმა ერთი ლიგაში კატეგორიულად განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს ომზე, ან რაიმე ფრონტის შექმნაზე მოსკოვის წინააღმდეგ".

დეპეშა.

„ჩემო კარგო მანსია!
„ხან ისე და ხან ასე!

ანდაზა.

ვინ არ იცნობს ჩემბერლენს?
სწყალობს მეფის პორფირი!
ურწმუნოც კი დარწმუნდა:
რომ ის არის ორ პირი.

გუნდრუკს უკმევს მარჯვენით
მამონს, პლუტოკრატიას;
მარცხენით კი გადაჭრის
ცხედრებში ხარტიას.

იქაც არის და აქაც,
კაპიტალის ჩალხანა;
ურჩევნია ყიილაფერს
საკუთარი ქარხანა.

ჩეტერებში ჯაზბანდობს,
მით ატარებს დროებას;
საჯაროდ კი ქადაგობს
ღვთის შიშს, უმანკოებას.

თავი მოაქვს წმინდანად
ლიგის წევრთა რიგებში;
კალონიას გასცარცვავს,
ხელს ჩაუყოფს ჯიბეში.

შემპარავის ღიმილით
დადის, დაიარება;
სუნავს მეძებარივით
მას ვინ დაეხმარება.

პარიზშია, ბერლინში,
ლიგის კარსაც შეაღებს;
გუდით დააქვს ნოტები
ვით გარმონით მეარღნეს.

კომინტერნის მტრებს ეძებს,
სინჯავს ყველგან ნიადაგს;
მისთვის სისხლი დაღვარონ,
სად იყიდის იაფად.

ჩემბერლენმა იყვირა,
დადგა კორიანტელი;
მოსკოვს შემოუთვალა:
—აღარ ძალმიძს ამდენი,
თქვენს პრესაში მაგინებთ,
მე რისი ვარ ჩამდენი?
ჩემს თავს კიდევ ვინ ჩივის,
გამოსდევნეთ ვრანგელი!
(ვსთქვათ, ვრანგელსაც არ ვჩივით,
ძლივს გადარჩა ფაციას),
თქვენი ელჩი ინგლისში
სწევს დიდ აგიტაციას,
რომ დაამხოს ბურჟუა,
წელი სწყვიტოს ნაციას;
დიქტატურა მშრომელის
თავზე გადმოგვაქციოს;
დასცეს ჩვენი პრესტიჟი,
დაგვიფილოს აქცია.
ინდოეთში ვერ სჭრიდეს
მაკლერთ მახინაცია.
ჩინეთს ვერა ვწველიდეთ,
მოხდეს დეგრადაცია.
ომში გითხოვ, გიჩვენებ,
რომ ჩემბერლენ კაცია.

ჩემბერლენმა ეს რომ სთქვა,
უნდა ნახოს სეირი;
არვინ ისვრის ზარბაზანს,
ან ვის ექნეს ხეირი?

სისხლი მისტერ-ჯონისთვის
სხვამ არავინ დაღვარა;
აბრახუნა ამაოდ
ომის დაფი-ნაღარა.

გაისწორა მონოკლი,
გადიხედა ლიგაში,
იქაც ზურგი აქციეს,
არავინ სცა ნუგეში,
ჩაუვარდა მას კოვზი
ნაცარში თუ გუბეში.
და მაინც წარმოსთქვა:
—ომი არვის უნდაო!
ომის, შფოთის ამტეხი
მე ადრევე მძულდაო!
ჩემბერლენი ამრიგად
აბრუნდა-გადაბრუნდაო!

ფიდო ლამია.

ყვავილები სილაში

„ალექსანდრ თედორის-ძე კერენსკის, რუსეთის ყოფილ დროებით მთავრობის ყოფ. პრემიერს ორჯერ გაარტყეს სილა მოხსენების დროს.

„რომში სილა გაარტყეს პროფესორ პავლე მილიუკოვს ყოფ. დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს".

—(გაზეთებიდან)

დღეს სიზმარივით ელანდებათ წარსული ხანა,
დღეს ის სამით დღეში ასჯერ მაინც იგონებს;
პრემიერათ რომ თავის თავი თვით გაიყვანა,
რომ ამშვენებდა მისი „სახე" „კერენკა" ბონებს.
იყო ქუხილი, მღელვარება და აჯანყება,
იყო „რეჩები" და „რეჩებში" თავდავიწყება..
კრონტი დაეძრა მის გარეშე ვის ჰქონდა ნება,
ეხ, ყვავილებო!.. ყვავილებო!.. ეხ, მოგონებავ!
დღეს სიზმარივით აგონდება წარსული ხანა,
დღეს „მღელვარებამ" ევროპაში „გადაიტანა"
და ყვავილებიც უბაში სილამ გადაიტანა...
და პუდრიც პირზე ცხარე ცრემლით გადაიბანა,
დღეს ამერიკა—ევროპაში აკეთებს ტურნეს,
და. სილას იღებს ყვავილების ცხარედ მოსურნე.
დღეს მასხრად იღებს საშკა-მინისტრს ყველა მეზურნე.
ასე გასწირავს პრემიერსაც იღბალი თურმე.

როცა საშას ლამაზ ლოყებს
დღე დაადგა ძალზე მწარე,
მილიუკოვმა მას მიუძღვნა
ამნაირი სამძიმარი:
—საშა, ბედის პატრონი ხარ,
ხალხს ახსოვხარ, როგორც ხედავ,
იქ თუ ვარდებს მოგართმევდენ
საჩუქრებს ხომ აქაც ხვეტავ?!
ათი წელი გადის უკვე,
რაც შენ ხალხმა „გაგაცილა"
როგორ იტყვი, ჩემო საშკა,
ვარდი სჯობდა თუ ეგ სილა?

მადლიერმა მისმა „ერმა"
აღარც პავლე გააწბილა
და რიგაში ტრიბუნაზე
მასაც სილა დააზილა.
მაშინ საშამ შეუთვალა
ზრდილობით და პატივითა:
—პავლე! რატომ დაბარბაცებ
თავრეტ დასხმულ ბატვითა?!

დღეს ისევ მისდევს უფერული, უფერულ დღეებს...
შესჩივის საშა (მასთან პავლეც) ჩინოსან წრეებს:
—გაიღეთ რამე, ღვთის გულისთვის, გაიღეთ რამე,
თორემ ქუჩაზე გესტუმრებათ თქვენც ჩვენი ღამე.

ნოზიკა.

შოფერების შემოწმება

ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ინიციატივით სპეციალურმა კომისიამ მოახდინა „აზნეფტ"-ის შოფერების საექიმო შემოწმება.

გამოკვლეული იქნა 299 შოფერი—19-დან 59 წლამდე—სტაჟით, 1 წლიდან 20 წლამდე. გამორკვეულთა საერთო რიცხვიდან ჯანმრთელი აღმოჩნდა (51 17,1 პროც.), ავადმყოფი—248 (82,9 პროც.).

გამოკვლეულთა შორის ნერვიული სისტემის აშლით დაავადებულია—43,1 პროც., კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობით—26 პროც., თვალის ავადმყოფობით—27,7 პროც., სახსრების ავადმყოფობით—7,6 პროც., გულის ავადმყოფობით—19 პროც. და ფილტვების და სასუნთქი ორგანოების ავადმყოფობით—25,1 პროც.

მოსახლეობის საერთო დაავადმყოფებასთან შედარებით შოფერების დაავადმყოფება გაცილებით დიდია. ეს აიხსნება მათი მუშაობის თავისებურებით.

შოფერის სტაჟის ზრდასთან ერთად იზრდება მათი დაავადმყოფების შემთხვევებიც. ერთ 1 წლიან სტაჟის შოფერებს შორის დაავადმყოფება უდრის 7,5 პროც., 10—14 წლამდე კი 93 პროც.

დაავადმყოფების მიზეზია კვების მოუწესრიგებლობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ შოფერების შრომა არ არის მოგვარებული. შოფერების 47 პროც. მუშაობს 12—14 საათს დღეღამეში.

გამოკვლევასთან დაკავშირებით კომისიის მიერ შემუშავებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს შოფერების შრომის მოწესრიგებას და დაავადების შემთხვევების შემცირებას.

შოფერების შრომა კომისიის მიერ მიჩნეული იქნა მავნე შრომათ.

ასეთივე გამოკვლევის ჩატარება განზრახულია თბილისშიაც.

გავლით სოფლისკენ

ქიათურა

დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ ქიათურაში.

პირველად ქიათურაში [illegible] 1908 [illegible]დი. ქუთაისიდან ერთი კარგა მოზრდილი ჩემოდანი გამივსეს სხვადასხვა „ფურცლებით" და გამომისტუმრეს.

—ნუ გეშინია, გზა არ დაგებნევა, ჩამოხტე თუ არა სადგურზე, პირდაპირ გადაასწორე—იქვეა ერთად ერთი „გასტინიცა", ოღონდ სახელი „ფრანცია" არ დაგავიწყდეს.

დავიწყებით რა დამავიწყებდა, მაგრამ გზაში, „ფრანცია" და „საფრანგეთი" ერთმანეთში ამერია. ქიათურას რომ მიუახლოვდი ხეირიანათ აღარ მახსოვდა რომელი იყო ნამდვილად სახელი ქართული თუ რუსული".

— ან კი რათ მინდა ეს სახელი, არ ვიცი, რომ ერთის მეტი სასტუმრო აქ არ ყოფილა, გინდა „ფრანცია" იყოს და გინდა „ავსტრალია", მისაგნები ხომ ვიცი, ეს არის და ეს!

ამასობაში, ჩვენი მატარებელიც მიადგა ქიათურას და შავი ქვით შემურულ სადგურთან გაჩერდა.

წამოვავლე ჩემოდანს ხელი და გაუდექი გზას. ცოტა არ იყოს. კანჭებში შიშის ქარები გამიდგა, ვატყობ, რომ ნაბიჯი ვერა მაქვს სწორი და მაგარი.

სირცხვილი, შენ ჩემო თავო! ასე უნდა, ქაღალდები გიწყვია მაგ ჩემოდანში ბომბები ხომ არა გაქვს? ყოჩაღად იყავი!

ეს ოხერი ეს ჩვენი ვაგონი მაინც ზედ პირდაპირ ჟანდარმის წინ გაჩერდა. ჩემოდანი მძიმე, მაგრამ ისე უნდა წავიღო, რომ სიმძიმე არ ვაგრძნობინო არავის.

— უმჯობესია პირდაპირ ჟანდარმთან მივიდე და გამოველაპარაკო,—ვფიქრობ გუნებაში. როცა დრო გაქვს ასეთ რამეს უცბათ ვერ გადაწყვეტ, მაგრამ ეხლა... თავს ძალა დავატანე ჟანდარმის წინ ავიტუზე, გავჩერდი და აი ეხლა გამახსენდა, რომ საკითხავი და სალაპარაკო არაფერი მაქვს.

გაჩერება მაინც არ ვარგა, რამე უნდა უთხრა, რამე უნდა ჰკითხო.

— Скажите, где здесь гостиница «Париж» ვთქვი და მე თვითონ გამიკვირდა რამ მათქმევინა მე ის «Париж» როდესაც ამ სასტუმროს ან „ფრანცია" ჰქვია და ან „საფრანგეთი".

— ჟანდარმმა რაღაც უნებლიეთ (მე მაინც ასე მეგონა მაშინ) გადმომხედა.

— Никаких Парижов здесь нет! როგორც იქნა გავიგონე მისგან. მე ასე მგონია, რომ ის განგებ აგვიანებს პასუხს.

— უნდა, ალბათ, კარგად დამათვალიეროს.

აი სისულელე, როდის იყო, რომ კაცი ფარული დავალებით სადმე მიდიოდა და ჟანდარმები მისი ბინის მისადგომ გზას ასწავლიდა?

რაღაი პასუხს ველირსე; მყისვე გამოვტრიალდი, გადავასწორე პირდაპირ, დავინახე ერთი შავათ შეკრაკნილი ქვის საძირკველზე შეყუნტული ფიცრული სახლი.

ეს ყოფილა ეს „პარიზიც", „ფრანციაც" და „საფრანგეთიც", არც „ვივესკა" არც არაფერი ჭიშკარს მხოლოთ თუნუქის ნაჭერი აქვს მიჭედილი. ალბათ, ერთ დროს წარწერაც იქნებოდა, მაგრამ ეხლა ამ წარწერიდგან ზოგი [illegible]. აქა-იქ [illegible] ჩენილ ასოებს მაინც, როგორც იყო, თავი მოუყარე.

„...ა-ცია" აი ეს იყო მთელი წარწერა:

— ვაი, აცივა, აცხელა შენ აქ გამკეთებელს, [illegible] ფარახუნე თრთაჩამოკიდებული ჭიშკარი.

ეს თითქმის 25 წლის წინათ იყო, ეხლანდელი და მაშინდელი ქიათურა რა შესადარებელია ერთმანეთში? ბევრია და დიდი ცვლილება. მაგრამ მსგავსებაც არის ბლომათ დარჩენილი.

* * *

ბავშვობიდან მახსოვს ჩვენში სულ ქიათურის შესახებ იყო ლაპარაკი.

— გაკეთდა, ადამიანო, ცა და ქვეყანა, რომელი „გრანიცის" ხალხი არ გინდა, რომ ეხლა ქიათურას არ ეტანება, დედა რა ფულის საშოვრობაა, განძრიე შე უბედურო ხელი, რა გიჭირს ერთი ნაიბი ადგილი გაყიდო აქ და იქ იყიდო, ერთი ნაჭერი მადანი, ორიოდე გროში იქნება შენც გეშოვა, იქნებ რამე შეფარებოდა ამ ჩვენ გაჭირვებას.

ასეთი ლაპარაკი ჩვენსა და მეზობლებში ხშირად გამიგონია.

— აბა, ეხლა დაგვიდგა დრო თუ ვივარგეთ, თორემ შემდეგ ჩვენს უცოდველესი ძაღლი არ იქნება—მადანი ქე ამოილევა.

— ამოილევა, აპა რა დაემართება, სათვალავი არა აქვს იმდენი ვაგონები მიდის ქვევით შავი ქვით დატვირთული.

— აბა შევაფხაჩაკდეთ ავიღოთ „საპოდრაჩიკოთ" ერთი ნაჭერი ადგილი, ამოღებულ ქვას „პათორმაზე" ჩავაბარებთ „ფრანცუზებს", თითო ფუთზე ჩეთი კაპიკი რომ დაგვრჩეს—ჩვენ მეტი არ გვინდა—პირდაპირ გავკეთდებით.

ყველაზე უფრო ჩემს მახსოვრობაში ჩარჩა ერთი ჩვენი მეზობელი აზნაურიშვილი.

იშვიათი სალამო იქნებოდა. რომ ჩვენსას არ შემოევლო. ჩამოჯდებოდა ხოლმე ეზოში ხის ძირას სკამზე და დაიწყებდა.

მისი სალაპარაკო სულ ქიათურა იყო.

—. რა სიცხეა, ბეჩა ბატონო, დავიწვით და დავიხვარტეთ, ეტყოდა ხოლმე დედაჩემი.

— სიცხე კი არა წარღვნა, რომ არ მოდის არ გიკვირს, ჩემო რძალო, წარღვნა? !

— დაილოცა ღვთის დიდება რავა, ბატონო, რა დავაშავეთ ამის ფასი?

— დაშავებას მკითხავ, ჩემო რძალო? დავაშავეთ, კი არა მეტი ვქენით, ვერ უყურებთ ბატონო, როგორ აირია ეს წუთი-სოფელი? აღარ არის ბატონი, გაკითხვა და გარჩევა. ახლა, ბატონო, ქლიბაძე და წიქრიძეა პირველი კაცი. გზაში რომ შეხვდე ქუდის მოხდასაც კი აღარ კადრულობს. ეს შავი-ქვა არის და,—ჩვენთვის ხომ არც ის გამოჩნდა სასარგებლო?—სულ რაც „მუჟიკები" იყო, იმათია ყველაფერი.

— მართლაც, ბატონო, კარ საშოვრობას ამბობენ.

— რომელი ბრძანებაა ბატონო, რამდენი ხალხი გაკეთდა, მერე არ იკითხავთ ,ვინ არის. აბესაძე გინდაო, კაკაბაძეო, ცერცვაძეო, სიხარულიძეო, მათია ყველაფერი, უწინ მაგათ ერთ ნატეხა ჭადს არ მიუტეხავდი და ახლა კი...

— ჭადი კი არა, შენი ჭირიმე, — ჭადს ქე ვიღა კადრულობს — სულ ბულკის პურებს მიირთმევენ.

— ჭადი ბატონო, ეხლა აზნაურიშვილის საჭამადი გახლავს.

— ნეტაი ჭადი არ გამოგველეოდეს და მეტს ვინ იდარდებს.

— მაგ არის კიდევაც, არაფერში შნო ჩვენ აზნაურიშვილებს არა გვაქვს. ეზოს ფეხს ვერ გადავაბიჯებთ.

იმ დროს მართლაც ვინ გინდა რომ არ მოაწვა ქიათურას.

„ფოდრაჩიკი", „საფოდრაჩიკო" საქმე „ფოდრაჩიკობა" — ყველას ეს ეკერა პირზე.

ზოგმა, მართლაც, იშოვა „გაკეთდა", ზოგს კი მტრისას, „ფოდრაჩიკობამ" რომ დღე დააუნა. ნასესხები და ნავალები ფულიც იქ ჩატოვეს და უგროშ - უკაპიკოდ ბრუნდებოდენ უკან.

— დაინახე ჩვენი „ფოდრაჩიკი" ჩამოსული, სულს გარეშე აღარაფერი შერჩენია, ვილაც ქვემოური კაცი შეუამფხანაკებია. თურმე ერთხანს კარგათ ჰქონდათ საქმე, შემდეგ თურმე აფხანაკს პირი შეუცვლია და ისე გამოუნაპირებია, რომ სულ ცარიელ - ტარიელი გამოუსტუმრებია.

— ახია მის თავზე, ვილაცა გადამთიელ ქვემოურს რომ გაუძმაკაცდა. თუ მუშაობა უნდოდა, თავის კუთხის კაცი რავა ვერ მონახა?

სალამოს კი ჩვენი მეზობელი ნიგვზის ძირას ცეცხლს ჰყრიდა ხოლმე პირიდან.

— აჰ, ბატონო, აზნაურიშვილის დოვლათს რა გაზრდის, შენი ჭირიმე? ნავალები ფული ჩაჰყარა იმ ღმერთ გამწყრალმა შავქვაში და ეხლა გაფცქვნილი და გაქუცული ჩამოვიდა სახლში. მაგ არის ახლა კარგი?

— კარგი რავაა ჩემო ბატონო, მაგრამ მაგნაირმა საქმემ ასე იცის! მოგება წაგება ძმებია, ვინ იცის მოიგებ, თუ წააგებ. ზოგს ბედი გამოჰყვება...

— ნუ, ნუ მეტყვი შენი ჭირიმე. მაგისთანას! რაღა გეწაძეებმა და ფუტკარაძეებმა უნდა მოიგოს ყველაფერ საქმეში და კეთილშობილი გვარის კაცი ყველაფერში ზედოვლათი უნდა გამოვიდეს?

„გაპოდრაჩიკებული" და შემდეგ გაკოტრებული ჩვენ კუთხეში ბევრი იყო.

ბოლოსა და ბოლოს „პოდრაჩიკობა" უხეიროთ დაწყებული საქმის აღსანიშნავი სიტყვა შეიქნა. როცა, ვინმეს სადმე ხელი შეეშლებოდა და საქმე წაუხდებოდა, ასე ეტყოდენ ხოლმე.

-- ქე, რა „გაფოდრაჩიკებდა" შენ მამაცხონებულო!

ესეც კარგა ხნის ამბავია.

პირველმა დაფეთებისა და ქიათურისაკენ გამოქანების ხანამ კარგა ხანია, რაც გაიარა.

ზოგიერთი მაინც შერჩა ქიათურას და „ფულის პატრონი" ხალხი შეიქნა. ქიათურის შავი ქვის მწარმოებლების უმრავლესობას უცხოელები შეადგენდენ. ფორუდი, პანასიე, სოლოლიაკი, კარიეტო, შალვე, გუტენფერეინ, და სხვადასხვ.

იყო ერთი რუსი მწარმოებელი გვარათ კოროლენკო. რაღაც თავისებური ადამიანი. დიდათ მსმელი და ფულის მფანტავი. ჩქარა მიატოვა აქაურობა.

მრეწველთა საბჭოში მაგრათ ჩაიდგა ფეხი ჩვენმა ოდესღაც „ხალხის კეთილდღეობაზე" მეოცნებე ინტელიგენტებმა. იქ იყო ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, ალექ. ნანეიშვილი მათ გარშემო კი სქელათ გააბა ქსელი ყველა ქვემო-იმერეთის დიდებულმა და წარჩინებულმა გვარიშვილებმა.

წერეთელი, — აბაშიძე, — ნიჟარაძეები—აი ესენი უტრიალებდენ ამ მსუქან ლუკმას და ორთავე ხელით იტენიდენ პირში და უბეში ეს დროც წავიდა!

ეხლა ქიათურის მაღაროები, ისე როგორც ყოველივე ის, რაც მიწის წიაღში მოიპოვება—საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ხელისუფლების კუთვნილებას შეადგენს.

ქიათურა მაინც თავისებურ კუთხეთ დარჩა —მართალია ძალზე შემოეფცქვნა ფარშავანგის ფრთები აქაურ ბრწყინვალეთა და კეთილშობილთ, მაგრამ ისინი მაინც ძველებური რიხით დაიფხორებიან.

მათი მთავარი თავყრილობის ალაგი სადგურია.

ესაა მათი კლუბი, ესაა მათი გასართობი.

— სალამი ბატონო ივანე;

ივანე ძველი თავადია; კაი ხნის კაცია, მაგრამ მოხუცება რატომღაც არ ეკიდება.

ბავშობიდან, მე რაი მახსოვს, ასე დაიარება: კოხტათ გამოწყობილი ჩოხაში, ვერცხლის ქამარი „აზიატსკი" და მშვენიერი „კავკავის ნაბადი" — ასე იყო უწინ, ასევე დამხვდა ეხლაც.

— ბოშო, დღეს ქვევით მივდივარ, აღარ მცალია და ერთი თუ კაცი ხარ...

ვის ელაპარაკება, არ ვიცი, ვერ ვიცნობ, მაგრამ შეიძლება ეს „ბოშო" ვინმე მისი მამის ან ბაბუა მისის ნაყმები იყოს.

ამ „ბოშოს" ქუდი ხელში უკავია და მოწიწებით შეჩერებია „ბატონ ივანეს".

— კეთილი, ბატონო ივანე, ეხლავე გადავირბენ, — რავა გეკადრებათ, რავა დამეზარება?..

კაი ხნის უნახავი მყავს ქიათურა, ერთ ხანს აქ კარგა მოზრდილია [illegible]

იყო, იგივეა. ცვლილება ვერ შევამჩნიე. მართალია, მოსახლეობა თითქოს უფრო მჭიდროა. აქა იქ ახალ-ახალი კრამიტით გადახურული სახლები გამოიყურება.

იყო დრო, როდესაც ამ სოფლებში ბევრი მცნობდა, ბევრს ვიცნობდი. შაბათ - კვირას მოვეფინებოდით ხოლმე სოფლებს.

— აბა, „პროლეტარო", (გვყავდა ერთი ასეთი ჩვენი კაცი ქიათურის ერთ მახლობელ სოფელში), კრება ხვალ დილისთვის.

— კრებას, თუ გინდა, ეხლავე მოვიწვევ აგერ გადავაგზავნი ჩემ ბიჭს ეკლესიის ეზოში, ერთი ორჯერ შემოკრავს ზარს და ხალხი ნახევარ საათში მოიყრის თავს.

— არა, ამ სალამოს ათის და ასის თავები მომიკრიბე, იმათ ცალკე მოველაპარაკები და კრება კი ხვალისათვის მოვიწვიოთ.

რავარც გერჩიოს, თორემ მე ხალხი ისე მყავს მომზადებული, რომ, თუ გინდა, შუაღამეს ღრმა ძილში რომ იქნებიან, გინდა მაშინ ჩამოვრეკავ სამრეკლოზე და ერთ საათში ყველა იქ გაჩნდება.

— აბა მიხეილ, მიხეილ ერთი, შენ გაზრდას, პეტრესა და ნესტორას გააგებინე, მე ქვევით ჩაუყვები ღელის პირას, შენ იქით სერს შემოუარე და ყველა ასისთავებს შეატყობიე, ათისთავებს ნუ—ასისთავები თვითონ შეატყობიებენ თავ-თავიან ხასისთავოს ათისთავებს.

— აბა, ერთი მარჯვეთ; უთხარი ქიათურის ორგანიზაციიდან არის მოსული ამხანაგითქვა. იცოდე არავინ დააკლდეს.

„პროლეტარი" ჩვენი რაიონის წარმომადგენელია. მართლაც რომ პროლეტარია.

ერთი ბრუციანი ქოხი უდგია ისლით გადახურული, უმიწაწყლო წვრილი ბავშვების პატრონი — გადაყოლილია ჩვენ „ახალთაობის" საქმეზე.

რაც უნდა გახურებული მუშაობა ჰქონდეს, ყანაში, ოღონდ ერთი კი დაენახვე და თუგინდა ერთი კვირა არ მოგშორდება. ყველა ეს სოფლები, თავის ხუთი თითივით იცის — ისაა ჩვენი გზის მაშვენებელი მრჩეველი, ჩვენი ორგანიზაციის მომვლელიც.

ჩვენ რომ ჩამოვათავებთ ლაპარაკს, მაშინ ის დაიწყებს, ჩვენ არაფრათ გვემარჯვება მდაბიო - უბრალო, გლეხისათვის გასაგები ლაპარაკი. „პროლეტარი" კი ისეთ რამეს იტყვის, რომ ხალხს მუცელზე ტყავი არ შერჩება ხოლმე სიცილით.

— ახლა მე ქე ვიცი, რომ ბევრს კი არ მოწონს ეს ლაპარაკი, ზოგი ასე ფიქრობს გუნებაში კამეჩს ხარი რქებს ვერ მოამტვრევსო, მაგრამ არც მაგრეა საქმე. ხომ გაგიგონიათ რომ ლომს თურმე კოღო მოერია, შეუძვრა თურმე ცხვირის ნესტოში და სულ დააპოტნია თავპირი. არის თურმე, ასე ამბობს ნასწავლი ხალხი, ისეთი პატარა ჟიუმატი არსება, რომ თვალით ვერც კი დაინახავ „ბაცილას" უძახიან, იმას ისე გადაყლაპავ — ჰაერს, რომ ჩაისუნთქებ, მაშინ რომ ვერც კი შეატყობ — აი ჩაძვრება ის ადამიანის სტომაქში და ნელ-ნელა შლის სხეულს. ვინც ასეთი ბაცილები ვართ, ნიკოლოზს ჩვენც ისე ჩაუძვრებით...

— შენ თუ გინდა ქე ჩაუძვერი, ოხუნჯობს ვინმე, შექნება სიცილი, „პროლეტარი" არ ისვენებს.

— მაგების შესახებ ჩვენ ქე გვითხრა მაგ მოსულმა სტუმარმა, შენ სხვა რამე გვითხარი, აი გზა რომ გვაქვს გაფუჭებული და არავინ არ ფიქრობს მის გაკეთებას, ეს როგორი საქმეა?

— გზა არ გივარგათ და ქე ხართ მაგრე ბორდალებული? ისევე მამასახლისის მოსვლას უცდით, თუ როგორაა თქვენი საქმე?!

— ჩვენი ხალხის ამბავი არ გაგიგონია, თუ რავაა შენი საქმე. ჩვენ თუ კეტით არავინ მიგვდინა საქმეზე, ისე ხომ იცი საქმეს ვერ მოვისაზრებთ.

— რატომ, მაგას, შენ კაი კაცო რა დიდი მოსაზრება უნდა?

— „პროლეტარი" ასე დადის სოფლა-სოფლა [illegible] არიგებს საქმეებს.

ბევრი რამ ვერ აქვს მას ჯერ-ჯეროზით გარ-[illegible]

კი მართალია მე ამ ყრუ ხალხს ველაპარაკიბი, მინდა რამე ჩავასმინო, მაგრამ ბევრი რამე მეც არ ვიცი კარგათ.

— რა, მაგალითად, ის, თუ როგორ აპირებთ თქვენ ამ რუსის ხელმწიფის ჩამოგდებას.

—რუსის ხელმწიფე რას ჰქვია? გინდა რუსის იყოს და გინდა ყიზილბაშის, ჩვენ იმიტომ კი არ [illegible], რომ ის მაინცა და მაინც რუსის ხელმწიფეა;

— არა, მაგდენი ქე ვიცი, რუსობაში კი არ არის საქმე, მაგრამ მაგ ურჯულოს ჯარი ჰყავს, იარაღი აქვს, ერთი ზარბაზანი, რომ გადმოუყუდოს ამ სერზე სულ წია-წია წაიღებს მთელ ჩვენ სოფელს.

— მართალია, მაგრამ ერთი იანგარიშე, რამდენი სოფელია მთელ რუსეთში, ყველგან თუ თითო ზარბაზანი ჩამოარიგა, კაი დღე არ დაადგება? მერე ზარბაზნებიც ხომ თავისით არ გაისვრის?

— თავისთვის კი არ გაისვრის მიაყენებს სალდათებს და ასროლიებს!

— მერე ეს სალდათები ვინაა, სალდათები ხალხის შვილები არ არიან?

— არიან, რავა არ არიან, მაგრამ დიდი ხანი დაჭირდება მაგის შეგნებას.

— ოჰ, მაგაში შენ მართალი ხარ, ეს საქმე ჩქარა არ გაკეთდება.

— შენ როგორ ფიქრობ ჩვენ მოვესწრებით, თუ ვერა?

ძნელი სათქმელია. ვინ იცის, როგორ წავა საქმე, ჩვენ უნდა ვეცადოთ, მაცადინეობა არ უნდა დავაკლოთ; ოღონდ რაც მოსასვლელია —ადრე იქნება თუ გვიან მოვა, დადგება მაგის დრო!

— კი, შე ურჯულო, მარა მე ჩემი თვალით მინდა, რომ შევესწრო... ობლობაში გავიზარდე მამა ჩემს ჩემთვის ერთი რწყვილი ქალაბანის გამოსაჭრელი ხარის ტყავიც კი არ დაუტოვებია, თავათაც, საწყალი, მოჯამაგირეთ იყო მუდამ სხვის კარზე...

— გული ხომ არ გაგტეხია, ჩვენ ეხ—ეხაა ეხლა დავიწყეთ, გულის აცრუება, ადრეა ჯერ-ჯეროზით.

— მაშინ, ეხ ბიჭი მოგიკვტეს, ვისაც გული გაუტყდეს, მაგრამ ერთი ამ ჩვენი სოფლის მუთა ხარების სეირს მოვესწრებოდი, იცი, მერე, ვიზე ვარ ყველაზე უფრო გულ-დაწყვეტილი? —აი ის სულ წაწყმენდილი, სტეფანე ხუცესზე. მამა რომ მომიკვდა, დედა ჩემს საწყალს კვდარის გასასვენებელი ფულიც არ ჰქონდა. ის წვერ-ძაღლი არაფრის გულისათვის უფულოდ მკვდარის გარეთ გამოტანაზე არ დათანხმდა. სხვას რომ ველარაფერს გახდა, საწყალმა დედა ჩემმა შეპირდა, თურმე,—ერთ [illegible] ამ ჩემ ბიჭს გამსახურებ მოჯამაგირეთო. როგორც იქნა ამით დაიყაბულა და მეც მთელი ერთი წელიწადი ვირივით მაჯაგლაგებდა მაგ ურჯულო. მე მაშინ მოზრდილი ბიჭი ვიყავი, თოხის ხელის მოკიდება შემეძლო, რაც მე იმ წელიწადს იმ რჯულ-ძაღლმა ყანა მათოხნია. მასუკან აღარაფერი მწამს მაგ ხუცების. ეს „ახალთაობა" რომ არ შემოსულიყო, გადაწყვეტილი მქონდა ცეცხლი უნდა წამეკიდებია იმ ხუცის სახლისა და კარისათვის და დიდიან-პატარაიანათ გადამებუგა, თუ კი რამე მოიპოვებოდა მაგის ნიადაგზე. ამას ვიზამდი, გულის ჯავრს ამოვიყრიდი და კიდეც გადავიკარგებოდი აქედან.

უკანასკნელად მე „პროლეტარს" იმ დროს შევხვდი, როდესაც ალიხანოვი დიდის რისხვით მოიწევდა თბილისიდან დასავლეთ საქართველოსაკენ.

არასოდეს არ დამავიწყდება ეს უკანასკნელი ჩემი შეხვედრა.

* * *

ზამთრის სალამოა.

ადრე ჩამოწვა ბინდი.

ფეხ-აკრეფით მივდივარ სოფლის ორღობეებში.

„პროლეტარი" უნდა ვნახო, ის მეტყვის აქაურ ამბებს.

შემატყობინებს, რომ მან იცის, თუ სად არიან თავმოყრილი ჩვენი ამხანაგები.

სოფლის დუქანთან უნდა გავიარო. არის ამ სოფელში ერთი პატარა დუქანი, რაღაც საწვრილმანო საქონელი უწყვია მის პატრონს. თუთუნი გამოძმელია, თუ ვიყიდი აქ, სხვაგან ვერსად.

არ მინდოდა, მედუქნეს დავნახვებოდი, არ მაქვს მისი იმედი, მაგრამ ვარჩიე შევსულიყავი.

უდროვო დროა,. ამ დროს დუქანი იშვიათათ არის ღია, მეც ამ იშვიათი შემთხვევის იმედით მივდივარ დუქნისაკენ.

ჭუჭყით შეჭმული შუშაბანდიდან სინათლე მოჭკიაფობს...

— სულ ერთია აქ დარჩენას მაინც არ ვაპირობ, ამაღამ კი რას გახდება, სად წავა, ვის ეტყვის? ვფიქრობ ჩემთვის. მივადექი კარებს. შიგნიდან ხმაურობა მესმის.

— არ დამდგარა ჯერ კიდევ თქვენი დრო. ვიცანი! „პროლეტარის" ხმაა,

წიფის ტუნელი ჯერ კიდევ ჩვენ ხელშია, ავაფეთქებთ, დავანგრევთ და აქეთ კი არ გამოუშვებთ.

—რისი პატრონი ამბობ მაგას, რისი, რისი მოიმედე. შენი ფილთა თოფებით გინდა დაიმაგრო ალიხანოვის ჯარები?

შენ, დათა, რა გითხრა, იცი; მართალია მაგ შენი ნაცვალის ყეშტი ქე ჩამოგიკიდია—აქამდე სადღაც მიმალული ჰქონდა, ეხლა ისევ ძველი დროის დადგომას უცდი, მაგრამ...

— ვუცდი, რომელია, ადამიანო, ხალხისაგან ვარ არჩეული და დაყენებული, პრისტავისაგან და ვეზენი ნაჩალნიკისაგან დამტკიცებული.

— შენ ხალხისაგან ასის თავათაც ქე იყავი არჩეული, მარა, რა გამოვიდა, ახლა შემოატრიალე კეხი, ხომ? რა ნიძლავი, გაგიხსენო მე შენ მაგ შენი კაი კაცობა.

— ზალიკა („პროლეტარის" ნამდვილი სახელი ეს იყო) ბიჭო, რა გითხრა იცი. იმყოფინე რაც ჯვარს აცვი შენ ეს ჩვენი სოფელი. შენი გამაისობით იყო, მთელ ქიათურაში, რაც მთავრობის მოწინააღმდეგე ხალხი იყო სულ ჩვენ სოფელში რომ ქონდა ბუდე გაჩენილი. შენ გგონია ამას მთავრობა ვერ გაიგებს? რომ ყველა გადაგვწვან და გაგვანადგურონ, შენ და შენი ამხანაგები იქნებით ჩვენი მშველელი?—მეტი არა ჩემი მტერი.

— მერე რას აპირებთ, დედამიწაში ხომ არ ჩაძვრებით. რაც მოხდა, მოხდა! ახლა მეტი ერთობა და ამხანაგობა არ უნდა დავიცვათ?!

— არა ძმაო, არა შენ, ცხონებული მამიშენის არ იყოს, ისე ატარებ წუთი სოფელს, რომ წინ არაფერი გხვდება და უკან არაფერი გრჩება. შენ, რაც არაფერი გაგაჩნია, ვინ რას დაგაკლებს, ჩვენ კი, ვისაც რამე გვაბადია უნდა ვიფიქროთ თუ არა, რომ თავს უშველოთ როგორმე, მე შენ გეკითხები, ვიფიქროთ უნდა, თუ არა? შიგნიდან გაბოროტებული ფუტკრის სკა რომ იქნიდა, ისეთი ხმაურობა ისმის. ეტყობა იქ—დუქანში—ხალხი ბლომათ არის და ყველა „პროლეტარის" წინააღმდეგია.

— აგრე იყოს, ვნახოთ მე ეს ზალიკო—პროლეტარი თუნდა ცოცხლათ რომ დამადვან ცეცხლზე, მე ჩემ რწმენას არ უღალატებ და თქვენ როგორც გინდოდეთ ისე ქენით!

გეიღო კარი, გარეთ გამოვარდა და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას. მე უკან გამოუდექი.

— მოიცა, კაცო, სად მირბიხარ ასე მწარეთ. ხმაზე მიცნო შემოტრიალდა.

— ბიჭოს, შენ აქ რა გინდა, საიდან გაჩნდი?

— მოვედი, გეტყვი, რაც მინდა. დუქანში მინდოდა შემოსვლა, მაგრამ შენ და იმ დანარჩენების ხმაურობა შემომესმა ყური დაუგდე.

— კარგი გიქნია, რომ არ შემოსულხარ, მაგოჯახკეტიანები ისე არიან გაალმასებული, რომ კარგ რამეს არ დაგმართებდენ.

— რავა, რაშია საქმე, რამ გადარია ეს ხალხი?

— რამ გადარია და ალიხანოვის ჯარმა! ამბობენ სულ სწვავენ და ანადგურებენ ყველაფერსო. მერე ვილაცა ურჯულოს ჩაუწვეთებია მაგათთვის ყურში, რომ ხელს აღარ ვაძლევთ, ვინც მეთაურებს დაჭერილს წარმოგვიდგენსო, რომ შემოსულიყავი, ვინ იცის, იქნება- აღარც ქე გამოვეშვით იქედან.

— ვერ გაბედავდენ!

— რას ვერ გაბედავდენ, ისეთ გუნებაზე არიან, რომ... არ იცი მაგათი ამბავი? შენ თვითონ არ გითქვამს, რომ გლეხი კერძო მესაკუთრეა და საკუთრების დაკარგვა მეტის-მეტად ეძნელებათო. დაწვის ეშინიათ.

— ჩვენები აქ არიან?

— კი, აქ არიან ერთ მოფარებულ ალაგზე მყავს დამალული.

— აბა წავიდეთ.

—მოიცა, ასე წასვლა როდი ივარგებს; კარგათ უნდა მოღამდეს.

— აბა ეხლა საით წავიდეთ?

— წამომყევი, ამ გზით გავივლით, სოფელს გავცილდეთ, სოფლის ბოლოში პატარა ტყეა, იქ მოვიცადოთ და შემდეგ წაგიყვან იმათთან.

გავიარეთ სოფელი, ტყეში გადაუხვიეთ.

ბინდიანი ცა თითქოს, რაღაცაზე გულმოსულია.

ცა, დიდი მაღალი შუბლშეკრული.

რა ცბიერი და ვერაგია ის?

რა მიყვარდა მე ეს ცა!

უმთვარო ღამეებში თითქოს ის იყო ჩვენი მესაიდუმლე, როცა სოფლად სადმე ღრმა ხევებში შეკრებულ ხალხის კრებას საიდუმლოთ გადაფარებდა ხოლმე თავის კალთას.

თითქოს ისიც ჩვენი მესაიდუმლე იყო მაშინ, ნამუსს გვინახავდა, მტრისაგან გვიფარავდა.

ეხლა კი—იგივე ცაა, მაგრამ ის გულგრილად დასჩერებია ჩვენ დამარცხებას.

ის გუნებიერათ დაჰყურებს იმ შავ ურდოებს, რომლებსაც მოაქვთ სიკვდილი და განადგურება.

— ვერაგი, ორგული და ცბიერი ხარ! შენ არ იცი შებრალება, თანაგრძნობა.

ზამთრის ღამე ნელა მოაბიჯებს.

რას მოგვიტანს ეს ღამე, შემდეგი ღამეები?

რა მდგომარეობაში ვიქნებით ამ ახლო მომავალში, სად ვიქნები ერთი თვის, ერთი წლის შემდეგ?

ნუ თუ ყველაფერი დაიღუპა?...

თხელი ტყეა. მიწა თოვლით არის დაფარული, დაჯდომა არ შეიძლება...

დაღალული ვარ—ძილი ყველაფერს მირჩევნია. წუხელი შუაღამის აქეთ ფეხზე ვარ, მოვდივარ, რაჭიდან ჩამოველი, შქმერაზე გადმოვიარე.

თითო-ოროლა მგზავრი, ვინც კი შემხვდა გზაზე საშინელ ამბებს ამბობს—ჯარი ყველაფერს ანადგურებს, ჰკლავს, სწვავს...

— ვაშბოზდი, ხომ გახსოვს, რამდენჯერ მითქვამს, რომ ჯარის იმედი ტყუილია ნუ გექნება მეთქი. აი შენი ჯარი. თურმე ბავშვებს ხიშტებზე აგებენ. ერთავათ რომ თქვას კაცმა გახატუნარი კი არ არის ეს სოფლის ხალხი.—ეშინია.

— რავა, შენც ისე ხომ არ ლაპარაკობ?

--- მე კი არ ვლაპარაკობ, მაგრამ დავმარცხდით და ესაა რომ მიკლავს გულს.

— ნუ გეშინია, ჩვენსკენაც გამოიდარებს!

— იცოცხლე გამოიდაროს, მარა რაი-რა მე მაგას კი ველარ მოვესწრები.

— მოესწრები, ფიქრი ნუ გაქვს.

ესეც იყო.

მასუკან მე ჩვენი პროლეტარის აღარაფერი გამიგონია.. მე დამიჭირეს, მაგრამ დაჭერილებში ის არ მინახავს, მოკვლის ამბავი არავის შოუტანია.

იქნება ცოცხალიცაა.

მაგასაც ჩქარა გავიგებ!

სწორედ იმ სოფლისაკენ მივდივარ.

ამ სოფელში ეხლა ერთი ჩემი ძველი ნაცნობი მასწავლებელია, იმას ვნახავ.

„პროლეტარის" ისლით დახურული სახლის ადგილას დიდი ოდა დგას. ვინ იცის, ვისია ეს სახლი, ან რა იქნა ის ძველი ქოხი, სადაა ეხლა მისი პატრონი.

— ბედნიერი ხალხი ხართ, ვინც თბილისში ცხოვრობთ... ჩვენ ვართ აქ უბედურები, აქ რომ ვყრივართ.

მასწავლებელი მიჩივა თავის ბედს.

— არც ჩვენ ვართ მაინცა და მაინც ისეთს დიდ ბედნიერებაში, რომ ჩვენთან შედარებით თქვენ უბედურათ გრძნობდეთ თავს.

— არა, უბედურებას რა უნდა, სიტყვას იტყვის კაცი, თორემ...

— ეხლა მასწავლებელი სოფელში პირველი კაცია.

— მართალია, უწინ მამასახლისი და პრისტავი ყველა ჩვენი მბრძანებელი იყო, ყველა თავში გვიკაკუნებდა.

— ხომ გახსოვს მაგ დრო?

— მახსოვს და მაგრე!

— ჰო და მით უკეთესი, ეხლა წიგნი თქვენ არ გაკლიათ, გაზეთები სულ ნაირ-ნაირი მოგდით, დაჯექი და იკითხე.

მე კარგათ ვიცი, რომ ბოლოსა და ბოლოს მან ჯამაგირის სიმცირის შესახებ უნდა დამიწყოს ლაპარაკი, ამ საგანზე ლაპარაკი მე სრულებითაც არ მაინტერესებს.

მასწავლებლის ჯამაგირის მოკლება-მომატება მე არ მეკითხება.

მე ის მინდა გავიგო, ადევნებს თუ არა თვალყურს ეს მასწავლებელი გაზეთებს, კითხულობს თუ არა წიგნებს. ამიტომაც იყო რომ სხვა საგანზე დავიწყე ლაპარაკი, მიმიხვდა, როგორც შევატყვე, და ისიც გამომყვა მუსაიფში.

— გაზეთები როგორ არა, მოგვდის. კიდევაც ვკითხულობ.

— ჩინეთის ამბები ხომ გაინტერესებს?

— მე კი მაინტერესებს, მაგრამ ღმერთმანი არ მესმის, რას ვაკლავთ ჩვენ ამ ჩინეთს თავს?

— როგორ, თავს ვაკლავთ?!

— როგორ და ისე:—სულ ჩინეთი და ჩინეთით მხოლოთ ესაა ახლა გაზეთებში.

— გეუცხოვება მერე, მაგრე რომ არის თუ?

— კი არ მეუცხოვება, მაგრამ რავა გითხრა იცი... ის ხალხი ჩვენგან შორსაა რაღაცნაირათ, ალბათ თავისებურათ ჩინური რევოლიუციის მოწყობას აპირობს. ჩვენ იქ რა გვესაქმება...

ამ ჩემ მეგობრის შეხედულება მე იმდენათ მაინტერესებს, რამდენათაც ის გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის საშუალო სოფლად მომქმედი და მომუშავე ინტელიგენტის აზრს.

— შენ მაშასადამე ასე გირჩევნია, ჩვენ ჩვენთვის ვიყოთ, ჩვენ საქმეს მოუაროთ და დანარჩენებს ღმერთმა ხელი მოუმართოს.. ასე, ხომ?

— არც მთლად მაგრე, მარა ჩვენ აქაც ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი...

— კეთილი! გავყვეთ მაგ შენს მსჯელობას. ჩინეთის მუშები და გლეხები ვის ებრძვის?

— მაგ ქე ვიცი შე კაცო!

— მაინც!

— ინგლისელებს, ამერიკელებს, იაპონელებს და რა ვიცი კიდევ რამდენ სხვას, ყველას ვინც მას შემოსევია საძარცვავათ.

— მართალია, თუმცა მაგათ გარდაც კიდევ სხვაც ჰყავს ჩინეთის მშრომელ ხალხს მტრები: თავის ქვეყნის ბურჟუაზია, მემამულეები ამათაც ებრძვიან ჩინეთის რევოლიუციონერები, მაგრამ მთავარი და უფრო ძლიერი მტერი სწორეთ მაგენია. ეხლა ეს მითხარი, ეს ყველა ქვეყნის იმპერიალისტები, რომლებიც ჩინელებს ებრძვიან, ისინი ჩვენი მტრებია, თუ მოყვრები?

— ოჰ, მაგ—რასაკვირველია...

— აბა, ეხლა შენ მითხარი, ვინც ჩვენ მტრებს ებრძვის—ის ჩვენი მტერია თუ მოყვარე:

— რა თქმა უნდა...

— აი, სწორეთ მაგას უნდა თქმა! როცა ჩვენ მტრებს ვინმე გვერდებს ამტვრევს, ის ხომ ჩვენ გვეხმარება. ვინც ჩვენ მტერს ძალას აკლებს, მაშასადამე ის ჩვენ საქმესაც აკეთებს, საერთო საქმეს საერთო საქმის მკეთებლებს კი ერთმანეთთან შორით ყოფნა და შორით ჭვრეტა არ მართებს.

ამაში მგონი დავითანხმე.

— რომ იცოდე, რამდენი მაქვს სათქმელი, კაცო, რატომ არავინ ეკარებით ამ სოფელს, რა გიჭირთ ათასში ერთხელ რომ მაინც ჩამოხვიდეთ ხოლმე, გეიგოთ ამ სოფლის სატკივარი.

—. როგორ არ დავიარებით, ხშირათ დავიარებით, მაგრამ ყველგან ვერ გაწვდები. ქვეყანა დიდია, ხალხი ცოტა, ყველგან ჯერ [illegible]...

ქრონიკა

ამხ. ენუქიძის და ტერ-გაბრიელიანის ჩამოსვლა

გუშინ, რაჭის მაზრიდან თბილისში ჩამოვიდენ საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ამხ. ა. ენუქიძე და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელი საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ამხ. ტერ-გაბრიელიანი.

27 ივნისი დასასვენებელი დღეა

შრომის კომისარიატის განკარგულებით 29 აგვისტოს მაგიერ განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეთ გამოცხადებულია 27 ივნისი.

კომისიის გამგზავრება ტყვარჩელში

დღეს, საღამოს ტყვარჩელში მიემგზავრება სპეციალისტთა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს ტყვარჩელში საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყების ტეხნიკური მხარეები.

კომისიაში შედიან პროფ. შევიაკოვი, ინჟ. ფედოროვიჩი, ინჟ. დანჩიჩი, პოლიაკოვი, გეოლოგი მოკრინსკი, ედიბერიძე და იუშკინი.

კომისიის მუშაობა გასტანს ერთი კვირა.

თბილისის სტამბები

ამხ. ს. ჯუღელის თავმჯდომარეობით შესდგა სპეციალური თათბირი თბილისის ალმასკომის სტამბების ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტისათვის ვადაცემისა და აღნიშნულ სტამბებზე დარიცხულ დავალიანების დაფარვის შესახებ.

თათბირმა საჭიროდ სცნო არჩეულ იქნეს კომისია ამხ. ხარაზიანის (თავმჯდომარე), აბრამოვიჩისა (სამრეწველო ბანკიდან) და ავეტიკიანის (ა.-კ. სახ. ვაჭრ. სამმართველო) შემადგენლობით, რომელსაც დაევალა შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ხსენებული სტამბების ალმასკომის გამგებლობაში დატოვება.

ჩაის მეურნეობა

საქართველოში ჩაის მეურნეობის განვითარების ხელის შესაწყობათ სასოფლო - სამეურნეო ბანკმა დაადგინა 8 წლით გაუგრძელოს სესხი იმ სამეურნეო ორგანიზაციებს და მეურნე გლეხებს, რომლებმაც ბანკიდან გაიტანეს სესხი ჩაის მეურნეობის განსავითარებლად.

ახალი პედაგოგები

წელს გორის პედაგოგიური ტეხნიკუმი დაასრულა 24 კაცმა, რომლებიც მომავალ სასწავლო წლიდან დაიგზავნებიან მაზრებში სამუშაოდ. წინეთ ამ ტეხნიკუმს ეწოდებოდა ა.-კ. საოსტატო სემინარია. მისი დაარსებიდან 50 წლის შესრულების გამო მიმდინარე წლის ენკენისთვეში გადახდილი იქნება იუბილე.

შემფასებელი კომისია

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ ამიერ-კავკასიის შემფასებელ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. გ. მ. გრიგორიანი.

სამეცნიერო ექსკურსია

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ზოოტეხნიკური განყოფილება სამეცნიერო ექსპედიციას გზავნის აჭარისტანში მესაქონლეობის საქმის გამოსაკვლევად.

ექსპედიციას ხელმძღვანელობს პროფ. ი. ჯანდიერი.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

◆ მომავალ სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში ეწყობა დიდი დარბაზი საზეიმო სხდომებისა და საჯარო ლექციების მოსაწყობათ. დარბაზის მოსაწყობათ გადადებულია 30.834 მანეთი.

◆ სახელმწიფო გამოცდები. სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე დაიწყო სახელმწიფო გამოცდები.

სხვადასხვა

◆ სეტყვის წინააღმდეგ. კაცხის თემალმასკომმა (შორ. მაზრა) სას.-სამ. ბანკიდან შეიძინა სეტყვის წინააღმდეგ შუშხუნების გასასროლი იარაღები.

◆ გამოფენა. 19, 20 და ივნისს დილის 11 ს. 3 საათამდის ღია იქნება მე-3 სამრ. ექ. ქიმ. განყ. ტეხნიკუმის მოწაფეთა ნამუშევრების (გეგმარების, ნახაზების და სურათების) გამოფენა. (ბელგიის ქ. № 4).

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი:

ნ. ლომოური—„მოთხრობები“ 505 გვ. ფასი 2 მ. 60 კ., **ი. ი. რუბინი**—„ეკონომიური აზროვნების ისტორია“ ავტორის წინასიტყვაობით ქართული თარგმნისათვის. თარგმნილი ვ. დ. საყვარელიძის მიერ. უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელო, 414 გვერდი, ფასი 3 მ. 50 კაპ., **ტან-პინ-სიანი**—„ჩინეთის რევოლიუციის განვითარების გზები“ ფ. რასკოლნიკოვის წინასიტყვაობით 66 გვ. ფ. 50 კ., **ჟურნალი „პიონერი“** № 11, ფასი 25 კ., **ჟურნალი „ნაკადული“**—№ 6, ფასი 36 კ..

ჟურნალი „შრომა“

რედაქციამ მიიღო პროფკავშირთა საბჭოს ორგანო ჟურნალი „შრომა“ № 3 შემდეგი შინაარსით:

მოწინავე: ომის საფრთხე და პროფკავშირების ამოცანები. სასოფლო მეურნეობის მუშები ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში. **ი. კოლდუა.** ბერნის მელითონეთა კავშირის ინტერნაციონალი და საბჭოთა რესპუბლიკების მელითონეთა კავშირი **ი. სალიაშვილი.** წყნარ ოკეანეს სანაპიროების პროფესიონალური კავშირების კონფერენცია. **ლ. ი.** კულტმუშაობის საკითხები მეექვსე ყრილობაზე. **ი. ქელიძე.** ბიბლიოთეკები უნდა გავაჯანსაღოთ. **მ. მხითაროვი.** ჩვენი უახლოესი ამოცანები ფიზკულტურის დარგში. **სირაძე.** პროფკავშირები და რადიო. **გაჩეჩილაძე.** ტრამვაის მუშათა კლუბის მუშაობა. **მგალობლიშვილი.** უმუშევართა ანარიცხების დაფარვის სამარკო სისტემის შემოღების შესახებ. **აკ. ფანცულაია.** ყოფილ ვაჭრების კავშირში მიღების შესახებ **ა. თურქია.** პოლიგრაფ - წარმოების პროფესიონალური 6 თვიანი საღამოს სკოლა. **თ. პაატაშვილი.** ხარაგოულის სარაიონო სამდივნო. **ვ. ბუაჩიძე.** შუამთის დასასვენებელი სახლი. **ვ. პ-შვილი.** სახ. მეურნ. საკითხები მე-6 ყრილობაზე. **ლ. ელბაქიანი.** ცემენტის ქარხანა. მრეწველობაში უბედური შემთხვევების შესწავლის საქმე ჩვენში. **ბ. ჭუმბურიძე.**

ხელოვნება

— **ახალი სალიტერატურო ალმანახი.** გამოვიდა გრიგოლ ცეცხლაძის რედაქტორობით ახალი ლიტერატურული ჯგუფის — სინთეტისტების ალმანახი „მოქმედება“. მონაწილეობენ: აბრამია პ., გაბესკირია ალ., გველესიანი ლ., გოგოხია რ., ებრალიძე კ., დემეტრაძე შ., კვაჭაძე გ., მარსდენი დ., ნემსაძე კ., ცეცხლაძე გრ. და წერეთელი მ.

◆ **საბავშო სეირნობა.** დღეს მუშათა ახალ კლუბში გაიმართება დიდი საბავშო სეირნობა.

— **დღეს, სახ. შეერთ. კავშირის მუშაკთა კლუბში** გაიმართება მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო-კონცერტი.

— **იბეჭდება** და მალე გასასყიდათ გამოვა ვ. მალაქიაშვილის რომანი „შოთა ბროლიძე“ გამოცემა მეორე.

— **კომკავშირულ მწერალთა წრეში.** ორშაბათს, 20 ივნისს, სალ. 6 საათზე, კომკავშირულ მწერალთა წრეში ამხ. ვ. ქაჯაია წაიკითხავს მოხსენებას და შემდეგ განხილულ იქნება ლიტ. მასალები.

შემთხვევები

◆ **ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე** ალშაკოთის ქ. № 1 მცხოვრებმა ირინე ივანეს ასულმა მასლენიკოვამ განიზრახა თავის ჩამოხრჩობა მაგრამ შემთხვევით გადარჩენილი იქნა მეზობლების მიერ.

◆ **ფეხსაცმელების მაღაზიაში,** პუშკინის ქუჩაზე ბესარიონ იობას ძე გაბელიას ჯიბიდან ამოაცალეს 70 მანეთი.

◆ **საქონლის დაზღვევა.** ამ ღამით ხაშურისნისს პანსევიჩის ქ. № 54 გაქურდეს არუთინოვის ფეხსაცმელების სახელოსნო.

◆ **ზომა-წონის პალატის მაღაზიიდან** 480 ცალი ტერმომეტრის მოპარვისათვის დააპატიმრეს უცხობი მოქალაქე.

◆ **ქურდობა.** 17 ივნისს რუსთაველის პრ. № 37 გაქურდეს სედრაკ კარაპეტოვის ბინა. წაიღეს 183 მ. ნივთები.

წარმომადგენლობის ლიკვიდაცია აჭარისტანში

საქართველოს მ.-გ. ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა აჭარისტანის შინაურ წარმომადგენლობის გადასასინჯად დანიშნულ კომისიის მუშაობა. სავსებით დამტკიცებულია კომისიის დადგენილება ელექტრო - ტრესტის მაღაზიის გაუქმების შესახებ ბათომში. მიზანშეწონილად არის ცნობილი ამ მაღაზიის ფუნქცია—აჭარისტანისა და შავი ზღვის ნაპირების ბაზრებისათვის საქონლის მიწოდება—გადაეცეს აჭარისტანის ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას. ლიკვიდაციის ვადათ დანიშნულია ორი კვირა. შაქრის ტრესტის ბათომის განყოფილების ლიკვიდაციის საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. საქართველოს ინსპექციის რწმუნებულს აჭარისტანში წინადადება მიეცა შეისწავლოს, შესაძლებელია თუ არა შაქრის ტრესტის განყოფილების ლიკვიდაცია, თუ მისი ფუნქციები გადაეცა ადგილობრივ კოოპერაციას და სახელმწიფო მაღაზიებს. რაც შეეხება „ტექსტილტორგის“ ოპერაციებს, საქ. მ.-გ. ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა საბჭოთა კავშირის მ.-გ. ინსპექციის გადაწყვეტილების თანახმად ბათომში დასტოვოს ერთი მაღაზია შტატის მაქსიმალური შემცირებით.

ნარინჯოვანთა ნერგები

უკანასკნელ წლებში აჭარისტანის აგრონომიული ორგანიზაციები ვერ ასდიოდენ მოსახლეობის დაკმაყოფილებას ნარინჯოვანთა ნერგებით, რომელიც ამის გამო კერძო ბაზარზე იყიდება მეტად ძვირად (1 მ. 50 კ. ნერგებში). ამჟამად აჭარისტანის ყველა საჩვენებელ ნაკვეთებზე მზადდება 100 ათასზე მეტი მანდარინი და სხვა ნარინჯოვანთა ნერგები გლეხებისათვის დასარიგებლათ.

ტყის მოწყობა

მიწსახკომის სატყეო განყოფილება მომავალ კვირას გზავნის რაჭის სატყეოში ტყის მომწყობ ჯგუფს, რომელიც შესდგება ორი ტრაქტორისტისა, ორი მიწისმზომელისა და ოთხი მოვარჯიშე სახელმწიფო უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსის სტუდენტისაგან. ჯგუფმა უნდა მოაწყოს შემდეგ სატყეო აგარაკები: ნიკორწმინდისა, სადმელისა, ჩიორის, ურავეთისა, ლიხეთისა და წესისა—საერთო არეთი 25 ათას დესეტინამდე.

— აგერა, გითხრა: გაზეთით, ლაპარაკობ, გაზეთები მოგვდის და ვკითხულობთ, მაგრამ მარტო გაზეთის ამარა სულის დაპურება არ შეიძლება. ხანდახან წიგნის წაკითხვაც მოგეპატრება ადამიანს.

— შე კაი კაცო, თუ ჩვენში ეხლა წიგნები აღარ იშოვება—ვერ უყურებ რამდენი იბეჭდება? ამდენი არასოდეს არ ყოფილა.

— კი არ ყოფილა შენ არ მომიკვდე, მაგრამ ყიდვა არ გინდა, ვერ მიეკარები ისეთი ძვირია, ყველაფერს მოუხერხდა გაიაფება, ამ ჩვენ სოფელში ერთი „ეპოს“ დუქანია, იქაც კი დაუკლეს, შენ წარმოიდგინე, თითო ოროლა კაპეიკი ყველა საგნებს, წიგნის გაიაფებას კი არაფერი ეშველა.

— წიგნის საქმე სხვანაირათ არის, ჩვენში წიგნი ბევრი არ იბეჭდება..

— ბევრია, ამაზე მეტი რაღა იქნება.

— არა მაგას არ ვამბობ, თითო წიგნი რუსეთში მაგალითად 20—25 ათასი რომ დაიბეჭდოს, ორ კვირაში გაიყიდება; ჩვენში ხშირათ ერთს ან ორი ათასს ვბეჭდავთ. აწყობა-დაბეჭდვის ხარჯი—მთავარი კი ესაა—იქ 20-25 ათასზე იყოფა, აქ კი ერთს ან და ორიათასს უნდა დააწვეს თავზე. მეორე ისაა კიდევ, რომ ჩვენში წიგნი ჩქარა არ საღდება, ფული კი დაბანდებულია, ამიტომ ფულის სარგებელსაც ზედ ადებენ.

— კარგი დაგემართოს, მარა მაგაა სწორეთ რომ აფუჭებს საქმეს. თუ თავნი და სარგებელიც ზედ დაადევი და ყველაფერი, რაღა ჯანდაბით უნდა იყიდო. ის არ სჯობია, რომ ცოტა იაფად გამოუშვათ, ჩქარა გაიყიდოს და ფულიც ჩქარა შემოტრიალდეს?

— მაგის ანგარიშები ჩვენ სახელგამის ოსტატებმა უფრო იციან, მე ბევრს ვერაფერს გეტყვი.

— ეს ერთი, მეორეც ის რომ, სულ ამ ლექსებით არის მოფანტული აქაურობა.არც ეს ვარგა... ლექსი, ლექსს გააჩნია, მაგრამ ამდენი უხეირო და ულაზათო ლექსების ბეჭდვა ტყუილა წყალში ფულის გადაყრაა.

— რომელი არ მოგწონს მაინც.

— მე რომ არ მომწონს და არც შენ მოგეწონება, ისეთები იცოცხლე, ბევრია.. მაგის გამოცემას სოფლისათვის საჭირო წიგნები რომ გამოცეთ ის არ ჯობია? ამასწინათ მეაბრეშუმეობის შესახებ გამოეცათ რაღაც წიგნი, ერთი მეორეს ხელიდან აგლეჯდენ, ერთი ცალი ეშოვა ვილაცას ქიათურიდან ამოეტანა. ფუტკრის მოვლას ჩვენში კარგ ხეირის მოცემა შეუძლია. მინდოდა მესწავლებია ხალხისათვის. ზეპირათ, ხომ ვერ ასწავლი და კიდევაც რომ ასწავლო, ყველაფერი ერთბაშათ ხომ არ დაამახსვრდება ადამიანს. წიგნს, რომ წაიკითხავს მაშინ სულ სხვაა. ერთი წიგნი არ მოიპოვება წამლათ ჩვენში, კარგია მერე ეს?

— მაგაში შენ მართალი ხარ, მაგრამ წელს ჩვენი სახელგამი შეგვპირდა გამოვცემთო. ალბათ, შეასრულებს დაპირებას.

— როდის თორემ კი, ეს დრო ქე მიდის..

გავიარე სოფლად, მოვნახე „ეპო“— სწორედ იმავე ალაგას, სადაც უწინ საწვრილმანო დუქანი იყო. უწინ ეს დუქანი ქიათურის პოდრაჩიკობაში გაკოტრებულ გლეხს ეკუთვნოდა. ეხლა მის ალაგას „ცეკავშირი“ ჩამდგარა.

გარეგნობა იგივეა, შენობა კი საკმაოთ და ხაგრძნობლად მოძველებული დამხვდა.

დახლში ახალგაზრდა „პრიკაშიკი“ ჩამდგარა, დუქანში ხალხი ბევრი შედის და გამოდის.

— ვანო, ბიჭო, არ დაგვალალატო წრეულსაც, დროზე მიაკითხე შაბიამანს, თორემ, თუ წილების იმედი არა გაქვს, ჩვენ თვითონ რამეს ვიღონებთ.

— არა, არა, დავით, უსათუოდ გვექნება.

— ვანიჩკა მოდი ერთი რა გკითხო! ახალგაზრდა ქალიშვილი რაღაცას ყურში ეპუტუნება.

— არა, ვერ ვიშოვე. ვიკითხე, სადაც მეგულებოდა, მაგრამ ეხლა ისეთი სტროგობაა მაგის შესახებ, რომ მეტი არ შეიძლება.

— შენ ბიძია, მაგისთვის კი არ დაგვიყენებიხართ მაგ დუქანში, რომ ეს გოგონები გადაგვირიო, რას გეფუჩუნებოდა მაგ გომბიო, პუდრი და დუხები უნდოდა, ან და ის გძელ ყელიანი ჩულქები არა?

— არა, ბატონო, სულ სხვა რამეს მკითხავდა.

— ვიცი მე თქვენი ოინები. დედამისს [illegible] თუ ლაზლის წინდების მეტი არაფერი ცმია, მიტომ იყო დასაწუნარი ქალი მთელი თემში გამოარჩევდი ფიცხობს იქვე ხის მორზე ჩამომჯდარი მოხუცი ცალი ხელით ყალიონს თუთუნს სტენის, მეორეთი ანთებული სპიჩქით უკიდებს.

— ეს ოხერი, აღარც სპიჩქას აქვს ძველებური გამძლისობა და აღარც არაფერს. გახსოვს, ყარამან, უწინ რგვალ კაროპკიანი სპიჩკა რომ იყო, თითო ღერი ამ ჩემი თითის სისხო იყო, ამითი ყალიონს მოუკიდებდი კი არა კერიაზე, რომ დაგედვა.....

— მერე მაგ იყო კარგი ფხუ! წამოიძახა ვილაცამ ახალგაზრდა ქალვაჟის ჯგუფიდან, ყველას სიცილი წასკდა.

მოხუცს გული მოუვიდა, ყალიონი ახალოხის ჯიბისაკენ წაიღო, ზეზე წამოდგა.

— მამა ჩემს აქვს ცხონება თქვენ ერთი გზის ჯოხით ზურგის შეხურება ყველას მოგიხდებათ.

— ველარ მოგართვეს, გაფრინდა მაგ დრო-— საიქიოს წავიდა მოუბრუნებლათ.

— სულ ერთია საიქიოს მგზავრია მაგეც, იქ ნახავს!...

— მე, შვილებო, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია, მაგრამ ვნახოთ თქვენ რა ცხოვრებას მოაწყობთ.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, ძველ ნამამასახლისებისა და ნაცვლებს ჭკუას არ შევესესხებით:

— თქვენი ცოდვა ეკითხოს, ვინც თქვენ მაგრე გათამამებთ და გაბრიყვებთ.

— ცოდვა-მადლზე ამ სიბერის დროს, რომ მოუმატე ლაპარაკს, რატომ მაშინ არ ფიქრობდი მაგაზე კაზაკებს, რომ გადააწვევიე ეს ჩვენი სოფელი.

ამის გაგონებაზე მოხუცი რაღაც შეკრთა, ხელები შეიფშვნიტა, ცალი ხელი სახეზე გადაისვა.

— დავაკვირდი მის სახეს —ეს ხელის გადასმა —ეს სახე როცა ნაოჭები გასწორდა—ვიცანი ეს ხომ ჩვენი ძველი ასისთავია—აი, ის. რომელმაც ალიხანოვის მოხელოვებისას პირველმა ჩამოიკონწიალა ნაცვალის ნიშანი.

— თუ სადმე კია ცოდვა მადლი მამა ჩემის ცოდვას უნდა აეყროლებიე შენ ზეზეურათ, შენ არ შემოუძღვი ჩვენსას კაზაკებს, შენ არ დააჭერიე მამა ჩემი, მამაჩემი ზალიკოს სიკვდილი, ჩენ მოგეკითხება, გახსოვს, რომ ღელის პირას, რომ მოჭრეს თავი.

ზალიკო.... ჩვენი „პროლეტარი“.

საწყალი „პროლეტარი“, მართლაც ველარ მოსწრებია ის გამარჯვების დროს.

— თქვენ ზალიკოს ვაჟი ხართ?

— დიალ, გახლავართ! ამ სულ-ძაღლმა....

ხელი მოვკიდე გარეთ გამოვიყვანე.

იმავე გზით მოვდიოდი, როგორც იმ ღამეს. რამდენი დრო გავიდა, რამდენი რამე გამოიცვალა. ეს ორლობე—კი ისევ ისეა...

პ. მ. საყვარელიძე.

ბიბლიოგრაფია

„მოქმედება“.—1927 წელი. ტფილისი

„თანამედროვე ქართული ხელოვნება მახინჯებელია,—სწერს ამ ახალი „ბარიკადების“, ვგონებ მებაირახტრე თავის სადეკლარაციო წერილში—რომ ჩვენ გავიარეთ კულტურის მნიშვნელოვანი საფეხურები და ბევრი რკალი შემოიხაზა. კულტურის რა მნიშვნელოვანი საფეხურები გამოვიარეთ — ეს დიდათ არსადა სჩანს იმ უგემურ ტლინკაობაში, რომელსაც „ნიადაგის გამწმენდის“ მიზნით აწარმოებენ ეს ახალი ლამანჩელები მარჯვნივ და მარცხნივ, აწმყოში და წარსული არსებულ ლიტერატურულ სკოლების მიმართ.

მოუსმინეთ დეკლარაციის პოზიტიურ მხარეს.

ყველა ამ ერთი ვირის ყბის მოქნევით გაცამტვერებულ ლიტერატურულ სკოლების და დაჯგუფებების ნაცვლად წამოყენებულია „სინთეთიზმის“ პრინციპი: „ჩვენ ვაყენებთ სინთეტიზმს,„—ამბობს წერილის ავტორი (გრ. ცეცხლაძე),—„ახალმა ხელოვნებამ უნდა მოგვცეს სინთეტიური სახე, არც ყოფაში მომქმედ ცოცხალ ადამიანის“. ასეთ ზოგად უშინაარსო განცხადებების იქით არ მიდის ეს ორ სტრიქონში ამოწურული სიმბოლო სარწმუნოების აღიარება. მერმე როგორ ესმით (თუ კი საერთოდ რამ ესმით), ამ ახალ მესიებს ეს ახალი შინაარსი, ახალი ფორმა ან მათი სინთეზი?

ამაზედ არაფერია თქმული. გარკვეულად. შევეცადოთ დავიჭიროთ სტრიქონებში დაბნეული აზრი. „დემოკრა-მწერლები წინა დროს ეკუთვნის. მათ ნაწარებს რევოლიუციამდე ჰქონდა აზრი, როგორც პროტესტის ხმას ძველი შესწყობილების მიმართ“. შემდეგ, „პროლეტარულ მწერლობამ თავის ლექსიკონი (?) მეტისმეტად განსაზღვრა, რაც ხელს უშლის მათ წარმომადგენლებს ჯეროვნად ასახონ ახალი ყოფა კერძოდ, ჩვენი ახალი მწერლები ვერ მიდიან შემოქმედებასთან საკმაო სიმართლით და ამღერებით“.

მაშ, ვინ აუღებს ალოს ახალ კულტურას, ვინ გასცემს პასუხს „ეპოქის ესთეტიურ მოთხოვნილებებს“—აი, პასუხი: „ის ვინც გენიის ძლევამოსილებით გაანათებს, ვისმიც იწვევს ქვთილშობლურ აღფრთოვანებას მაღალი აზროვნება, მშვენიერი პოემა, სამო ჰანგები და მხატვრული „ფერადები“. მათ მიიღებს ეპოქა, „როგორც სიმღერებში ჩასმულ სინათლეს“ და აკი მათ იღებს კიდეც, თუ სხვა ვინმე არა, ახლად შობილი პოეტი კოკი ებრალიძე მაინც,მისი „ეპოქის ხმაც“ ცეცხლაძის ცეცხლით აცეცხლებული აქეთკენ შლის, „მხატვრულ სივრცეთა ახალ აღთქმას“.

„მე პოეტებში მიყვარს ცეცხლაძე და მასთან ერთად მინდა დავიწვა“. სოკრატი და ბეკონი მას უცეცხლოდ ეჩვენება. ჩვენ გვწამს მხოლოდ ის ლიტერატურა, რომ ჰბორგავს, როგორც მაჭარი ქვევრში, სხვა ყველაფერი არის ხალტურა, უნდა ჩახედო ცხოვრებას ფსკერში“. მე არ ვიცი რატომ ცხოვრების ფსკერზე პოეტმა მარტო ცეცხლაძე დაინახა, სხვა კი მთელ ამ ძველ ლიტერატურულ ავეჯიდან აგებულ ბარიკადებში მარტო იმას დაინახავს, რაც ჩვეულებრივად ქვევრის ფსკერზეა მოქცეული. ეს არის ამოქმედება უნიჭობის, სინთეზი უპრინციპობის ლიტერატურულ უბადრუკობის და წელმოწყვეტილობის. და მართლაც სრული ხალტურაა.

„ასეთ ნააზრევს დალაგებულს გადააფასებს. ამხანაგობა, პოეტები და მოქმედება“. —სწერს ალ. გაბისკირია, მაგრამ ამ ასეთი ლიტერატურულ ნაგავს გადაფასება კი არა, მართლაც გადალაგება სჭირდება ლიტერატურულ სანაგვეზე, რომ ქართული პოეზიის ცა არ იჩრდილებოდეს ახალი და ახალი პოეტურ ნისლოვანებით.

დ. ფარსადანი „ღრმა“ ფილოსოფიურ რეფლექსიის ნიადაგზე ასაბუთებს, რომ საჭიროა გასაგებათ წერა, რასაც თავისი უბადრუკი ლექსებით არღვევს მიქელ წერეთელი. ეს უკანასკნელი კი „მათემატიკურ“ ინტუიციით გამსჭვალულ „წერტილთა ცვალებადობის თეორიაზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ლიტერატურული ფორმები ცვალებადობას განიცდიან. ორთავე რაღაც აბეზარი ასოციაციით მოგაგონებს კაცს ჩეხოვის ერთ-ერთ მოთხრობის გმირს, გეოგრაფიის მასწავლებელს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში უმტკიცებდა მოწაფეებს, რომ ვოლგა ერთვის კასპიის ზღვას და ცხენები სჭამენ თივას“.

ტონუს.

—:—

«НАРОДНОЕ ХОЗЯЙСТВО ЗАКАВКАЗЬЯ»

ამ.-კავკ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს გამოცემა, გვ. 696 ფ. 3 მ.

სამეურნეო აღმშენებლობის ახალი გეგმების გათვალისწინებისათვის, მეურნეობის ცალკე დარგთა რეკონსტრუქციისათვის უდიდეს მნიშვნელობა ენიჭება უტყუარ, ყოველმხრივ შემოწმებულ და მეცნიერულ - მეთოდოლოგიურად დამუშავებულ ციფრებს. ციფრობრივი, სტატისტიკური მასალის მოცემისას, მნიშვნელობა აქვს მის დაწყობას მიზანშეწონილად, მკითხველისათვის გასაგებათ და მისაწვდენათ დალაგებას. სარეცენზიო შრომა ასეთ სტატისტიკურ მასალათა კრებულს წარმოადგენს, რომლის გამოცემა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჩვენ ეკონომიურ - სტატისტიკურ ლიტერატურაში, როგორც პირველი ცდა ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის დინამიური მოვლენების გამოსახატავად.

კრებულში გაშუქებულია არა მარტო ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობა გასულ სამი ოთხი წლის განმავლობაში შედარებით1913—1916 წლებთან, არამედ მთავარი ცნობებია მოცემული პარალელურად კავშირის და მსოფლიო სახალხო მეურნეობის შესახებ.

კრებულის შემდგენელნი აღნიშნავენ იმ სიძნელეს, რომელიც იყო გამოწვეული ამიერ-კავკასიაში საიმედო სტატისტიკური ცნობების სიმცირით. ჩვენში, როგორც ლაპარაკობს ამხ. გრიგორიანი არ იყო რუსეთის მსგავსად საერთობო სტატისტიკა და ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში სტატისტიკური მასალა საპოლიციო ორგანოების მიერაა შეკრებილი, რაიც საეჭვოთ ხდის მათ. ამიტომ საბჭოთა პერიოდამდე არსებული სტატისტიკური ცნობები მოყვანილია ნაწილობრივ, მხოლოდ ისეთი, რომელიც საიმედოა და აუცილებელი.

კრებული შეიცავს 18 განყოფილებას და ორ დამატებას—საბჭოთა კავშირის მეურნეობა და მსოფლიო მეურნეობა, ჩვენის ფიქრით კრებული მეტად დამძიმებულია სტატისტიკური მასალით. თითეულ განყოფილებას წინ უსწრებს წინასიტყვაობა, სადაც ლაპარაკია მასალის შეკრების პირობების და მისი დალაგების შესახებ, რაიც არავითარ შემთხვევაში არ არის საკმაო. კრებულის მნიშვნელოვან უარყოფით მხარეთ სწორედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მკითხველს არ ეძლევა სათანადო ახსნა - განმარტება, არ არის მოცემული შენიშვნები მეურნეობის ცალკე დარგთა ცვლილებების, მათი საერთო მდგომარეობის შესახებ. კრებული მისი დღევანდელი სახით ძნელად დასაძლევი იქნება თვით სტატისტიკოსებისათვის და სახალხო მეურნეობის დინამიური პროცესი ციფრებში შეიძლება საუკეთესოდაც მოცემული—საჭიროებს ელემენტარულ კომენტარიებს მით უმეტეს მაშინ, როდესაც ის იცემა სამეურნეო მუშაკთათვის და ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობით დაინტერესებულ ცალკე მკითხველთათვის.

საერთოდ კრებული ერთ-ერთ საუკეთესო სტატისტიკურ ნაშრომს წარმოადგენს, რომელიც ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში დიდ როლს ითამაშებს.

სტატისტიკოსი.

სასამართლო

მორცხვი ქვრივი

გამომძიებელი: თქვენ ლაპარაკობთ, რომ თორმეტი წლის ქვრივი ხართ. კარგი, მაგრამ ხომ უდავოა, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ დაარღვიეთ ქვრივობა. დაასახელეთ, ვისგან გაგიჩნდათ შვილი.

— ვერ ვიტყვი, მასეთ რამეებზე ნუ დამიწყებთ ლაპარაკს. მრცხვენია.

— სირცხვილზე შემდეგ. ეხლა საქმეზე ვილაპარაკოთ. დაასახელეთ..

— ძალიან მრცხვენია, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ: ვცხოვრობდი ერთ ებრაელთან.

— მისი გვარი?

— გვარი არ ვიცი.

— თქვენ დალოცვილო, კაცთან ცხოვრობდით და გვარი არ იცით, როგორ დაგიჯეროთ.

— შვიდ თვეზე მეტია, რაც დავშორდით.

— ალბათ ამ ხნის განმავლობაში დაგავიწყდათ. იქნებ მოიგონოთ!

— არა, არც წინად ვიცოდი. გვარი და სახელი არ გამომიკითხავს.

— როგორ არ დაინტერესდით ვისთან ცხოვრობდით. განა ვინც შეგხვდებათ ყველასთან იცხოვრებთ?

— თქვენ შეურაცხყოფას მაყენებთ.. აღარ შემიძლია.

— შეურაცხყოფა არ გვიფიქრია, ჩვენ გვინდა საქმის ვითარებას გავეცნოთ. მაშ არ ასახელებთ?

— არ ვიცი და ვინ დავასახელო.

— მაშ კარგი, გვიამბეთ, რამ გაიძულათ, რომ საპირფარეშოში ჩაგეგდოთ თქვენი ღვიძლი შვილი?

— მოგახსენებთ: მე მივდიოდი ქუჩაში, უეცრად ვიგრძენი, რომ რაღაც მოძწყდა მუცლიდან, დავხედე ძირს ბავში ეგდო. ვსტაცე ხელი, ამ დროს ცოტა სატკივარიც ვიგრძენი. დავიწუნდი, რომ ჩემი მუცლიდან ბავში იშვა, სრულიად მოულოდნელად.

— კარგი, ბავში რომ იშვა ვიცით, მაგრამ რატომ დაგჭირდათ მისი საპირფარეშოში ჩაგდება?

— მკვდარი დაბადებულიყო და აბა სად უნდა წამეღო?

— რატომ არ დაგენანათ თუნდაც მკვდარი თქვენი შვილი?

— შემრცხვა.

— სირცხვილზე შემდეგ, ეხლა საქმეზე ვილაპარაკოთ. თქვენ ამბობთ, რომ გინდოდათ არავის დაენახა. მაგრამ როცა მიხვდი, რომ დაინახეს, რატომ ადმინისტრაციის წარმომადგენელს არ უთხარით, რომ „სრულიად მოულოდნელად“ თქვენმა შვილმა დაარღვია არსებული წესები და მეშვიდე თვეზე იშვა ქუჩაში, როცა თქვენ ბებიასთან მიხვიდოდით.

— მართლა, შეიძლება თქვენი ბებიის გვარი და სახელი თქვათ?

— არ ვიცი.

— კარგი. წინანდელ კითხვაზე გვიპასუხეთ, რატომ ადმინისტრაციის წარმომადგენელს დაუმალეთ თქვენი საქციელი?

— შემრცხვა.

— თქვენ ყველაფრის შეგრცხვათ, მაგრამ რატომ ასეთი საქციელის ჩადენა არ შეგრცხვათ?

— რატომ მაწითლებთ !

— კარგი, გვიბრძანეთ თქვენი გვარი და სახელი.

— სიმხა ევსუახის ასული თეთრუაშვილი.

— გთხოვთ თქვენს ჩვენებას ხელი მოაწეროთ.

— თქვენი საქმე გადაეცემა სასამართლოს.

გ.

ფეხბურთი

მოსკოვი - თბილისი

ორშაბათს, 20 ივნისს, თბილისში ჩამოვა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“. გუნდს თბილისში ექნება სამი შეჯიბრი. ყველა შეჯიბრები გაიმართება „დინამო“-ს სტადიონზე.

21 ივნისს, სტუმრები თამაშობენ საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდთან; მსაჯი იქნება მოსკოვის მსაჯთა კოლეგიის წევრი.

23 ივნისს მოსკოვის „დინამო“ თამაშობს „არსრაიონ“-თან; მსაჯი იქნება ამხ. იოსავა.

უკანასკნელი შეჯიბრი მოსკოვის „დინამო“-სა და თბილისის „დინამო“-ს შორის გაიმართება შაბათს, 25 ივნისს; მსაჯი იქნება ამხ. გალპერინი.

ბილეთებზე წინასწარი ჩაწერა შეიძლება პროლეტარულ სასპორტო საზ-ბა „დინამო“-ს მაღაზიაში (თავისუფლების მოედანი). ყველა ადგილები დანომრილია.

თბილისიდან მოსკოველ ფეხბურთელებს განზრახვა აქვთ ესტუმრონ ბაქოს და დონის როსტოვს.

ვინ თამაშობს დღეს

დღეს გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების ორი კალენდარული შეჯიბრი.

საღამოს 6 საათზე დინამოს [illegible]ზე თამაშობენ „დინამო“ და საგ[illegible]პორტო სახელმწიფო პოლიტიკ[illegible] გუნდი.

საღამოს 6 საათზე, [illegible] სტადიონზე თამაშობენ „[illegible] საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების [illegible] გუნდი.

პირველ მატჩს სჯის ამხ. [illegible], მეორეს— ამხ. კრავჩენკო.

მეცნიერება და ტეხნიკა

მოძრავი რენტგენის ლაბორატორია

გამოჩენილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა ლოთ მოაწყო მოძრავი რენტგენის ლაბორატორია. ყველაფერი, რაც კი საჭიროა რენტგენის სურათების მისაღებათ, ლოთ მოათავსა სპეციალურად აგებულ ავტომობილში. 10 წუთის განმავლობაში ლაბორატორიის მთელი მოწყობილობა შეიძლება დადგმულ იქნას ავადმყოფის ოთახში. ელექტრონის ენერგიას ღებულობენ 1 ნახ. კილოვატიან ცვალებადი დენის დინამოდან. დინამო დადგმულია ავტომობილში და მას მავთულით უერთებენ აპარატებს, რომელიც შეაქვთ ავადმყოფის ბინაზე.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

მსოფლიოში უდიდეს საავტომობილო ქარხნების პატრონმა ამერიკელმა გენრი ფორდმა, რომელიც დაინტერესებულია თავისი სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაღებით, მიჩიგანის შტატში მოაწყო დიდი საჩვენებელი ფერმა იმ მიზნით, რათა დაემტკიცებია, თუ დროისა და შრომის რა მომჭირნეობას იძლევა გაუმჯობესებულ იარაღებისა და რაციონალური მეთოდების გამოყენება სასოფლო მეურნეობაში. ფორდმა გამოიანგარიშა, რომ მთელი მუშაობის შესრულება საშუალო ამერიკულ ფერმაში, რომელიც სპეციალურად ხორბლეულს აშენებს, შეიძლება შესრულებული იქნეს 20 დღის განმავლობაში. ფორდი წინადადებას იძლევა, რომ სპეციალურმა მოიჯარადრეებმა (კაპიტალისტის გონება ასეთ წინადადებას ვერ გასცილდება) იკისრონ ქირით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება.

50.000 წლის ხე

ვაშინგტონის შტატში (ამერიკა) ჭის თხრის დროს 754 ფუტის (108 საჟენის) სიღრმეზე მუშები წააწყდენ დიდი ხის ტანს, რომელიც მშვენიერათ შენახულიყო. მეცნიერების აზრით ხემ მიწაში დაჰყო არა ნაკლებ 50.000 წლისა. ხის ჯიშის სისწორით გამორკვევა ძნელია, მაგრამ ფიქრობენ, რომ იგი უნდა ეკუთვნოდეს წიწვიანი ხის ჯიშებს.

ჭა—ბარომეტრი

ორეგონის შტატში (ამერიკა) არის ჭა, რომელიც ბარომეტრის მსგავსათ „წინასწარმეტყველობს“ ქარიშხალის მოახლოებას და საერთოდ ამინდის ყოველგვარ ცვალებადობას. 12—24 საათით ადრე ქარიშხალის დაწყებამდე ჭა იწყებს ცივი ჰაერის „ამოსუნთქვას“. რამდენათაც უფრო ახლოვდება ქარიშხალი, იმდენათ ძლიერდება ჰაერის ამ ცივი ნაკადის ამოხეთქა, რომელსაც თან სდევს სტვენის მსგავსი ხმა, შემდეგ ღრიალი და შემდეგ ჭიდან ამოდის ნისლი. როცა ქარიშხალი გაივლის, ჭა იწყებს ჰაერის „ჩასუნთქვას“ იმ დრომდე, სანამ ერთგვარი წონასწორობა არ დამყარდება ჰაერის შემდეგ ცვლილებამდე.

გეოლოგები ფიქრობენ, რომ ჭა შეერთებულია მთელ რიგ კამერებთან, სადაც ტემპერატურა და ატმოსფერული წნევა თითქმის ერთნაირია. ზემოთ-აღწერილი მოვლენა კი გამოწვეულია ცვლილებებით ატმოსფერულ წნევაში დედამიწის ზევით.

გულის ცემის ჰორმონები

ინსბრუკის (ავსტრია) უნივერსიტეტის დოქტორმა **ლიუდვიგ ხაბერლანდტმა** ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინა გულის ცემის ჰორმონი— სპეციფიური ქიმიური ნივთიერება, რომელიც მუშავდება გულში და ხელს უწყობს მის მუშაობას. ეს ნივთიერება ეკუთვნის იმ ჰორმონების რიცხვს, რომლებსაც იმუშავებენ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები. დ-რმა ხაბერლანდმა გამოარკვია, რომ გამონაჟონი ცოცხალი ბაყაყის გულიდან, შეშხაპუნებული მკვდარი ბაყაყის გულში, იწვევს უკანასკნელის ძგერას. ასეთი ცდა წარმატებით მოახდინეს მკვდარი ძაღლის გულზე. ექიმები ფიქრობენ, რომ ეს აღმოჩენა გაამდიდრებს მედიცინას ახალი მძლავრი საშუალებით გულის მუშაობის გამოსაწვევათ.

ნარევი

წვიმა ქვებიდან

პარიზიდან გადმოცემული ცნობით, 5 ივნისს კასტილიათ (ესპანეთი) ქარიშხალის დროს ზოგიერთ რაიონებში მოვიდა ქვების წვიმა, ზოგიერთი ქვები იწონიდენ 450 გრამ (ერთ-მერვედს გირვანქას), მეტეოროლოგების ცნობით, ეს იშვიათი მოვლენა გამოწვეულია ციკლონით, რომელსაც ადგილი ჰქონდა სადმე ახლო.

კინო და სროლა ნიშანში

ბერლინის მსროლელთა საზოგადოებების ტირებში უკანასკნელ ხანებში ფართოდ ვრცელდება სროლა მოძრავ ნიშანში. ამისათვის სარგებლობენ კინოთი. მსროლი ესვრის ეკრანს, რომელზედაც აჩვენებენ სურათს. ამ სურათის ცალკე ადგილები წარმოადგენენ ნიშანს. როგორც კი ტყვია მოხვდება ეკრანს, სურათის ჩვენება ავტომატიურად წყდება, რომ გამოირკვეს სროლის შედეგი.

გვირაბები გზა-ჯვარედინებზე

ლოს-ანჟელოსში (კალიფორნია) რამდენიმე ქუჩაზე, სადაც მოძრაობა ყველაზე დიდია, გაყვანილია გვირაბი ფეხით მავალთათვის, განსაკუთრებით სკოლის ჰასაკის ბავშვებისათვის, რომელთათვის მრავალრიცხოვან ავტომობილების და ტრამვაების მოძრაობა საფრთხეს წარმოადგენს, თითეული გვირაბის სიგანე უდრის 4 ფუტს. შესავალი და გამოსავალი გვირაბიდან შემოღობილია.

რადიო-გადაცემა

კვირა, 19 ივნისი

დღეს, საქართველოს პროსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირელთა გაზეთი—რუსულ ენაზე (7—7—20).

გლეხთა გაზეთი—ქართულ ენაზე (7—20—7—40).

განმარტება დებულებისა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ — რუსულ და თურქულ ენებზე (7—40—8).

მალიარია და კოლონიზაციის საკითხი საქართველოში—ქართულ ენაზე (8—8—20).

ტეხნიკური კონსულტაცია (8—20—8—40).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე(8—40—9).

კონცერტი ან და ტრანსლიაცია (9—11).

ორშაბათი, 20 ივნისი

პოლიტგანმანათლებელი ორგანოები და კოოპერაციის საერთაშორისო დღე—ქართულ ენაზე (7—7—20).

მუშათა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე (7—20—7—40).

მეცხენეობა საქართველოში—ქართულ ენაზე (7—40—8).

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—რუსულ ენაზე (8—8—20).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე (8—20—8—40).

კონცერტი ან და ტრანსლიაცია (8—40—11).

იურიდიული დახმარება

რკინის გზის მუშას (კავშ. წევრ. წიგნ. № 3892) ნიკო ჯავახიძეს

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით მოპასუხის ბინადრობის მიხედვით სახალხო სასამართლოს და მოითხოვეთ ზარალის ანაზღაურება, თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდ. მუხ. 404, 409, 400 და 411-ისა.

პენსიის დანიშვნის შესახებ

ფოთის მცხოვრებს ნინო გოშუას

პასუხი

თუ კი თქვენ ნამდვილად ხართ შრომის უნარმოკლებული, ცხოვრობდით თქვენ ძმასთან არა ნაკლებ ერთი წლისა თქვენი ძმის გარდაცვალებამდის და მის სრულ კმაყოფაზე მაშინ თანახმად სამოქ. სამარ. კოდექ. მუხ. 418-ისა და ა-კ. სოცდაზღვევის საბჭოს 1925 წ. 16 ნოემბრის ცირკულიარისა პენსიის დანიშვნის წესების შესახებ, შესაძლებელია დაგენიშნოთ პენსია, თუ კი ვადა შუამდგომლობის აღძვრის არ გაქვთ გამოშვებული—(იხ. „შრომის კანონმდებლობა“ გვ. 941) ე. ი. არა უგვიანეს ორი წლისა თქვენი ძმის გარდაცვალების დღიდან (იხ. საკავშირო საბჭ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წ. 14 მაისის დადგენილება. გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში 1926 წ. 11 ივნისიდან № 1.198).

გორის მაზრის საძოვრების საველე დარაჯს გ. რაკოვს

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით საქართვ. მიწად-მოქმედების სახკომატის საძოვართა განყოფილებას.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატისა

1927 წლ. ივნისის 18-ს

27 ივნისის დასასვენებელ დღეთ გამოცხადების შესახებ

საქართველოს ს. ს. ხრ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ 1927 წ. დეკემბრის 2-ს თარიღით და № 30-თ გამოცემულ დადგენილების „1927 წლის უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეების შესახებ“ „გ“ მუხლის შესაცვლელად, საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატი საქ. პროფკავშირის საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს:

1. გაუქმდეს 29 აგვისტოს თარიღით დაწესებული განსაკუთრებული დასასვენებელი დღე და მის ნაცვლად დასასვენებელ დღეთ გამოცხადებულ იქნეს 1927 წ. ივნისის 27 (ორშაბათი).

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომ მოადგილე ი. ჭელიძე.

საერთო საორ. გან. გამგე კვირიკაშვილი.

შეთანხმებულია ს. პ. კ. ს. გ. ყურულაშვილი.

—:—

საქართველოს ყველა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს და მათ სამაზრო კომიტეტებს

ცირკულიარი № 5

სოფლად რემდასის უჯრედებისათვის ხელის შეწყობის და დახმარების აღმოჩენის შესახებ

როგორც ქალაქად, ისე სოფლად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რემდასის უჯრედების მოწყობას და განვითარებას, რემდასის მუშაობაში ფართოთ ჩაბმული უნდა იქნენ ქალაქის მუშებთან ერთად ჩვენი სოფლის მშრომელი ფართე მასსა, მშრომელი მასის მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხსენებულ ორგანიზაციის განვითარებაში და გამაგრებაში. იმ დროს, როდესაც საერთაშორისო კაპიტალი შეტევას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ და, როდესაც [illegible] კაპიტალისტური სახელმწიფოების ციხეები სავსეა რევოლიუციონერებით მუშების და გლეხების საუკეთესო შვილებით, ჩვენი მშრომელი გლეხობის მოვალეობაა გაუწოდონ მუშათა კლასისათვის თავდადებულ მებრძოლებს ძმური დახმარების ხელი და მით განამტკიცონ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე. ამიტომ სრულიად საქართველოს ცენტრალური გლეხკომი წინადადებას აძლევს საქართველოს ყველა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს და მათ სამაზრო კომიტეტებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ ადგილებზე რემდასის უჯრედების ქსელის გაფართოებას, მათში მშრომელი გლეხობის ფართო მასის ჩაბმას და აღმოუჩინონ მათ შეძლებისადაგვარად მატერიალური დახმარება.

სრ. საქ. ცენტრალური გლეხკომის თავმჯდომარე ქ. ხომერიკი.

სრ. საქ. ცენტრ. გლეხკომის მდივანი მ. ჩხიკვიშვილი.

17 ივნისი,
1927 წელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის საალრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საალრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში—ოთახი № 36 ამხ. თარხანოვთან.

1) შალვა კახიანი, 2) ასმიკ რშტუნი, 3) ნინა ივანეს ასული მებუკე. 4) კონსტანტინე ივანეს ძე პაროსტაევი, 5) აზარი ალექსის ძე დიაროვი, 6) გიორგი ანტონის ძე ნიკიტინი.

იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგები თბილისში არ იმყოფებიან, ვთხოვთ შეგვატყობინონ თავიანთი მისამართი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ბიქტორ რაუდენის ძე რუხაძეს, გიორგი ეჯუბოვს და რუბენ ნასიბოვს გამოცხადდენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. მესამე სართული, ოთახი № 12) 20 ივნისს დილის 8 საათზე.

— ორშაბათს, 20 ივნისს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია სახ. უნივ. სოც. ეკონ. ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა. გამოცხადება სხდომაზე სავალდებულოა სოც. ეკონ. ფაკულტეტის მე-4 კურსის კ. პ. ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

მე-2-ე რაიონის ყოფილ ახალგ. მარქსისტთა ბიურო იუწყება, რომ ორშაბათს 20 ივნისს, მესამე შრ. სკოლის შენობაში (კამოს ქ. 91) შესდგება [illegible] მარქსისტთა გაფართოებული კრება.

დღის წესრიგში: [illegible] მოხსენება, საზღვარ-გარეთიდან ახლად დაბრუნებულ ამხ. ი. გაბუნიას თანამოხსენება.

— სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცნობებს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა ისინი გამოცხადდენ დღეს უნივერსიტეტში 19 ივნისს 10 საათზე (დილის): 1) ჭელიძე, 2) საგინაძე, 3) ცინცაძე, 4) ბოჭორიშვილი, 5) ფალავა, 6) ერქომაიშვილი, 7)ჩანკვეტაძე, 8) სალუქვაძე, 9) მაზანაშვილი, 10) გიკაშვილი, 11) სახოკია, 12) გოგეშვილი, 13) მელიქაძე, 14) ნუცუბიძე, 15) აბაშმაძე თეო, 16) კობახიძე, 17) სვანიძე, 18) გუნია, 19) ბეროძე, 20) მექვაბიშვილი, 21) აბუსერიძე, 22) მეგრელიშვილი, 23) დუნდუა.

— სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცნობებს არაბაძე ანტონიმას, ხუციშვილს და ერქომაიშვილ აკაკის, რათა გამოცხადდენ 20 ივნისს 10 საათზე ბიურო-კოლექტივში ბოჭორიშვილთან.

განუზომელ მწუხარებაში მყოფნი იოსებ იმედაშვილი და მისი შვილები: შალვა, გაიოზ, თამარ, ქეთევან, ნინო და ფარნაოზი პატივისცემით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთ და საზოგადოებას, რომ პირველის დაუვიწყარ მეუღლის, ხოლო დანარჩენთა უსაყვარლეს დედის, სახალხო თეატრის ერთი პირველ მუშაკთაგანის

ანნა ნიკოლოზ ქურულის ასულ
იმედაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, ივნისის 19-ს, წმ. ნინოს სასაფლაოზე, შუადღის თორმეტ (12) საათზე. 2—2 ნ. 1343

თბილისის საყუდის ორთქლმავალთა გუნდები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს დაუღალავი მუშაკის, თბილისის მემანქანე

ამხ. მელიტონ სტეფანეს-ძე
ცქიფურიშვილის

ტრაღიკულათ დაღუპვას სად. კასპში, სამსახურის ასრულების დროს, 16 ივნისს. გამოსვენება—კვირას, 19 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარი ბინიდან (გორის ქუჩა № 14), დიდუბის ეკლესიის გალავანში. (დ) 1—1

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტოს ბაღში).
0—0 ნ. 1289

დადგმის მეორე კვირა
„მისი უდიდებულესობის სოლისტკა“
ანონსი: სამშაბათიდან ეთერში „მისი უდიდებულესობის სოლისტკა“
დარბაზში „საპნის ქაფი“ მერი პიკფორდის მონაწილ.

გარი ლიდკე, ჟენი პორტენ და ვერნერ კრაუსი სეზონის ახალ სურათში
„ვენეციელი ვაჭარი“
ანონსი: სამშაბათიდან „გრაფი კალიოსტრო“ კონრად ვეიდტის მონაწილეობით.

ანონსი: მალე უკრაინის ფოტო-კინოს სამმართველოს უდიდესი სურათი „ჰამბურგი“.

საზაფხულო ბაღი
დარბაზი
(ბაღში პლეხ. № 91)
ორშაბათიდან
21 ივნისიდან
ყოველდღე
მერი
პიკფორდი
მხატვრულ შედევრში
„საპნის
ქაფი“
საზაფხულო კინო დარბაზი გახსნილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ახლად შეკეთებულ შენობაში ბაღში პლეხ. № 91. ნ. 1346

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა“-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის .უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი:
1 წლით . . 10 მან.
½ წლით . . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
3062 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., სალამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოის“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შე სახვევი) № 8.

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება, პლეხანოვის პრ. № 58. 13—1

გამოვიდა ამხ. „ქართული წიგნის“
მორიგი გამოცემა
უილიამ შექსპირის 5 მოქმ. ტრაგედია
„მეფე ლირი“
ფასი 1 მან.
მოიკითხეთ ყველა წიგნის მაღაზიებში. მთავარი საწყობი: თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 1. ამხ. „ქართული წიგნი“.
2—1 ნ. 1332

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას

ყოველდღე მიმართავენ, წერილობით თუ პირადათ, სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გლეხები, მოწაფეები, უმუშევრები და დამჩლევვი კასის პენსიონერები, რომლებიც მოითხოვენ ფულით დახმარებას, კურორტზე გაგზავნას, სამუშაო საქონლის (ხარების) შეძენას, სახლის აშენებას სახელმწიფო ხარჯზე და სხვა.

სრ. საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ განყოფილებიდან ერთდროული დახმარების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი სოც. უზრ. ორგანოების მიერ. ასეთებს ეკუთვნიან:

რევოლიუციის და სახელმწიფოს წინაშე დამსახურებული პირები და მათი ოჯახები, ომის ინვალიდები, ომში მოკლულთა და წითელ-ჯარში გაწვეულთა ოჯახები და სხვა. რაც შეეხება დანარჩენ მოქალაქეთ, როგორიც არიან სოფლიდან ჩამოსული გლეხები, დამზღვევ კასის პენსიონერები, პროფკავშირის წევრები, დაზღვეულები, უმუშევრები, მოსწავლე ახალგაზრდობა და სხვა, მათ არა აქვთ უფლება მიიღონ დახმარება ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებიდან. ამ პირთა მიერ შემოტანილი განცხადებები განყოფილებაში უშედეგოთ იქნება დატოვებული. ნ. 1345 1—1

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ ის 22 ივნისს 1927 წ. დღის 10 საათზე სახლში № 1 მანუმენტის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სერგო პავლეს-ძე ალიხანოვის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფი, სასადილო მაგიდა, გარდეროზის შკაფი, კამოდი, დივანი, ხალიჩა, ფარდაკი, კედლის საათი და სხვა შეფასებულს 500 მანეთად, პავლე ალხაზოვის-ძე ახასის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 4 ივნისის 1927 წ. თარიღით, № 6138 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1—1 3084

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართ. აღმასრულებ. გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ ა-წ. 23 ივნისს, დღის 1-ლ საათზე არკადის შესახვევში, სახლი № 6 გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ნახევარი წილი გიორგი ჩიქოვანის 2 სართულიანი სახლისა, რომელშიც მოთავსებულია 18 ოთახი და 7 სამზარეულო. ამ სახლის ნახევარი წილი შეფასებულია 1.500 მანეთად, რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია იოსებ თანდილაშვილის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპროც. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები, გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10% , ე. ი. 150 მან. 1—1 3080

ქ. თბილისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 24 ივნისს 1927 წ. დღის 12 ს. სახლში № 43 დავითაშვილის (ამაღლების) ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ამ სახლს, რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე გრიგოლის-ძე ბერიაშვილს, ევსევი ებანოიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 13 მარტის 1926 წ. თარიღით № 22455, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით.

ეს სახლი არის ქვითკირის, ორ სართულიანი, დახურული თუნუქით და კრამიტით, აშენებული ქალაქის მიწაზე ზომით 119 ოთხკ. საჟენი, ამ სახლში არის ჩვიდმეტი (17) საცხოვრებელი ოთახი, ექვსი სამზარეულო და ერთი დარაბა. კანალიზაცია და წყალსადენი აქვს. შეფასებულია ათას ორმოცდა ათ მან. (1050 მან.) მყიდველებმა უნდა დაიცვან სამ. საპრ. კოდ. 311—312 მ. მ. აღნიშნული წესები.

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
[illegible] მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible] მზე. იონო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი დი მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, სალამოს 5—7 ს.-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

დაკარგვა ცხრაწლედის დამთავრების მოწმობა № 645 მოცემული კულაშის თემის ცხრაწლედიდან შალვა მიქაძის სახელზე, ჩ. გ. 3082

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი № 2122, ალექსანდრე ვასილის-ძე მჭედლიძეს სახელზე, ჩ. გ. 3085

დაკარგვა თბილისის მე-2 სამილიციო უბნის, სამხედრო მაგიდის მიერ გაცემული სამხ. საალრიცხვო წიგნაკი ფორმა № 4—491, ევტიხი ივანეს-ძე გადახაბაძის სახელზე, ჩ. გ. 3086

დაკარგვა პირადობის მოწმობა დივანოზ სპირიდონის-ძე შარიქაძის სახელზე, ჩ. გ. 3079

დაკარგვა ლომბარდის ქვითარი № 42065, არტემ გასპაროვის სახელზე გაცემული, ჩ. გ. 3081

დაკარგვა გემოვნების კავშირის საწევრო წიგნაკი № 2450 იაკობ შუშიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3087

დაკარგვა ლომბარდის ქვითარი № 58880 ნინა ქიტიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3091

დაკარგვა საწევრო წიგნაკი გან მუშ. კავშირის № 27534, ტატიანა ერასტის ასული სანოძის სახელზე ჩ. გ. 309

დაკარგვა პარტიული ბილეთი № 0858777, ნიკიფორე ნოშრევანის-ძე თ. ვხელიძის სახელზე, ჩ. გ. 308

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.